# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№256 (12 631) 31 ოქტომბერი პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა დიდებული იყო ფაჩულია...



11

8

8

99

ზაზამ სმიტი ალაფრთოვანა

»»» 12



# 8 გზის ფალავანი ალექსი დიდი

»»» 11

## უკვე ოფიციალურად:

# ბექჰემი მილანში



კახა კალაძის „მილანი“ მსოფლიოს ნაკრებად იქცა. გუშინ წერტილი დაესვა - დევიდ ბექჰემი „მილანში“ გადადის. უკვე გარკვეულია თარილიც, როცა ის „როსონერის“ შეუერთდება - 7 იანვრიდან დევიდი კარლო ანჩელოტის განკარგულებაში იქნება. მართალია, საიჯარო კონტრაქტი ორთვიანია, მაგრამ ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ „მილანმა“ დახლი გააწყოს და ბექზის მაისურების გაყიდვით დიდი ხეირი ნახოს. სწორედ ამის მაგალითია შოუმენად ქცეული ფეხბურთელის მადრიდული კარიერა. ესეც ხომ კომერციული გარიგებაა, რომელსაც ფეხბურთთან შეხება ნაკლებად აქვს. 33 წლის ბექჰემი დღეს ალარ არის „ის“ ბექჰემი...

მსოფლიო ფეხბურთი »» 6-10

# მსოფლიოს ჩემპიონი



ნაზი პაიკიძე

»»» 13

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
VIII ტურის მიმოხილვა / ფოტოფირ გამოცემის ბიბლიოთეკა

# საფეხბურთო სტუმართმოყვარეობა

საიუბილეო ჩემპიონატის „საფირმო ნიშნად" ქცეული მოულოდნელობები გრძელდება - მერვე ტურში მასპინძლებმა ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგეს! მოკლედ, ჭეშმარიტად სტუმართმოყვარე ტური აღმოჩნდა. ამას გარდა, ერთი-ორი უკვე „ტრადიციული" სენსაციაც ვიხილეთ და ჩემპიონატის მეორე თვეც ასე „ხალისიანად" დასრულდა.

ჯერ, სამშაბათის თამაშებზე ვთქვათ და, უპირველეს ყოვლისა, ტურის ცენტრალური მატჩით დავიწყოთ. თანამედროვე ფეხბურთში ნელ-ნელა ყველა სტერეოტიპი იმსხვრევა, მაგრამ ცნება „უხერხული მეტოქე" ყველგან და ყოველთვის იარსებებს. აი, ბოლნისელებისთვის რომ არის თბილისის „დინამო": „სიონს" მუდამ გარკვეული კომპლექსი აქვს ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის წინაშე. ეგ კი არა, ამ ორი გუნდის ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში „დინამოს", მართლაც, შთამბეჭდავი უპირატესობა აქვს „სიონთან". ტრადიცია არც ახლა დაირღვა - „დინამომ" უმძიმეს ბრძოლაში, მაგრამ მაინც მოახერხა გამარჯვება და სატურნირო ცხრილში შეუფერებელ ადგილსაც თავი დააღწია. არადა, „სიონიც" შეგეცოდებოდა კაცს - ბოლნისელებმა ამ სეზონში უდავოდ საუკეთესო მატჩი ჩატარეს და თვითმხილველთა აზრით, ამ შეხვედრაში, ერთ ქულას იმსახურებდნენ. მრისხანე მეტოქესთან „სიონმა" ფრთხილი ტაქტიკა აირჩია - ხუთი ნახევარმცველი და წინ ეულად მყოფი **ირაკლი შენგელია** (ტრავმის მერე ჩინებულად ათამაშდა). მხოლოდ მატჩის მიწურულს (როცა „დინამო" დაწინაურდა) გამოჩნდნენ მოედანზე **რეზო გოცირიძე** და **შოთა ჯიქია**; **სულიკო დავითაშვილი** ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ხოლო „დინამოდან" იჯარით გადმოყვანილ **სანდრო იაშვილს** ამ მატჩში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. რას იტყვით, „მშვენიერი" გვარებია, არა?! ან, რა - მეკარეებს, მცველებსა თუ ნახევარმცველებს დაეწუნებათ? მოკლედ, ჩემპიონატის ყველაზე დაბალანსებულმა გუნდმა კვლავაც დამარცხებულმა დატოვა მოედანი; თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უბრძოლველად არაფერი დაუთმიათ და თავიდან სულაც იგებდნენ. გოლი, რაღა თქმა უნდა, **ალექსანდრე კოშკაძემ** (ოქტომბერში - ზედიზედ მესამედ) გაიტანა - „სიონის" ნახევარმცველი, მართლაც, გამორჩეულ სეზონს ატარებს და დამსახურებულადაც ხვდება ლამის ყველა ტურის „სიმბოლურ ნაკრებშიც". და მაინც, სტუმრებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და ეს, უპირველეს ყოვლისა, ფლანგებზე აქტიური თამაშით იყო განპირობებული. მარჯვნიდან - **დავით ოდიკაძე**, მარცხნიდან - **ოლეგ გველესიანი**, პლუს **გიორგი მერებაშვილის** აქტიურობა და ინდივიდუალური ოსტატობა - ასეთ შემტევებს საქართველოში ვინ არ ინატრებდა! აღარაფერს ვამბობთ ახალგაზრდა ცენტრფორვარდ **მათე ვაწაძეზე** - ეფექტური და საჭირო გოლების გატანა რომ უყვარს. ისე, ალბათ, დროა, რომ **ჰექტორ რაულ კუპერმა** ერთი შანსი ვაწაძესაც მისცეს; მით უმეტეს, რომ ჩვენი ნაკრების თავდასხმის ხაზში **შოთა არველაძის** წასვლის მერე კვლავაც დიდი „სიცარიელეა"...

..."ბორჯომმა" კიდევ ერთხელ გაგვაოცა: ოთხი დღის წინ რუსთავიდან რომ ქულა წამოიღო, ამჯერად უკვე „ზესტაფონს" გაუძალიანდა და ბოლოს სანადელს მიაღწია. ახალგაზრდა მწვრთნელის, **გიორგი სუხიაშვილის** გუნდი ყველა მატჩში ბოლომდე იბრძვის და ასე, ნელ-ნელა აგროვებს ძვირფას ქულებს. კვლავაც ყურადღების ცენტრში მოექცა „ბორჯომის" ახალგაზრდა ფორვარდი **ირაკლი კიკნაძე**, რომლის აქტიურობასაც სტუმართა კარში გატანილი გოლი მოჰყვა. ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, მაინც გვეგონა, რომ „ზესტაფონი" სამ ქულას მოიპოვებდა. კი, შესაძლოა, ნებისმიერი გუნდისთვის **უჩა ლობჯანიძის, ბექა გოცირიძისა** და **ჟილვან ვიეირას** არყოფნა კატასტროფის ტოლფასი ყოფილიყო, მაგრამ „ზესტაფონს" მათი შემცვლელიც საკმაოდ ჰყავს და საერთოდაც, ასეთი შემადგენლობის მქონე გუნდს აშკარად მეტი სტაბილურობა მოეთხოვება. თავად განსაჯეთ - ამ ჩემპიონატში **თემურ მახარაძის** გუნდს ზედიზედ ორ შეხვედრაში არ გაუმარჯვია! და კიდევ, ორ დეტალზე: ზედიზედ მესამე შეხვედრაში გაიტანა გოლი **ნიკა გელაშვილმა**, თუმცა თავისუფლად შეეძლო, დუბლი ან ჰეთ-ტრიქიც შეესრულებინა; მთავარი კი ამ შეხვედრაში და საერთოდ, მერვე ტურში ის იყო, რომ შეცვლაზე შემოსული **ზურაბ იონანიძისთვის** ეს მატჩი ეროვნულ ჩემპიონატებში მეოთხასე გახლდათ!

...ჩემპიონატს ახალი ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს - „ლოკომოტივმა" დიდი ანგარიშით გაიმარჯვა გორში და უახლოესი მდევარი უკვე ორი ქულით ჩამოიტოვა. მატჩის შემდეგ „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **სერგო გაბელაიამ** გულახდილად აღიარა კიდეც: სამწუხაროდ, ჩვენს გუნდს ისეთი გამოცდილი ლიდერები არ ჰყავს, როგორიც მეტოქეს; გამოუცდელი ფეხბურთელებით კი ლიდერთან ქულის მოპოვებაც ძნელიაო...

მართლაც, უნდა დავეთანხმოთ „სპარტაკის" თავკაცს - „ლოკომოტივის" ლიდერებმა კლასისა და გამოცდილების ხარჯზე უპირატესობა გოლებშიც ასახეს: ორჯერ თავი **ლევან ცქიტიშვილმა** გამოიჩინა, ერთხელ - **რატი ალექსიძემ**. სასიამოვნოა, რომ გოლის „გემო" გაიხსენა უნივერსალმა **გიორგი კახელიშვილმაც** - გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ამჯერად დაცვაში რომ თამაშობს. არადა, კარიერის დასაწყისში ეს ნიჭიერი ახალგაზრდა, ერთობ იმედისმომცემ ფორვარდად მიიჩნეოდა...

„ლოკომოტივის" სტუმრად გამარჯვება არავის გაჰკვირვებია, რასაც ვერ ვიტყვით ახალციხის „მესხეთზე". ტრავმებისა თუ სხვა საკადრო პრობლემების გამო საგრძნობლად გადახალისებულმა გუნდმა, ბევრისთვის მოულოდნელად, ზუგდიდიდან სამი ქულა წამოიღო. **კობა თედიაშვილის** გუნდმა იმდენად დამაჯერებლად ითამაშა, რომ მასპინძელთა ქომაგებმა მოედნიდან ტაშითაც გააცილეს. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მთლიანი გუნდის დამსახურებაზე უნდა ვილაპარაკოთ; თუმცა კონკრეტული ფეხბურთელის აღნიშვნაც არ უნდა დავივიწყოთ: ახალგაზრდა ფორვარდმა **გიორგი სამადაშვილმა** ჯერ საგოლე პასი მიითვალა, მერე კი გოლიც გაიტანა. სხვათა შორის, „მესხეთს" მეორე ტურის მერე არ ჰქონდა მოგებული და ახლა ამ წარმატებით სატურნირო მდგომარეობაც შედარებით გამოასწორა.

აი, რუსთავის „ოლიმპმა" კი ისევ ვერ მოიგო! ამ შემთხვევაშიც მთავარი მწვრთნელის სიტყვები უნდა მოვიშველიოთ და, ალბათ, მართალი გახლდათ **ვარლამ კილასონია**, როცა საგოლე მომენტების გამოუყენებლობაზე საუბრობდა: ეს უკვე უიღბლობის კი არა, არასაკმარისი ოსტატობის ბრალიაო. მოკლედ, გუნდის მთავარ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს, სულ მცირე, ორი დღე კიდევ მოუწევთ პირველ გამარჯვებამდე ლოდინი. არადა, ახალგაზრდულ „გაგრასთან" მატჩში „ოლიმპმა" კვლავაც არ უღალატა ტრადიციას და უამრავი მომენტი გაფლანგა: ხან სტუმართა „სახელ-გვარიანი" ფეხბურთელები სცოდავდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ხან კი მასპინძელთა მეკარე **რევაზ თევდორაძე** თამაშობდა უშეცდომოდ...

**გია ტუხაშვილი**

## VIII ტურის სიმბოლური ნაკრები

მწვრთნელი: რაინერ ცობელი (2) (დინამო)

თევდორაძე (გაგრა)

გ. კაშია (დინამო)

კახელიშვილი (2) (ლოკომოტივი)
გველესიანი (2) (დინამო)

ძარია (ზესტაფონი)
ცქიტიშვილი (3) (ლოკომოტივი)

კოშკაძე (3) (სიონი)

სამადაშვილი (მესხეთი)
კიკნაძე (2) (ბორჯომი)

ვაწაძე (2) (დინამო)
გელაშვილი (2) (ზესტაფონი)

### ტურის მწვრთნელი

**რაინერ ცობელი (დინამო)**



ტურის ცენტრალურ მატჩად „სიონისა" და „დინამოს" შეხვედრა იყო მიჩნეული და რა გასაკვირია, თუ ამ წყვილში გამარჯვებულის თავკაცს ჩვენს ნომინანტად გამოვაცხადებთ. „დინამომ" ურთულესი მატჩი მოიგოო, დასაწყისშივე აღვნიშნეთ და მოქმედი ჩემპიონის ეს წარმატება, რაღა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელის უდიდესი დამსახურებაც არის. არ დაგვავიწყდეს, რომ „დინამო" თავიდან აგებდა, მაგრამ შეძლო და თამაში „შემოატრიალა". საერთოდაც, იმის მერე, რაც „დინამო" 4-4-2 ტაქტიკურ განლაგებაზე გადავიდა, სანახაობრივმა მხარემაც მოიმატა და შედეგსაც დაეტყო.

და, მთავარიც: რაინერ ცობელი მიმდინარე ჩემპიონატში პირველია, ვინც მეორედ დავასახელეთ „ტურის მწვრთნელად"!

### ტურის ფეხბურთელი

**მათე ვაწაძე (დინამო)**



ტურის რჩეულიც ცენტრალური მატჩიდან „ამოვარჩიეთ" და ეს პატივი, რაღა თქმა უნდა, მათე ვაწაძეს ერგო. „დინამოს" ახალგაზრდა თავდამსხმელი მძიმე ტრავმის მერე ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ კონდიციებს და თითქმის ყველა შეხვედრაში მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. „სიონთან" მატჩში ვაწაძემ ერთი გოლი გაიტანა (თანაც, ერთობ ეფექტური), ერთიც არ ჩაუთვალეს (არადა, ნაღდი იყო), მერე კი საგოლე პასიც გაუკეთა გიორგი მერებაშვილს. კიდევ ვიმეორებთ: ვაწაძე უთუოდ იმსახურებს იმას, რომ ეროვნული ნაკრების კანდიდატთა შორის მოვიხსენიოთ.

## პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი

**X ტური**

**29 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

| | |
|---|---|
| ნორჩი დინამო-კახეთი | 0:1 |

**30 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

| | |
|---|---|
| ჰერეთი-დინამო 2 | 0:2 |
| თბილისი-სიონი 2 | 5:1 |
| ამერი-გაგრა 2 | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია 2-დილა | 1:1 |

*ჩიხურა ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 9 | 6 | 2 | 1 | 21-7 | 20 |
| 2. ამერი | 9 | 6 | 2 | 1 | 16-6 | 20 |
| 2. ვიტ ჯორჯია 2 | 9 | 5 | 4 | 0 | 18-3 | 19 |
| 4. დინამო 2 | 9 | 5 | 2 | 2 | 14-8 | 17 |
| 5. დილა | 9 | 4 | 3 | 2 | 14-7 | 15 |
| 6. თბილისი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-16 | 10 |
| 7. სიონი 2 | 9 | 2 | 3 | 4 | 14-27 | 9 |
| 8. გაგრა 2 | 10 | 2 | 2 | 6 | 13-22 | 8 |
| 9. კახეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 5-16 | 7 |
| 10. ნ/დინამო | 9 | 1 | 3 | 5 | 11-17 | 6 |
| 11. ჰერეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 7-17 | 6 |

**მომდევნო ტური**

**3 ნოემბერი, ორშაბათი**

სიონი 2-ამერი
კახეთი-თბილისი
დილა-ნ/დინამო
დინამო 2-ვიტ ჯორჯია 2
ჩიხურა-ჰერეთი

*გაგრა 2 ისვენებს*

### დასავლეთი

**X ტური**

**30 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

| | |
|---|---|
| მერანი-ტორპედო 2008 | 1:0 |
| ზესტაფონი 2-მეშახტე | 3:0 |
| ხობი-კოლხეთი (ფ) | 1:0 |
| ბაია-გურია | 4:0 |
| სამტრედია-ჭიათურა | 4:0 |

*ბათუმი ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 9 | 7 | 1 | 1 | 18-4 | 22 |
| 2. მარტვილი | 9 | 6 | 2 | 1 | 14-6 | 20 |
| 3. კოლხეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 14-5 | 19 |
| 4. სამტრედია | 9 | 5 | 1 | 3 | 16-7 | 16 |
| 5. ჭიათურა | 10 | 5 | 1 | 4 | 17-11 | 16 |
| 6. ხობი | 9 | 3 | 3 | 3 | 7-10 | 12 |
| 7. ზესტაფონი 2 | 9 | 3 | 2 | 4 | 9-13 | 11 |
| 8. გურია | 9 | 2 | 3 | 4 | 10-18 | 9 |
| 9. ბათუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-17 | 8 |
| 10. ტორპედო 2008 | 9 | 2 | 1 | 6 | 3-7 | 7 |
| 11. მეშახტე | 9 | 0 | 1 | 8 | 5-25 | 1 |

**მომდევნო ტური**

**3 ნოემბერი, ორშაბათი**

გურია-სამტრედია
კოლხეთი ფოთი-ბაია
მეშახტე-ხობი
ტორპედო 2008-ზესტაფონი 2
ბათუმი-მერანი

*ჭიათურა ისვენებს*

## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი. VI ტური

**28 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| ლიახვი-ამერი 2 | 2:1 |
| I.B.S.U.-35-ე სკოლა | 2:1 |
| იმედი-ლოკომოტივი | 0:5 |
| არაგველები-დუშეთი | 2:0 |
| ერთობა-სამგორი | 3:2 |

**29 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| ალგეთი-ბორჯომი | 0:1 |
| გარეჯი-ჰერეთი | 2:1 |
| ალაზანი-ზოოვეტი | 3:0 |

**30 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი 2-ნ/დინამო 2 | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დუშეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 18-9 | 18 |
| 2. სპარტაკი 2 | 8 | 5 | 1 | 2 | 21-11 | 16 |
| 3. გარეჯი | 8 | 5 | 0 | 3 | 13-10 | 15 |
| 4. ბორჯომი 2 | 8 | 5 | 0 | 3 | 12-12 | 15 |
| 5. ლოკომოტივი 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 18-10 | 14 |
| 6. ერთობა | 8 | 4 | 2 | 2 | 13-10 | 14 |
| 7. ამერი 2 | 8 | 4 | 1 | 3 | 10-5 | 13 |
| 8. არაგველები | 8 | 3 | 4 | 1 | 8-5 | 13 |
| 9. ალგეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-11 | 11 |
| 10. იმედი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-15 | 11 |
| 11. I.B.S.U. | 7 | 3 | 1 | 3 | 12-10 | 10 |
| 12. ჰერეთი 2 | 8 | 3 | 0 | 5 | 15-15 | 9 |
| 13. ლიახვი | 8 | 2 | 3 | 3 | 11-15 | 9 |
| 14. 35 ს.ს. | 8 | 2 | 2 | 4 | 12-17 | 8 |
| 15. ალაზანი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-13 | 8 |
| 16. ზოოვეტი | 8 | 2 | 1 | 5 | 10-16 | 7 |
| 17. სამგორი | 7 | 1 | 3 | 3 | 9-13 | 6 |
| 18. ნ. დინამო 2 | 8 | 0 | 2 | 6 | 5-20 | 2 |

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



ყოფილ დინამოელ გიორგი ფეიქრიშვილს (მარცხნივ) დღეს ოლიმპის ბედი ადარდებს

ოლიმპი

ინტერვიუ გიორგი ფეიქრიშვილთან

# როდის? კვირას!

## ფეიქრიშვილი დარწმუნებულია, რომ ოლიმპი მალე პირველ გამარჯვებას იზეიმებს

რუსთავული კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდში ისეთი კონტინგენტი შეკრიბა, სეზონის წინ გულშემატკივრები თუ სპეციალისტები „ოლიმპს" ჩემპიონობის უმთავრეს თუ არა, სოლიდურ ფავორიტად მიიჩნევდნენ. თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. რუსთაველებმა ჩემპიონატი ფრით დაიწყეს და მერეც არაერთი ქულა გაატანეს ქარს. შვიდმა ტურმა ისე ჩაიარა, „ოლიმპს" ჯერ თამაში არ მოუგია. ამას გუნდში სამწვრთნელო გადაადგილებაც მოჰყვა - ხვიჩა ქასრაშვილი ვალერი კილასონიამ შეცვალა. ამ უკანასკნელის დებიუტიც არასახარბიელო გამოდგა. კილასონიას გუნდმა შინ ვერც „ბორჯომის" ძლევა მოახერხა და ვერც „გაგრას" მოუგო თბილისში. დღეისთვის, რუსთაველები ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე არიან...

„ოლიმპის" ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელ გიორგი ფეიქრიშვილს სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ მივმართეთ.

-

**- გიორგი, რა ხდება „ოლიმპში"? რა გჭირთ ბოლოს და ბოლოს? როცა ასეთი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი უხარისხოდ თამაშობს და ესოდენ სავალალო შედეგები აქვს, ეს ჩემპიონატსაც აკარგვინებს ხიბლს...**

- მართალი ხართ... ფატალურად არ გვიმართლებს. აგერ, „გაგრასაც" ვაჯობეთ, მაგრამ ბურთი ვერ გავუტანეთ. არადა, ერთი გოლი რომ შეგვეგდო, მერე კიდევ გავიტანდით. ამას ის სჯობს, მეტოქესთან ამხელა უპირატესობა არ გვქონდეს, ოღონდ თამაშები მოვიგოთ... მთავარი ხომ შედეგია და არა ის, თუ რამდენ საგოლე მომენტს ქმნი ან რამდენხანს აკონტროლებ ბურთს.

**- თანაც, სეზონის წინ „ოლიმპი" ყველას ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად მიაჩნდა...**

- ასე იყო, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, გასავარდნ ზონაში ვართ. დასანანია... რა ქულები გავანიავეთ... მთავარია, ნავსი გავტეხოთ, როგორმე ერთი თამაში მოვიგოთ და მჯერა, მაღალი ადგილებისთვის ბრძოლაშიც ჩავერთვებით, მით უმეტეს, ამ ჩემპიონატში ბევრი სენსაცია და მოულოდნელი შედეგია. შესაბამისად, დღევანდელი ლიდერებიც დაკარგავენ ქულებს.

**- „გაგრასთან" თქვენც შეგეძლოთ გოლის გატანა...**

- მარტო „გაგრასთან"? მიმაჩნია, რომ პირადად, ახლა მეც ცუდი პერიოდი მაქვს. ნამდვილად არ მიმართლებს, თორემ ფორმაში არ ვარ-მეთქი, ნამდვილად ვერ ვიტყოდი. გუნდში ჩემზე მაღალი კლასის ფეხბურთელებიც არიან, მაგრამ ვერც მათ გააქვთ გოლები. საერთოდ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იწყებ ამა თუ იმ ტურნირს. პირველ მატჩში „ზესტაფონთან" შინ მხოლოდ ქულა ავილეთ და მერე მიეწყო ფრეები... მუდმივად მდევრის როლში ვართ. ჯერ თამაში არ გვქონია, რომ ჩვენ გაგვეხსნა ანგარიში. რატომღაც, პირველი გოლი ყოველთვის მეტოქეს გააქვს, მერე დაცვაში ჯდება და... მოკლედ, სეზონის სტარტზევე დაგვებედა ფრე და მდევრის როლი, ნავსი ვერა და ვერ გავტეხეთ.

**- „გაგრასთან" მატჩის შემდეგ „ოლიმპის" ახალმა მწვრთნელმა ვალერი კილასონიამ განაცხადა: ამდენი საგოლე მომენტის ვერგამოყენება მხოლოდ უიღბლობის ბრალი არ უნდა იყოსო. თქვენმა მწვრთნელმა არასათანადო ოსტატობაზეც ისაუბრა. ამაზე რას იტყოდით?**

- მწვრთნელის სიტყვებში კორექტივს არ შევიტან და არც მაქვს ამის უფლება... რაკი მან ასე თქვა, ალბათ, ჰქონდა კიდეც ამის საფუძველი.

**- სხვათა შორის, კილასონიამ ზოგიერთი ფეხბურთელის მხრიდან ზერელე დამოკიდებულებაც ახსენა...**

- არა, ასე ნამდვილად არ არის. ძნელია, „ოლიმპის" რომელიმე ფეხბურთელს საქმისადმი აგდებული დამოკიდებულება დასწამო. ვინც ჩვენი ერთიორი თამაში მაინც ნახა, ნამდვილად შევეცოდებოდით - მეტოქეს ყოველთვის ვჯობნით, მაგრამ... რად გინდა? თამაშს ვერ ვიგებთ...

**- ისიც კი ითქვა, გუნდში დაჯგუფებებიაო...**

- არანაირი დაჯგუფება! სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ფეხბურთელებს შორის მეგობრული ურთიერთობაა. დამიჯერეთ, ჩვენ რომ გვინდა, ისე არავის უნდა მოგება! ამდენი ქულის დაკარგვა ნეგატიურად მოქმედებს ფეხბურთელის ფსიქოლოგიაზე. მჯერა, ამას მალე დავუსვამთ წერტილს.

**- სეზონის წინ კლუბის ხელმძღვანელობამ ძლიერი შემადგენლობა შეკრიბა. მათგან თუ გრძნობთ თანადგომას?**

- ნამდვილად ვგრძნობთ, მათგანაც და გულშემატკივრებისგანაც. განა მათ არ შეუძლიათ, რომ გვაკრიტიკონ? მაგრამ მხარში გვიდგანან და მოუთმენლად ელიან პირველ მოგებას. კიდევ ერთხელ ვამბობ - მერწმუნეთ, მალე გავიმარჯვებთ.

**- მაინც როდის?**

- კვირას. კვირას აუცილებლად უნდა მოვიგოთ. შინ „სპარტაკს" ვეთამაშებით. ვიცით, რომ რთული მატჩი გველის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ.

**დავით ცაბაძე**

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის

# ინტელექტუალური ამოცანები

ნამარადონევს სევდა დაგვრჩა, დიეგოს კარგად ვერ დავხვდით და კარგი ზეიმი ვერ მოვუწყვეთ. ადრე იყო ასეთი გამოთქმა ქართულ საფეხბურთო მილეთში - შემთხვევითი ხალხი პროფესიულ ფეხბურთში. უფრო ადრე კი კინოკლასიკაშიც მოიძებნებოდა შესაფერისი სიტყვაკაზმულობა - ფიზკულტურის ხორცმეტი ბონდო დოლაბერიძე. მარადონას ამბავმა ცუდად რომ ჩაიარა, აქაც შემთხვევით ხალხსა და დოლაბერიძეებში უნდა იყოს საქმე. სამხრეთელები რაღაცნაირი, ცოტა არ იყოს, დაუდევარი ხალხი ვართ საქართველოშიც და ლათინურ ამერიკაშიც. არგენტინაში ენდნენ ამ შემთხვევით ხალხს და მარადონა თბილისში ჩამოგვიყვანეს.

...და რა ხდებოდა გასახდელში მატჩის წინ? რატომ არ გადიოდა მარადონა და მისი გუნდი მოედანზე? ახლა უკვე ყველამ ყველაფერი იცის, ოღონდაც, მოსაბეზრებელია იმის თქმა, რომ „კულუარებში ასე გავიგეთ", რომ „სანდო და კონფიდენციალურმა წყარომ ასე გვითხრა", რომ „ასეთი ხმები გავრცელდა"... ხალხს, ალბათ, უფრო ისეთი სინამდვილე სჭირდება, როცა ამბის მომსწრე თავად ეტყვის სიმართლეს და არა - გაფუჭებული ტელეფონით ჩახლართული ჟურნალისტური ნარკვევები.

ეს დოლაბერიძეები და შემთხვევითი ხალხი კი თავისას მაინც არ იშლიან. რომ არა სახელმწიფოს ჩარევა, მარადონა და მისი მეგობრები მოედანზე არ გავიდოდნენ. სწორედ სახელმწიფოს დახმარებით მიიღებენ დიეგო და მისი მეგობრები შეპირებულ, კუთვნილ ჰონორარს. შემთხვევით ხალხს კი საკუთარი ტყუილის სჯერა და სხვასაც არწმუნებს, რომ მარადონას ჩამოსვლამ ერთი კაცის კისერზე გადაიარა და ამიტომაც მოხდა იაღლიშები...

■ ■ ■

მარადონასთან საქართველოს ვეტერანთა ნაკრებმა ითამაშა. ბევრი განცდა და მოგონება ახლდა ამ ხალხის მოედანზე გამოჩენას. 19 ნოემბერს ექტორ კუპერის გაწვრთნილი საქართველო რუმინეთში ამხანაგურ მატჩს გამართავს და გინდა თუ არა, ნაკრები სულ თავში გიტრიალებს. მარადონას მატჩში, რა თქმა უნდა, ალექსანდრე ჩივაძემაც ითამაშა და ძალაუნებურად ერთი რუმინული ისტორია გამახსენდა.

პირველად საქართველოს ნაკრები რუმინეთს 1996 წელს გაეჯიბრა ამხანაგურად. ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი მაშინ ჩივაძე გახლდათ. არ ვიცი, მან იცის თუ არა, მაგრამ მაშინდელი ნაკრების ერთ-ერთი ფეხბურთელის მონაყოლს კი მოგახსენებთ: ბიჭები ორ-ორად განაწილდნენ სასტუმროს ნომრებში და ზოგმა მატჩის წინა დღეს კახპა ჩაიკოტრიალა ლოგინში, არც თვითონ დაიძინა და არც თანაოთახელს დააცალა ძილი. მეორე დღეს კი ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა 0:5 წააგო. ამად დაგვიჯდა 22-23 წლის ბიჭების ონავარი საქციელი.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, კუპერი სარუმინეთოდ ნაკრებში მალხაზ ასათიანს დააბრუნებს. გამართულად და მონდომებით ითამაშა კუპერის საქართველომ ბულგარეთთან, მაგრამ ვერ მოიგო მხოლოდ ერთი მიზეზის გამო - გუნდს არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობის შემსრულებელი. გიორგი მერებაშვილი უდავოდ გამორჩეულია ეროვნულ ჩემპიონატში, ნაკრებშიც დამსახურებულად მოხვდა, მაგრამ სანაკრებო კლასი და გამოცდილება ჯერაც აკლია. ოდნავ მახვილი კუთხიდან გავიდა ბულგარელ მეკარესთან პირისპირ და ვერ აჯობა, თითქოს თავდაჯერებულობა აკლდა, თორემ საგოლე მომენტი ვის არ გაუცუდებია. მოკლედ, ასათიანი ნაკრებს ძალიან სჭირდება, მას გოლის გატანაც შეუძლია და კიდევ ბევრი რამ. ნაკრები კლუბი არ არის, თაობათა ცვლა და გუნდის გადახალისება წინასწარ დაგეგმო და ხელოვნურად მოახდინო, ნაკრებში საუკეთესოებმა უნდა ითამაშონ და ასე მგონია, ეროვნულ გუნდში ასათიანის დაბრუნება აუცილებელია.

კვიპროს-ბულგარეთთან მატჩებისთვის ასათიანის არგამოძახებით კუპერმა უკვე გვაჩვენა, რა კაცია და რა პრინციპები აქვს. ის არასდროს იქნება ამა თუ იმ ფეხბურთელის მეგობარი, ურთიერთობაში მკაცრად იცავს დისტანციას, ცელქობასა და არასერიოზულობას არავის აპატიებს და ასეც უნდა იყოს.



■ ■ ■

ხვალ ეროვნული საზომით დიდი მატჩია: „დინამო" „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობს. ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის თვალსასეიროა, კარგი თამაში გამოდის. ადრე ძალთა ბალანსი დარღვეული იყო - მდიდარი, მაძღარი „დინამო" შედარებით მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე „ვიტ ჯორჯიის" წინააღმდეგ. ახლა ასე აღარაა, ორივე გუნდს დაახლოებით ერთნაირი სახსარი აქვს, ოღონდაც, ეს კლუბები ძალიან არ ჰგვანან ერთმანეთს და ამიტომაც არის მათი შეხლა საინტერესო და დამაინტრიგებელი. ამ დაპირისპირებაზე საუბარი კიდევ შეიძლება, მაგრამ ყველაფერი უფერულდება, როცა ხალხი სტადიონზე არ დადის.

■ ■ ■

პროფლიგა ეროვნული ჩემპიონატის კომერციალიზაციას ცდილობს. იმედია, სახელმწიფო მართლა გაცაიხდის შეპირებულ 2 000 000 ლარს მეოცე ჩემპიონატის საპრიზო ფონდისთვის, მაგრამ ყველაფერი ეს კომერციული ამოცანებია, რაც კარგია, თუმც ეს ხალხს სტადიონზე ვერ მიიყვანს. „დინამოს" ვარდა, უმეტეს კლუბებში ახლა უფრო მეტი თანხა იხარჯება, ვიდრე უწინ, მაგრამ ეს საქმეს არ შველის, მაყურებელთა რაოდენობა მცირდება. არის „კოლხიდის" მიერ გადაღებული პირდაპირი რეპორტაჟები და ტურის მიმოხილვა, მაგრამ მაყურებელთა მოზიდვას ესეც ვერ შველის. ქართული საფეხბურთო სამყარო და მისი პარტნიორი ხელისუფლება ინტელექტუალური ამოცანის წინაშე დგანან - მიიყვანონ გულშემატკივარი სტადიონზე. ამოცანა ჯერაც ვერ ამოიხსნა. ფულის შოვნა თუ გამოყოფა ინტელექტუალურ ამოცანაზე ბევრად უფრო იოლი აღმოჩნდა.

ეს დიდი გამოწვევაა ქართული კლუბებისთვის, პროფლიგისთვის, ფეხბურთის ფედერაციისთვის... და სახელწიფოსთვისაც, თუ ის მართლა მიიჩნევს საკუთარ თავს ფეხბურთის პარტნიორად.

■ ■ ■

საინტერესო ფეხბურთელი ბევრი არ ჰყავს ეროვნულ ჩემპიონატს, მაგრამ გამორჩეულები მაინც მოეპოვება. დინამოელი მათე ვაწაძე ნაღდი ფორვარდია და ბევრჯერ გვიქია მისი გარჯა. მალე ის გზაგასაყარზე აღმოჩნდება - ისევ საქართველო და „დინამო" ან უცხოეთი. მას კარგი მრჩეველი და მენეჯერი დასჭირდება, მახაჩყალასა თუ ყაბარდო-ბალყარეთში რომ არ მოხვდეს. ესეც თავისებური ინტელექტუალური ამოცანაა - არის ნიჭი, ჰოდა, ადგილი და დრო სწორად უნდა შეურჩიო მის გამოყენებას. ვაწაძე არ არის პატარა კაპიტალი „დინამოსთვის" და, ალბათ, მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის.

■ ■ ■

ამასობაში, ლეგიონერები შემოაკლდნენ საქართველოს ჩემპიონატს. პოლ კესანი, ჟილვან ვიეირა, ეტიენ ბიტოო, ჯორჯ აკირემი - თითქოს ერთ ტალღაზე მოხდა მათი გაუჩინარება, თითქოს ერთი მიზეზის გამო შეაქციეს ზურგი ჩვენს ჩემპიონატს...

■ ■ ■

მარადონათი დავიწყეთ და იმით დავამთავრებთ, რაც ჭკუის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ... 1996 წელს, საფრანგეთი 98-ის შესარჩევში საქართველო ინგლისს რომ მასპინძლობდა, ფეხბურთის ფედერაციამ ბილეთს 30 და 50 ლარიც კი დაადო. მაშინ ასეთ თანხას უფრო მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე ახლა, და მაშინ ხალხსაც უფრო უჭირდა ძვირიანი ბილეთის შეძენა. ფედერაციის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თქვა - ახლახან, თბილისში რეი ჩარლზი რომ ჩამოვიდა, ფილარმონიაში გამართულ კონცერტზე ბილეთი 200 ლარი ღირდა და განა ინგლისის ნაკრების ვარსკვლავების ნახვა 30-50 ლარი აღარ ღირსო? ვერ იყო ეს რკინის არგუმენტი, რადგან რეი ჩარლზი ფილარმონიაში ოდენ ქართველი ბურჟუებისთვის მღეროდა, ბექჰემი, გასკოინი, ინსი, ადამსი და შერინგემი კი მასებისთვის თამაშობდნენ. მაშინაც ინტელექტუალური ამოცანის წინაშე იდგა ფედერაცია და... ინგლისთან ეროვნული სტადიონი სავსე არ იყო და ვინც იყო, პლასტმასის ბოთლები ისროლა სარბენ ბილიკზე. თუ რა ღირდა ბილეთი მარადონას მატჩზე, ამაზე არგენტინაშიც ილაპარაკეს.

ბრიტანეთში კი ფეხბურთზე წასვლა ახლაც ოცდაათ გირვანქამდე ღირს. იქ სტადიონზე აბრამოვიჩიც მიდის და ემიგრანტი ინდუსიც. **ბევრი რამ აშორებს საქართველოს დანარჩენ სამყაროსთან, რადგან ჯერაც უჭირს ინტელექტუალური ამოცანების ამოხსნა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერანი

ინტერვიუ მურთაზ შელიასთან

# კარგად რომ მოვემზადოთ, საქართველოს ჩემპიონატში ახლაც ვითამაშებთ



**საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველის მურთაზ შელიას აზრი ყოველთვის საყურადღებოა, თუნდაც იმიტომ, რომ პირდაპირია და სათქმელს მოურიდებლად ამბობს. ამიტომაც გვაინტერესებს, თუ რა აზრისაა დღევანდელ ეროვნულ გუნდზე, ექტორ კუპერზე...**

**ამასთან, შელიამ ეგრეთ წოდებულ მარადონას მატჩშიც ითამაშა და ამ მხრივაც საინტერესოა მისი შთაბეჭდილებები. გეტყვით იმასაც, რომ მურთაზი საფეხბურთო სამყაროში რჩება - უკვე გაიარა შესაბამისი კურსები, გამოცდაც ჩააბარა და მალე ფიფას ლიცენზირებული აგენტიც გახდება.**

**რამდენიმე დღის წინ მას შინ ვეწვიეთ და ხსენებულ თემებზე გავესაუბრეთ. ინტერვიუ „მარადონას მატჩის" განხილვით დაიწყო...**

- პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემთვის ეს ცხოვრების მატჩი იყო. წლების წინ, ვერც კი ვიოცნებებდი, რომ დიეგო მარადონას წინააღმდეგ მომიწევდა თამაში. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, ეს ჩემი ფეხბურთელობის ჟამს მომხდარიყო, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ოცნება ამიხდა და გასულ შაბათს მარადონას მეტოქე ვიყავი... ოღონდ, ერთ რამეზე დამწყდა გული: მატჩის საორგანიზაციო მხარე არ ვარგოდა. როცა ამხელა ფიგურა ჩამოდის შენს ქვეყანაში, ყველაფერი უმაღლეს დონეზე უნდა იყოს ორგანიზებული. კიდევ გეუბნებით, ნამდვილად გული დამწყდა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას ასე ულიმღამოდ დავხვდით. ის გაცილებით მეტს იმსახურებდა.

**- მარადონასთან გასაუბრება თუ მოახერხეთ?**

- როცა დავიღალე და შეცვლა ვითხოვე, მივედი დიეგოსთან, გადავეხვიე და მადლობა გადავუხადე იმ სიამოვნებისთვის, რომელიც ყველას მოგვანიჭა.

**- ისე, ჩვენი გუნდის მწვრთნელი ამ მატჩს საკმაოდ სერიოზულად უდგებოდა, თამაშის მსვლელობისას მითითებებსაც კი გაძლევდათ...**

- კი, ბატონი რეზო თამაშამდეც სერიოზულად გვამზადებდა. „მიხიჩამ" იცოდა, რომ ლიპიანი ვეტერანები ბევრს ვერ ვირბენდით და სპეციალური ტაქტიკაც კი დაგვამუშავებინა (იცინის)... რა თქმა უნდა, ამ მატჩის შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო, სანახაობით სიამოვნება მიგვეღო. მგონი, ხალხმაც ისიამოვნა... ისე კი, ჩვენმა გუნდმა მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვა... რას ვფიქრობ, იცით? კარგად რომ მოვემზადოთ, საქართველოს ჩემპიონატში ახლაც ვითამაშებთ და აუტსაიდერებიც არ ვიქნებით.

**- ჯერ იყო შოთა არველაძის გაცილების მატჩი, მერე „მარადონას მატჩი"... ხომ არ არის იდეა, რომ ჩვენმა ვეტერანებმა სხვა შეხვედრებიც გამართონ?**

- ჩვენ ახალი თაობის ვეტერანები ვართ, უფრო ძველ თაობას ხშირად იწვევენ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. ისე, ნამდვილად არ იქნება ურიგო, გუნდად ჩამოვყალიბდეთ და მატჩები გავმართოთ, ხალხიც ისიამოვნებს და ძველ კავშირებს კიდევ უფრო გავაღრმავებთ. შორს რომ არ წავიდეთ, რუსეთშიცაა ვეტერანთა ნაკრები და თქვენ წარმოიდგინეთ, ყოფილ ფეხბურთელებს ხელფასსაც უხდიან. ისე არ გამიგოთ, თითქოს ჩვენც ვითხოვდეთ ანაზღაურებას - არ გვინდა, ბატონო! შევიკრიბოთ ხოლმე და გავაგოროთ ბურთი, თუნდაც გასვლით მატჩებში...

**- როგორც ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი, რას იტყვით ამჟამინდელ გუნდზე?**

- ღმერთმა ქნას, მალე ვნახოთ ჩვენი ნაკრები მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, თუმცა, როგორც ჩანს, ეს დღეს და ხვალ არ მოხდება. მაგრამ აშკარაა, რომ საქმე უკვე წინ მიდის. დროა საჭირო, რათა დიდი მიზნები განვახორციელოთ. ნაკრების ახალ თაობაში თითოოროლა ნიჭიერ ფეხბურთელს ვხედავ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

**- როგორ აფასებთ კუპერის გუნდის თამაშს?**

- ვაკვირდები, რომ ბიჭები მეორე ტაიმს კარგად თამაშობენ. ეს უკვე ჰგავს გუნდს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო - როგორც მწვრთნელის, ისე ფეხბურთელების მხრიდან.

**- ჯერ კვიპროსთან თამაშზე ვთქვათ...**

- პირდაპირ გეტყვით და მგონი, ყველა დამეთანხმება, რომ კვიპროსთან ცუდად ვითამაშეთ. სხვათა შორის, მატჩამდე თემურ ქეცბაიას ვესაუბრე - მაინტერესებდა, მაინც რა გუნდი იყო ეს კვიპროსი. თემურმა დამარწმუნა, ახლანდელი ნაკრები სამი-ოთხი წლის წინანდელზე ბევრად უკეთესია, ნუ ეგონებათ ჩვენს ბიჭებს, რომ იოლად მოიგებენო... არ იყო ასე? მართლა ძლიერი გუნდი ჰყოლიათ. რაც შეეხება ბულგარეთთან მატჩს, სტუმრები ვერ ვიცანი. ეს ნამდვილად არ იყო ის გუნდი, რომელიც იტალიასთან ვნახეთ...

**- იმასაც ამბობენ, ბულგარელებს მწვრთნელის მოცილება უნდოდათ და თამაში შეგნებულად ჩააგდესო...**

- არ ვიცი, ნამდვილად ვერ დავდებ თავს, რომ ასე იყო. ბულგარეთმა რომ ცუდად ითამაშა, ამის გამო ჩვენს გუნდს დამსახურება არ უნდა დავუკარგოთ, პირიქით - ჩვენმა გუნდმა კარგად რომ ითამაშა, ეტყობა, ბულგარეთის ნაკრების ძალა ამიტომაც არ ჩანდა. სხვა შემთხვევაში, სტუმრები, ალბათ, მოგვიგებდნენ.

**- პირველ ოთხ მატჩში მხოლოდ 2 ქულა გვაქვს. როგორ ფიქრობთ, მეტი არ შეიძლებოდა?**

- ნამდვილად ველოდი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პროგრესი გამოჩნდა და მოთმინებაა საჭირო. თუ არ ვცდები, შარშან თუ შარშანწინ, კვიპროსელებმა ჩვენს ჯგუფში მყოფი ირლანდია საკუთარ მოედანზე გაანადგურეს.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ უპრიანი იქნებოდა, ეს საკვალიფიკაციო ეტაპი, რაკი გუნდი ახალგაზრდული და გამოუცდელია, მოსამზადებლად გამოგვეყენებინა?**

- (იცინის) იცით, რამდენი წელია ამგვარი ლაპარაკი მესმის?! დავიწყებთ საკვალიფიკაციო ეტაპს, წავაგებთ თამაშებს და სამი-ოთხი მატჩის შემდეგ უკვე მომდევნო ციკლისთვის ვემზადებით... და ეს მეორდება წლიდან წლამდე. ალალად ვამბობ, მსგავსი მეც მითქვამს და ახლა ამიტომაც მეცინება... ამგვარი დამოკიდებულება გულშემატკივარში პესიმიზმს იწვევს... როგორც ჩანს, მხოლოდ ფეხბურთი კი არა, ქვეყანაც მზად უნდა იყოს საიმისოდ, რომ ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზოს. სახელმწიფო ეკონომიკურად უნდა მოძლიერდეს. რეგიონებში ფეხბურთი თუ არ განვითარდა, მარტო თბილისის გუნდებით წინ ვერ წავალთ. ნიჭიერი თაობა მხოლოდ დედაქალაქში არ უნდა ვეძებოთ. რეგიონებსაც თუ მივაქცევთ ყურადღებას, მეტი კონკურენცია იქნება და ეს საერთო საქმეს წაადგება. ვიდრე ეს არ იქნება, მანამდე - მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე უნდა ვითამაშებთო, რომ ვიძახოთ, თავის მოტყუება იქნება. კუპერის კვალიფიკაციაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ის ჯადოქარი არ არის, დრო სჭირდება.

**- ნაკრებში თაობათა ცვლის მორიგი პროცესია. ახალ ფეხბურთელებზე რას იტყოდით?**

- ძალიან მომწონს მჭედლიძე. ვფიქრობ, მისგან ძალიან დიდი ფეხბურთელი დადგება. მთავარია, ნიჭი გამოიყენოს, სწორად გაიზარდოს... ლევანი იბრაჰიმოვიჩის სტილის ფორვარდია და მასზე უკეთესი თავდამსხმელიც იქნება, თუ სწორი გზით წავა. ყენიაზეც იმავეს ვიტყოდი. ისიც დიდი ფეხბურთელი დადგება.

**- კუპერს აქაური ფეხბურთელებიც არ დავიწყნია. მეტიც: ბულგარეთთან მატჩში ნახევარი გუნდი საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული...**

- მივესალმები ამ ნაბიჯს, ეს კარგი ტენდენციაა. ამით ეროვნული პირველობის დონეც აიწევს. პირდაპირ ვამბობ - თუ ნაკრებს საქართველოს ჩემპიონატიდან შევსება არ ეყოლება, ჩათვალეთ, რომ ეროვნულ გუნდს მომავალი არ ექნება... ბულგარეთთან მატჩში დავაკვირდი და მომეწონა ლექსო კვახაძე. ის ჩინებული მცველი დადგება - მშვენივრად თამაშობს თავით, არ ავიწყდება დაზღვევა და თამაშსაც კარგად „კითხულობს"... მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო, ისევე, როგორც ბევრ მის თანაგუნდელს. მომწონს ისიც, რომ კუპერი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს სისტემატურად ესწრება. აგერ, ნაკრებში ლომაია დააბრუნა... ახალგაზრდა მეკარეების მიმართ პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ სადღეისოდ, ლომაია საქართველოში ყველაზე ძლიერია. ერთი სიტყვით, კუპერი სწორ გზას ადგას და ახლა უფრო იმედიანად ვარ. ისე, ერთსაც დავამატებდი: კარგი იქნებოდა, არგენტინელი მწვრთნელის გვერდით რომელიმე ქართველ სპეციალისტსაც ემუშავა, რათა შემდგომ ისევ ჩვენს ფეხბურთს გამოდგომოდა.

**- როგორც გავიგეთ, კურსები გაიარე და მალე საფეხბურთო აგენტი გახდებით...**

- მართალია. ჭაბუკებში კარგი თაობა მოდის და მინდა, მათ სწორად აღზრდაში ჩემი წვლილიც შევიტანო. რა ვქნა, ფეხბურთს ვერ ვეშვები. ბედნიერი კაცი ვიქნები, თუ ერთ-ორ მოთამაშეს მაინც დავეხმარები კარიერის აწყობაში. ლიცენზია რამდენიმე კვირაში მექნება და აგენტის ამპლუაში მუშაობასაც შევუდგები.

**დავით ცაბაძე**

აქცია

# მოდი, ახლოს გავიცნოთ...

## საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები უნივერსიტეტს ესტუმრნენ

30 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრების ფანკლუბმა დაიწყო შეხვედრათა ციკლი, რომლის მიზანია, ქართველ გულშემატკივრებს უფრო ახლოს გააცნონ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები.

თავიდანვე ეს აქცია ჩაფიქრებული იყო იმისთვის, რომ ქომაგებს მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიეღოთ. ფანკლუბმა წინასწარ დაამზადა ფოტოები ფეხბურთელების ავტოგრაფებით, რომელიც სხვა სამახსოვრო საფეხბურთო ატრიბუტიკასთან ერთად გულშემატკივრებს გადაეცათ. მსურველებს საქართველოს ნაკრების ფანკლუბში გაწევრიანების საშუალება მიეცათ.

როგორც თავშივე ვთქვით, პროექტი მიზნად ისახავს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების გულშემატკივრებთან დაახლოებასა და პოპულარიზაციას, რაც, ჩანაფიქრის მიხედვით, ფანკლუბის ოფიციალურ წევრთა რაოდენობას გაზრდის. მეორე მხრივ, მსგავსი შეხვედრები ნაკრების ფეხბურთელებისთვის დამატებით სტიმულად უნდა იქცეს.




პირველ ეტაპზე ფანკლუბი აქცენტს გააკეთებს იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც ეროვნულ პირველობაზე თამაშობენ, მომავალში კი შეხვედრები ლეგიონერებთანაც იგეგმება. პროექტის განხორციელება გუშინ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაიწყო, სადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი შეიკრიბა. სტუდენტებს **რატი ალექსიძე**, **გიორგი ლომაია** (ორივე თბილისის „ლოკომოტივიდან") და **ირაკლი კლიმიაშვილი** („ვიტ ჯორჯია") ესტუმრნენ. შეხვედრა **ნიკა ქავთარაძეს** მიჰყავდა.

ქავთარაძის თქმით, საქართველოს ნაკრების ფანკლუბი ანალოგიურ შეხვედრებს ქვეყნის თითქმის ყველა სასწავლო დაწესებულებაში გეგმავს. ფეხბურთელები, სტუდენტები და შეხვედრის ორგანიზატორებიც კმაყოფილი დარჩნენ, რადგან უშუალო და გულღია ურთიერთკავშირი უმალ დამყარდა.

**რატი ალექსიძე**: *„ხშირად გრჩება შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოში გულშემატკივარი არც არის. გადიხარ მოედანზე სათამაშოდ და 200-300 კაცი ზის ტრიბუნაზე. არადა, ფეხბურთელისთვის მთავარი სტიმული არა ფული ან სხვა რამ, არამედ ხალხის გახარებაა. ჩვენ პირველ რიგში სწორედ ამისთვის ვთამაშობთ. ამიტომაც მიხარია, დღეს გულშემატკივრებს რომ შევხვდით. ფანკლუბი ამით დიდ საქმეს აკეთებს. თითქოს წვრილმანია, მაგრამ დიდი ფეხბურთი აქედან იწყება. ამ წამოწყებას ხალხი გვერდში უნდა დაუდგეს. მიხარია, რომ ბევრი გულშემატკივარი მოვიდა, მსგავსი შეხვედრები უნდა გაგრძელდეს და ტრადიციად იქცეს - ფანებსა და მოთამაშეებს შორის სწორედ ასეთი თბილი და უშუალო ურთიერთობა უნდა არსებობდეს".*

**ნიკა ქავთარაძე**, ფანკლუბი: *„ადამიანებმა ცოტა რამ იციან ფეხბურთელებზე, მათ ცხოვრებაზე, რადგან სტადიონებზე არ დადიან. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, თავად მივიდეთ გულშემატკივრებთან. ეს აქცია პერმანენტულად გაგრძელდება და ყველა უმაღლეს სასწავლებელში, სკოლებში მისვლას ვაპირებთ. ხალხმა ახლოს უნდა გაიცნოს მოთამაშეები. უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ურთიერთობა გულშემატკივრებსა და ნაკრების წევრებს შორის. თითოეული ჩვენი ფეხბურთელი საინტერესო პიროვნებაა და თუ მათ იცნობ, პატივისცემა და სტადიონზე მისვლის სურვილი გაგიჩნდება. გიორგი ლომაია ავიღოთ - მან სულ რაღაც ორი თამაშით დიამეტრულად შეცვალა მისდამი გულშემატკივრების დამოკიდებულება. შემდეგ შეხვედრას საქართველოში მოთამაშე ნაკრების სხვა წევრების მონაწილეობით გავმართავთ. დროა, ხალხმა ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეული მოთამაშეები გაიცნოს".*

**ირაკლი კლიმიაშვილი**: *„ფეხბურთელებს ხალხი არ გვიცნობს. ნაკრების თამაშზე შევდიოდი და დაცვა არ მიშვებდა. ასეთი შეხვედრები კი ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას უწყობს ხელს და არ შეიძლება, არ მომწონდეს".*

**გიორგი ლომაია**: *„ფეხბურთელებისთვის გულშემატკივრებთან ურთიერთობა ყველგან ჩვეულებრივი მოვლენაა. „კარლ ცაისში" თამაშის დროს ფანები კვირაში სამჯერ გვხვდებოდნენ. ერთმანეთს აქედანვე უნდა დავუმეგობრდეთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

ახალი თაობა

# შონია კაიზერს ელის

ვინ არის თემურ შონია? ეს კითხვა გულშემატკივარს 5 სექტემბრის შემდეგ გაუჩნდა. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, რუსეთის წინააღმდეგ, ბევრისთვის უცნობმა ნახევარმცველმა ითამაშა.

შონია იმ დროს უგუნდოდ იყო, ახლახან კი, ფორმის შესანარჩუნებლად, ცხინვალის „სპარტაკში" ჩაირიცხა: *„მეექვსე ტურში „სპარტაკი" „გაგრას" შეხვდა. ამ მატჩამდე ცხინვალელთა განაცხადში შემიყვანეს. მანამდე კი პირველი ლიგის „ოლიმპიკში" ვთამაშობდი, კარლო მჭედლიძის სკოლის აღზრდილი ვარ"* - ასე გაგვეცნო თემური.

შონიამ გერმანელი სელექციონერების ყურადღება საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშით დაიმსახურა. აი, რას ჰყვება ის: *„წელს გერმანიაში ვიყავი. მაისში, სამი კვირის განმავლობაში, „კაიზერსლაუტერნში" მსინჯავდნენ. საქართველოში დაიმედებული ჩამოვედი. მენეჯერმა მითხრა, რომ გუნდს ჩემი აყვანა სურს, უბრალოდ, გარკვეული ფორმალობის მოგვარებაა საჭირო. „კაიზერამდე" სამი დღე „ვერდერში" ვისინჯებოდი, მაგრამ იქ დარჩენა ვერ მოხერხდა. ახლა ველოდები გერმანელების ზარს, ხოლო მანამდე სათამაშო პრაქტიკა უნდა მქონდეს. ცხინვალის „სპარტაკი" ამაში ხელს შემიწყობს".*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი

# ჯაკობია საგოლე პასით დაბრუნდა

## დემეტრაძის ჰეთ-თრიკი, დოლიძის დუბლი

უკრაინაში ყველასგან მივიწყებული **ლაშა ჯაკობია** გამოჩნდა, რომელსაც გასული სეზონის შემდეგ ფეხბურთი აღარ უთამაშია. 28 წლის ქართველი ფორვარდი იანვარში პოლტავის „ვორსკლაში" გადავიდა, მაგრამ ტრავმებმა დარია ხელი. ლაშას კარიერა აერია. სექტემბრის ბოლოს ის ისევ გამოჩნდა ხარკოვის „მეტალისტში", ინტენსიური ვარჯიშით ფორმა აღიდგინა და უკრაინის თასის მერვედფინალურ მატჩში, კიევის „არსენალის" წინააღმდეგ ითამაშა. ლაშამ მთელი მეორე ტაიმი გაატარა მოედანზე. ხარკოველებმა კი 3:1 მოიგეს. ჯაკობიამ **ანდრეი კოვალი** შეცვალა.

მატჩის შემდეგ „მეტალისტის" მწვრთნელმა **ალექსანდრ ივანოვმა** განაცხადა, ჯაკობიამ ჩემი მითითებები შეასრულაო: *„ჩვენ გვსურდა, რომ სტუმართა დაცვა მუდმივი ზეწოლის წინაშე ყოფილიყო, ამიტომაც შევცვალეთ კოვალი ჯაკობიათი. მათი თამაშით კმაყოფილი ვარ"*.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა თანამემამულემ პირველივე მატჩში გამოიჩინა თავი: მსაჯის მიერ წამატებულ დროში ლაშას ზუსტი პასის წყალობით **ზეზემ** ანგარიში 3:1 გახადა.

აზერბაიჯანში თავი გამოიჩინა „ბაქოს" ქართველმა ფორვარდმა **გიორგი დემეტრაძემ**, რომელმაც ჰეთ-თრიკი შეასრულა. აზერბაიჯანის თასის პირველ მერვედფინალურ მატჩში „ბაქომ" ქვედა ლიგის „უნივერსიტეტი" 10:0 გაანადგურა დამეოთხედფინალის საგზური გაინაღდა. დემეტრაძემ ერთი გოლი პირველ ტაიმში გაიტანა (34-ე წუთი), ორი - მეორეში (73-ე და 77-ე). განსაკუთრებით ეფექტური იყო მისი მესამე გოლი იყო, როცა საჯარიმოში ორი მცველი მოატყუა და კუთხეში დასცხო. 32 წლის ქართველი ფორვარდის ეს პირველი აზერბაიჯანული ჰეთ-თრიკია. „სიმურგმა" ქვედალიგელი „სპარტაკი" 7:1 დაამარცხა. ორი გოლი **გრიგოლ დოლიძის** ანგარიშზეა (71-ე და 85-ე წუთები). ამ შეხვედრაში ბურთი **დავით ბოლქვაძემაც** გაიტანა, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. **ალექსანდრე გოგობერიშვილის** „ყარაბახმა" „ბაქილის" 3:0 მოუგო.

სომხეთის უმაღლესი ლიგის დასრულებამდე სამი ტურიღა დარჩა. 25-ე ტურში „პიუნიკმა" (56 ქულა) და „არარატმა" (53 ქულა) მოიგეს. ისინი კვლავ აგრძელებენ ჩემპიონობისთვის ბრძოლას. „განძასარმა", სადაც ყველაზე მეტი ქართველია, შინ 2:2 ითამაშა აუტსაიდერ „კილიკიასთან" და 43 ქულით მესამე ადგილზე გადავიდა. ამჯერად, ჩვენებურებს თავი არ გამოუჩენიათ. ამ მატჩში ითამაშეს: **ლევან ბუბუტეიშვილმა** (სულ 23 თამაში), **დავით ხანიშვილმა** (20 თ, 3 გ) და **გაგა თიბილაშვილმა** (25 თ, 4 გ). „განძასარის" საჩემპიონატო განაცხადში ამ სამეულის გარდა კიდევ ოთხი ჩვენებურია.

**ლევან აკობიასა** (22 თ) და **თენგიზ უგრეხელიძის** (18 თ) „ულისემ" შინ 1:0 დაამარცხა „ბანანცი". „ულისე" 27 ქულით მე-6 ადგილზეა. „მიკამ" სტუმრად წააგო ლიდერ „პიუნიკთან" - 0:3. აშტარაკელთა შემადგენლობაში **ირაკლი ცანავა** (7 თ) თამაშობს, სასტარტოს დაუბრუნდა **ზაზა სახოკია** (17 თამაში, 3 გოლი). **სოსო გრიშიკაშვილს** არ უთამაშია. სომხეთის 8-გუნდიან ჩემპიონატში „მიკა" 42 ქულით მეოთხე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფისვები

# 35-ე სკოლის 35 წლის დირექტორი: მარაკანა მალე ჩვენი იქნება

## მე, მშობლებმა და მწვრთნელებმა 150 000 ლარი დავხარჯეთ

**საბჭოთა პერიოდში 35-ე საფეხბურთო სკოლა რაღაც „ჰაი სქულის" მაგვარი იყო. ბავშვები სხვადასხვა საფეხბურთო სკოლაში იწყებდნენ ვარჯიშს, მერე კი გამორჩეულები მეტწილად 35-ე სკოლაში გადადიოდნენ. ყოველივე ამას, ფაქტობრივად, სისტემის სახე ჰქონდა და ეს კარგადაც მუშაობდა. თბილისის „დინამოში" ბევრი სწორედ 35-ე სკოლიდან მიდიოდა...**



გოჩა ავსაჯანიშვილი და არჩილ არველაძე — ავტორის ფოტო

ფეხბურთი, მოგეხსენებათ, ტრადიციული თამაშია, აქ ტრადიციები განსაკუთრებულად ფასეულია და რატომ უნდა იყოს გამონაკლისი ბავშვთა საფეხბურთო სკოლაც?! ოღონდ, ახლა რთულია სისტემის შექმნა, ან თუნდაც აღდგენა, სხვა დროა და სხვა გაქანებაა საჭირო. სახელმწიფოც, ასე თუ ისე, ეხმარება ფეხბურთს, თუმც ამ დახმარებას ჯერ სისტემის ფორმა არ აქვს. ბავშვთა ფეხბურთიც ჯერ განზე დგას სახელმწიფო პროექტებისგან და პრობლემები არ აკლია, თუმც სკოლები მუშაობენ და აქა-იქ კარგ ფეხბურთელებსაც ზრდიან.

35-ე სკოლა მხოლოდ საფეხბურთო არ არის, საჯარო სკოლაა ფეხბურთის სექციით. ცხადია, ამ სექციაში იმასაც შეუძლია შესვლა, ამ საჯარო სკოლის მოსწავლე რომ არ არის. ლეგენდარულ „35-ეში" 900-მდე ბავშვია, საფეხბურთო სექციაში კი დაახლოებით 5 000, საიდანაც რეგულარულად 400 მათგანი დადის ფეხბურთზე.

საფეხბურთო სექციაში სასიარულოდ წლიური გადასახადი 480 ლარია, რაც თვეში 40 ლარი გამოდის, თუმც საზაფხულო არდადეგების გამო სექცია ორი თვით არ ფუნქციონირებს. ერთი სიტყვით, 35-ე სკოლაში დაახლოებით ის ტარიფია, რაც თბილისის დანარჩენ სკოლებში.

სკოლას 15 მწვრთნელი ჰყავს და ყველა ლიცენზირებულია. ზოგს A ლიცენზია აქვს, ზოგს - C. დირექტორი კი **არჩილ არველაძეა**, თბილისის „დინამოს", „ტრაბზონსფორის", „ბრედასა" და „კიოლნის" ყოფილი შემტევი, ვისაც ეროვნულ ნაკრებში 38 მატჩი უთამაშია და 6 გოლი გაუტანია. სხვათა შორის, არჩილიც ძველი, საბჭოთა სისტემის დროს ჩამოყალიბდა ფეხბურთელად - ჯერ „ავაზაში" იყო, იქიდან 35-ეში გადავიდა, მერე კი თბილისის „დინამოში" მოხვდა.

სკოლის განკარგულებაშია ორი არასტანდარტული ზომის ხელოვნურსაფრიანი მოედანი და ამდენივე სტანდარტულიც - ერთი ხელოვნურსაფრიანი და ერთიც მიწის, კიდევ დარბაზის მოედანი. სკოლა იყენებს ეგრეთ წოდებულ „მარაკანას" სტადიონსაც, რომელიც იქვე ახლოსაა და იურიდიულად თბილისის მერიას ეკუთვნის. თავად სკოლა კი განათლების სამინისტროსია.

**დავით სირაძე, ოთარ ხიზანეიშვილი, ილია კანდელაკი** - ისინი ამ სკოლის აღზრდილები არიან, **პეტარ შეგრტის** მიერ გაწვრთნილ ახალგაზრდულ ნაკრებში კი 35-ედან ესენი მოხვდნენ: **ამირან სანაია** (ლე მანი), **ბუბა დაუშვილი, ალექსანდრე ბენაშვილი** (ორივე ზესტაფონი) და **დავით თარგამაძე** (ფრაიბურგი). ცხადია, ეს არ არის სრული სია იმ ფეხბურთელებისა, რომელთაც 35-ე სკოლა გაუვლიათ და მერე, სხვადასხვა დროს, ეროვნულ თუ ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშიათ.

და მაინც, რომელია საუკეთესო საფეხბურთო სკოლა საქართველოში? ეს კითხვა არჩილ არველაძეს დავუსვით: *„გადაჭრით ამის თქმა ძნელია... მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ, „ოლიმპი", „ოლიმპიკი", „ნორჩი დინამოელი" და თენგიზ სულაქველიძის აკადემია საუკეთესოები ვართ"* - გვითხრა დირექტორმა.

რაც შეეხება ეკიპირებას, 35-ე სკოლა ხანდახან უზრუნველყოფს ბავშვებს ფორმითა და ბურთით, ხან - ვერა. ეს ისეთი საკითხია, რომლის მოწესრიგება შეუძლებელი არ არის, მთავარია, სკოლამ დაფინანსების პრობლემას გაართვას თავი.

მართალია, სკოლა განათლების სამინისტროს ეკუთვნის, თუმც კომერციული საქმიანობის უფლებაც აქვს. მაგრამ ცხადია, სკოლა ვერ გახსნის თავის ტერიტორიაზე რესტორანსა თუ ბაზრობას, მაგრამ დაშვებულია ავტოსადგომი, სწრაფი კვების ობიექტი ან სხვა ისეთი რამ, რაც საჯარო სკოლასთან შეუსაბამობაში არ მოვა. 35-ე სკოლამ, ჯერჯერობით, მხოლოდ საფეხბურთო სექცია გახსნა, რაც ძალიან დიდი შეღავათი არ უნდა იყოს სკოლის ბიუჯეტისთვის. სახელმწიფო დაფინანსება კი საჯარო სკოლის თითოეულ ბავშვზე 300-ლარიან ვაუჩერს შეადგენს, ხოლო 900 ბავშვის ვაუჩერი არ არის საკმარისი ხარჯების სრულად დასაფარავად, ეს მხოლოდ კომუნალურ გადასახადებს თუ გასწვდება. მაგალითად, ზამთარში ბუნებრივი აირის გადასახდი სკოლას დახლოებით 18 000 ლარი უჯდება, წყალი და ელექტროენერგია კი თვეში დაახლოებით 3 000-3 000 ლარი.

*„სკოლის კეთილმოწყობისთვის მე, მწვრთნელებმა და მშობლებმა ჯამში 150 000 ლარი დავხარჯეთ. განათლების სამინისტროც გვაქცევს ყურადღებას - 40 000 ლარი მოგვცა. მშობლებს უჭირთ წელიწადში 480 ლარის გადახდა, მაგრამ სკოლა სხვანაირად ვერ იფუნქციონირებს, დიდი ხარჯი გვაქვს. მწვრთნელებისა და მასწავლებლების ხელფასს თავი რომ დავანებოთ, 35-ე სკოლას ყველა ასაკობრივ ლიგაში ჰყავს გუნდი და ფეხბურთის ფედერაციაში სამონაწილეო თანხა შეგვაქვს. ორი გუნდი გვყავს მეორე ლიგაში და თითოეულის სამონაწილეო თანხა 6 000 ლარს შეადგენს. ყველა ეს ხარჯი მშობლებისა და სკოლის კისერზე გადადის"* - ამბობს არველაძე.

საფეხბურთო სკოლას სხვა შემოსავლის წყაროც აქვს, მაგრამ საქართველოში ამ მხრივ ჯერ კარგად ვერ მუშაობენ. თუ მოზარდი პროფესიულ კლუბში მოხვდება, კომპენსაციის სახით სკოლამ უნდა მიიღოს 1 000 დოლარი იმ თითოეულ წელიწადზე, რომელიც ბავშვმა ამ საფეხბურთო სკოლაში გატარა. ათვლა 12 წლის ასაკიდან იწყება, ანუ - თუ ბავშვი ერთ სკოლაში დადიოდა 12-დან 16 წლამდე, პროფესიულმა კლუბმა 4 ათასი დოლარის საკომპენსაციო თანხა უნდა აიღოს. თუ მოზარდს უცხოური კლუბი აიყვანს, თანხა წელიწადზე 10 000 დოლარს შეადგენს. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს სისტემა კარგად არ მუშაობს, კლუბები შემოვლით გზებს ეძებენ - მშობლებს აიძულებენ, სკოლას თხოვნით მიმართონ, რათა მოზარდი პროფესიულ კლუბში უსასყიდლოდ ან იაფად გაუშვას. ხშირად, მშობელი იქით უხდის ფულს კლუბს, რათა თავისი ბავშვი იქ ჩაირიცხოს. რა თქმა უნდა, ეს ფული ბუღალტერიაში არ ტარდება, რადგან ის, ფაქტობრივად, ქრთამია კლუბის მესვეურისთვისა თუ მწვრთნელისთვის. საქართველოში ამ გზით არაერთი მწვრთნელი თუ კლუბის მაღალჩინოსანი გამდიდრდა. ეგ არის, რომ ამგვარი მანკიერი გარიგებების დამტკიცება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

*„35-ე სკოლას ყოველთვის ჰქონდა თავისი ხელწერა - ეს იყო ტექნიკა და დღესაც ეს პრიორიტეტი აქვს. 12 წლის ასაკამდე ბავშვი არ უნდა იყოს ორიენტირებული შედეგზე, მერე კი უნდა გამოუმუშავდეს გამარჯვებისთვის საჭირო თვისებები. ბევრს კამათობენ იმაზეც, ბავშვმა ხელოვნურსაფრიან მოედანზე უნდა ივარჯიშოს თუ არა. მინდორს არაფერი სჯობია, მაგრამ ამის საშუალება ქართულ საფეხბურთო სკოლებს ნაკლებად აქვთ. ყველაფერი შედარებითია და როცა არჩევანის გაკეთება გიწევს ოღრო-ჩოღრო, ტალახიან და სუფთა, ხელოვნურსაფრიან მოედანს შორის, რა თქმა უნდა, უპირატესობა ხელოვნურს ენიჭება. სხვათა შორის, უკვე შევიძინეთ ბოლო თაობის ხელოვნური საფარი და ახლა ვმუშაობთ იმ თანხის მოსაძიებლად, რაც მის დაგებას სჭირდება. თბილისის სპორტის სამსახურის უფროსი ზაზა დოლიძე გვპირდება დახმარებას. მიდის ლაპარაკი იმაზეც, რომ „მარაკანას" სტადიონი ჩვენს სკოლას გადაეცეს"* - გვითხრა 35-ე სკოლის 35 წლის დირექტორმა.

ეს სკოლა საბურთალოზეა, ქავთარაძის ქუჩაზე, თუმც იქ ბავშვები გლდანიდან და თემქიდანაც დადიან. მეტიც - სკოლას რამდენიმე მოსწავლე რუსთავიდან, მცხეთიდან და ქსნიდანაც ჰყავს. 35-ე სკოლის ერთ-ერთი კოზირი ხომ ისიც არის, რომ საჯარო სკოლა და ფეხბურთი ერთად არის, სკოლის შემდეგ მოზარდი იქვე რჩება ფეხბურთში სამეცადინოდ...

**დავით თავართქილაძე**

ფუტზალი

ინტერვიუ ავთანდილ ასათიანთან

# სპონსორიც გამოჩნდა...

**ქართულ ფეხბურთში ყოველი ახალი სპონსორის გამოჩენა ლამის ზეიმად იქცევა ხოლმე. რეალობას ვერსად გავექცევით - ევროპისათვის და, საერთოდ, განვითარებული ქვეყნებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ამბავია. ამ შემთხვევაში, საზეიმოდ საქმე ფუტზალელებს აქვთ. უფრო კონკრეტულად, ფუტზალის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ავთანდილ ასათიანი გვესაუბრება...**

- საერთოდ, ქართულ ფეხბურთში და მით უფრო, ფუტზალში სპონსორი იშვიათად მოდის. მაგრამ აი, გამოგვიჩნდა ძლიერი ფინანსური მხარდამჭერი- „ტაოპრივატბანკი". რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ძლიერ მახარებს. ბანკმა თანხის დაბანდება გადაწყვიტა და ახალი, ძლიერი კლუბიც ჩამოყალიბდა - „ტაოპრივატბანკი". ვინც ფუტზალში ჩახედულია, მშვენივრად იცის, რომ „იბერია 2000"-ს დიდხანს არ ჰყავდა კონკურენტი და ჩემპიონის ტიტულს იოლად იგებდა. დამეთანხმებით, კონკურენციის გარეშე ძნელია ჩემპიონატის დონის აწევა. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარ და, ბუნებრივია, საქართველოს ჩემპიონატის პროგრესით ჩემი დაინტერესება. ძირითად შევსებას აქედან ვიღებთ და ამიტომაც მიხარია ახალი გუნდის ჩამოყალიბება. „ტაოპრივატბანკი" „იბერია 2000"-ს დიდ კონკურენციას გაუწევს და ეს ისევ ნაკრების ინტერესებშია, ეროვნული ჩემპიონატიდან უფრო ძლიერ და მომზადებულ მოთამაშეებს ავიყვანთ.

**- „ტაოპრივატბანკი" ახალი გუნდია?**

- ადრე „ცენტრპოინტი" იყო, ამ გუნდის ბაზაზე დავიმატეთ ძლიერი მოთამაშეები და ახლა ეროვნული ნაკრების წევრთა 90 პროცენტი ჩვენთან ითამაშებს. ასე რომ, „იბერია 2000"-ს სერიოზულ წინააღმდეგობას გავუწევთ.

**- ...და ეროვნულ ნაკრებშიც იმუშავებთ?**

- დიახ, ვფიქრობ, ჩვენს შემთხვევაში, ასე აჯობებს, რადგან ნაკრების მოთამაშეთა დიდი ნაწილი ჩემი ხელმძღვანელობით ივარჯიშებს.

**- „ტაოპრივატბანკს" რა ინტერესი აქვს ფუტზალში?**

- ჩემპიონატში გამარჯვებულს ფუტზალის ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის პერსპექტივა აქვს. ჩვენ „ტაოპრივატბანკის" ლოგოთი დამშვენებული მაისურებით ვითამაშებთ. თანაც, ეს ბანკი ნაწილობრივ უკრაინულია და ამ ქვეყანაშიც ვგეგმავთ თამაშებს. რაც მთავარია, სპონსორმა ბიჭებს საკმაოდ მაღალი ხელფასებიც დაუნიშნა. ასე რომ, არის გუნდი, სადაც ტრადიციული ფინანსური პრობლემა არ არსებობს.

**- ქართული ფუტზალის ლიგა პოპულარიზაციას საჭიროებს...**

- ვფიქრობ, „იბერიასა" და „ტაოპრივატბანკს" შორის კონკურენცია ხალხს დააინტრესებს. წლეულს ჩემპიონატში სულ 6 გუნდი ითამაშებს, ტურნირი კი 4 ნოემბერს დაიწყება. ძალიან კარგია, რომ ლიგაში სამი რეგიონის გუნდია წარმოდგენილი - ქუთაისის, მცხეთისა და გურიის. დავუმატოთ ამათ „იბერია", „ტაო" და „ახალგაზრდული ნაკრები - ქარიშხალა". ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, მოვახერხებთ თუ არა იმედების გამართლებას. ჩემპიონატის მეორე ტურის შემდეგ, ათდღიანი პაუზა იქნება. ნაკრებს უცხოური თამაშები ელის. 23 ნოემბერს გავემგზავრებით პორტუგალიაში, სადაც იქაურ ნაკრებს 25 და 26 ნოემბერს დავუპირისპირდებით.

**მერაბ მამულაშვილი**



ავთანდილ ასათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. IX ტური

# უფორვარდობა ფლორენციაში

## მოურინიომ ლიდერები აღიარა

იტალიის ჩემპიონატის მეცხრე ტური ერთობ საინტერესო გამოდგა. მატჩებმა უშელავათო ბრძოლაში ჩაიარა და რამდენიმე მეტად საინტერესო ანგარიში დაფიქსირდა. დავიწყოთ ცენტრალური პაექრობით:

ფლორენციაში, „არტემიო ფრანკიზე“ „ფიორენტინამ“ „ინტერი“ მიიღო და უგულო ფრეთი გაეყარა. ზედ შეხვედრის წინ **ჩეზარე პრანდელი** მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, „ვიოლას“ თავკაცი ორი ძირითადი ფორვარდის გარეშე დარჩა. ის, რომ **ალბერტო ჯილარდინოს** დისკვალიფიკაცია აქვს, ძველი ამბავია, **ადრიან მუტუმ** კი მცირე ტრავმა მიიღო და გუნდი, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. მართლაც და, „ფიორენტინას“ ამ შეხვედრაში მხოლოდ შეტევების კარგი დამაგვირგვინებელი დააკლდა. ბევრისთვის მოულოდნელად, მატჩი მასპინძელთა სათამაშო უპირატესობით წარიმართა და თუ ვინმე გამარჯვებას იმსახურებდა, სწორედ „ფიორე“ გახლდათ. პრანდელიმ მუტუ-ჯილარდინოს არყოფნაში, სასტარტო შემადგენლობაში ორი ახალგაზრდა ფორვარდი დააყენა. წინა ხაზზე **პაცინი** და **ოსვალდო** აქტიურობდნენ, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში ბევრი წუნი ჰქონდათ. ყველაზე რეალური შანსი ფლორენციელებს მეორე ნახევრის შუაწელს მიეცათ. აქტიურმა **მანუელე პასკუალიმ** მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, პაცინის გოლის გატანის გარდა აღარაფერი დარჩენოდა... მოულოდნელად ბურთს თავი უხეიროდ დაარტყა.

უფერულად ითამაშა „ინტერმა“, განსაკუთრებით შეტევის ხაზში. მოურინიომ სასტარტოში **იბრაჰიმოვიჩსა** და **მანსინისთან** ერთად **ობინა** გაამწესა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. აფრიკელმა ბევრი ირბინა, ნახევარდაცვას აქტიურად ეხმარებოდა, მაგრამ შეტევაში თავი ვერაფრით გამოიჩინა. უჩვეულოდ ინერტული იყო ზლატანი, მთელი 90 წუთის განმავლობაში თავი, ფაქტობრივად, ვერაფრით დაგვამახსოვრა. სამაგიეროდ, ნახევარდაცვაში კარგად წარმოჩინდა **კრისტიან კივუ** და არაა გამორიცხული, ჟოზემ რუმინელს ამპლუა შეუცვალოს. თავად მოურინიო კი მატჩის შემდეგ მშვიდად გამოიყურებოდა. აღნიშნა კიდეც - ეგ არაფერი, წინ დიდი დროა და კვლავაც ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტად ვრჩებითო.

„ინტერის“ წაფორხილებით კონკურენტებმა კარგად ისარგებლეს და პირველობის მთავარი ფავორიტი უკან ჩამოიტოვეს. „უდინეზე“ სიცილიას ესტუმრა და „კატანია“ მისსავე მოედანზე დაამარცხა. თანაც, ეს ლიდერ **ანტონიო დი ნატალეს** გარეშე გააკეთა. არადა, „კატანია“ მიმდინარე სეზონს შესანიშნავად ატარებს და ამ გუნდის სიცილიაში დამარცხება, მართლაც აღსანიშნავია. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ უდინელები საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენენ და მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებენ. სტუმართაგან მექსიკელი **სანჩესი** და **ფაბიო კვალიარელა** გამოირჩეოდნენ. ამ გამარჯვებით „უდინეზემ“ 17 ქულას მოუყარა თავი და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

17 ქულა აქვს „ნაპოლისაც“. სამხრეთულმა გუნდმა საკუთარ მოედანზე ჩემპიონატის აუტსაიდერი „რეჯინა“ მიიღო და მეტოქეს სამი უპასუხო ბურთი გაუტანა. მატჩის გმირი **ერმან გუსტავო დენისი** გახლავთ, ვინც ჰეთთრიკი შეასრულა. არგენტინელმა ფორვარდმა დიდებულად ითამაშა და ბოძებული შანსი ბოლომდე გამოიყენა. თუმცა მხოლოდ ერთი ფეხბურთელის გამორჩევა, თუნდაც სამი გოლის ავტორი იყოს, უმადურობაა. „ნაპოლიმ“ მთლიანობაში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნა. **ედუარდო რეიამ** ბრწყინვალე გუნდი ჩამოაყალიბა, რომელსაც მიმდინარე სეზონში კიდევ ბევრი სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია.

ორმატჩიანი პაუზის შემდეგ კვლავ გაიმარჯვა „ლაციომ“ და ეს ურთულეს შეხვედრაში გააკეთა. „ბიანკოჩელესტემ“ ვერონაში იძალა და „კიევო“ მინიმალური სხვაობით დაამარცხა, 2:1. მატჩის წინ, იტალიური პრესა აქტიურად წერდა, რომ **დელიო როსი** სწორედ ამ შეხვედრაში აისრულებდა ნატვრას და მეტოქეს ერთბაშად სამ ფორვარდს დაუპირისპირებდა. „გაძეტა დელო სპორტმა“ „ლაციოზე“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატია ასე დაასათაურა: **სა-პა-რო**. ეს **კა-პა-რო-ს** რომაული ვარიანტია და ნიშნავს: **სარატე-პანდევი-როკის** შემტევ ტრიოს. ასეთი ფორმაციის „ლაციო“ მხოლოდ 15 წუთით ვიხილეთ, როკი მოედანზე მეორე ნახევარში გამოვიდა და ნახევარმცველი **კოლაროვი** შეცვალა. როგორც აპენინელი ჟურნალისტები წერენ, ამ გადაადგილებამ ვერ გაამართლა, სტუმართა გუნდში რაღაც აირია, დელიო როსი იძულებული გახდა, როკი უკან გამოეყვანა და მის ნაცვლად თამაშში **უსმან დაბო** ჩაერთო. მართლაც და, რომაელებმა ორ-სამ წუთში გამარჯვების გოლი გაიტანეს და შინ სამი ქულით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ.

გაიმარჯვა „მილანმაც“. **კარლო ანჩელოტის** გუნდმა „სან სიროზე“ დიდი გაჭირვებით „სიენა“ დაამარცხა, 2:1. ტოსკანელები მთელი გუნდით საკუთარ ნახევარზე განლაგდნენ და თამაში კონტრიერიშებზე ააწყვეს. მასპინძელთა სწრაფმა გოლმა სტუმართა ორგანიზებულ თამაშს ვერაფერი დააკლო, „სიენამ“ მწყობრად გააგრძელა თამაში და მეორე ნახევარში გატანილი გოლითაც დასაჩუქრდა. თუმცა კლასმა მაინც თავისი გაიტანა - **კაკას** ზუსტი თერთმეტმეტრიანით „მილანმა“ სამი ქულის აღება მოახერხა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ **ფილიპო ინძაგი** შესანიშნავ ფორმაშია მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა სულ ახლახან მოიშუშა. მატჩის შემდეგ პიპომ პრესასთან საინტერესო კომენტარი გააკეთა: *„ვგრძნობ, რომ დღითი დღე უკეთესად ვთამაშობ და ეს მომავლის იმედს მაძლევს. „მილანთან“ ერთად სკუდეტოს და უეფას თასის მოგება მსურს. „როსონერიში“ ძირითადის ფეხბურთელები არ არსებობენ. ანჩელოტი როტაციას მიმართავს და ამას ყველანი გაგებით ვეკიდებით. არ ვმალავ, რომ ძალიან მინდა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში. იმედია მარჩელო ლიპი ყურადღებას მომაქცევს და ნაკრებში დამაბრუნებს“.*

ანჩელოტი მართლაც კარგად იყენებს მის ხელთ არსებულ რესურსს და ცდილობს, ყველას თავისი ადგილი მოუძებნოს. „სიენის“ წინააღმდეგ კარლეტომ ორი გამოკვეთილი ფორვარდი, ინძაგი და **პატო** დააყენა, მათ უკან კი კაკა გაამწესა. ძირითადში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება ბრაზილიელი **ემერსონი**, მის მხარდამხარ ამჯერად **ჯენარო გატუზო** და **კლარენს ზეედორფი** გაისარჯნენ. სასტარტოს უშინაურდება ახალგაზრდა მცველი **ლუკა ანტონინიც**. პრიმავერას აღზრდილი უნივერსალური თვისებებით გამოირჩევა. ლუკამ წინა შეხვედრები ფლანგზე ითამაშა, ამჯერად კი ცენტრში დაიკავა ადგილი და **დანიელე ბონერას** მხარდამხარ იასპარეზა. მომავალ ტურში „მილანს“ ძალიან საინტერესო მატჩის გამართვა მოუწევს, „როსონერი“ საკუთარ მოედანზე პირველობის ლიდერ „ნაპოლის“ უმასპინძლებს.

გაიმარჯვა ტურინის „იუვენტუსმაც“. „ვეკია სენიორა“ „ბოლონიას“ ესტუმრა და მეტოქე **პაველ ნედვედის** დუბლის წყალობით დაამარცხა. ტურინელთა მორიგმა გამარჯვებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ კრიზისი დაძლეულია და „იუვე“ აღმავლობის გზაზეა. მეცხრე ტური ჩაშლილი მატჩითაც გამოირჩეოდა. „რომა“ - „სამპდორიის“ დაპირისპირება მე-5 წუთზე ძლიერი წვიმის გამო შეწყდა და სამომავლოდ გადაიდო. შეხვედრის გამართვის თარიღს ფედერკალჩო უახლოეს დღეებში დაადგენს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ჰერმან დენისმა რეჯინას სამი გოლი გაუტანა

### ფიორენტინა-ინტერი 0:0

**ფიორენტინა:** ს. ფრეი-6.5, კომოტო-6, კროლდრუპი-6.5, გამბერინი-6.5, პასკუალი-7 (87. ძაური), კუზმანოვიჩი-6.5 (69. ალმირონი-6), მელუ-6.5, მონტოლივო-6.5, სანტანა-6.5, პაცინი-6, ოსვალდო-6 (74. იოვეტიჩი-6).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6.5, მაიკონი-6.5, კორდობა-7, ბურდისო-7, კივუ-6, მაქსველი-5, ხ. ძანეტი-5.5, სტანკოვიჩი-5.5 (81. კვარეშმა), ობინა-5.5 (62. კრესპო-6), მანსინი-5.5 (62. ვიეირა-5.5), იბრაჰიმოვიჩი-6.

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 1-7; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 0-8; **კარში დარტყმა:** 16-10- (3-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 36 358

### მილანი-სიენა 2:1

**მილანი:** აბიატი-6.5, ძამბროტა-6, ბონერა-6, ანტონინი-6.5, ფავალი-6, ემერსონი-6.5 (71. ამბროზინი-6), გატუზო-7, ზეედორფი-5, კაკა-6, პატო-6.5, ფ. ინძაგი-6.5 (77. შევჩენკო-6).

**სიენა:** მანიტა-6, როსეტინი-6, სუნიგა-6.5 (55. ა. როსი-6), პორტანოვა-6.5, დელ გროსო-6, ვერგასოლა-6.5, კოდრეა-5.5, იაროლიმი-5.5 (62. გალოპა-6.5), ხარჯა-5.5, გეზალი-6, ფრიკი-5 (77. მაკარონე-6).

**გოლები:** 1:0 ფ. ინძაგი (31), 1:1 ვერგასოლა (54), 2:1 კაკა (65-პენ)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 7-19; **თამაშგარე:** 12-4; **კარში დარტყმა:** 14-13- (4-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 49 650

### კატანია-უდინეზე 0:2

**კატანია:** ბიცარი-6, სარდო-5 (46. პ. ლედესმა-6.5), სტოვინი-5.5, სილვესტრე-5.5, პ. ალვარესი-5.5, ბაიოკო-5, ჯაკ. ტედესკო-5 (77. ანტენუჩი), ბიაჯანტი-5, მარტინესი-6 (46. პლასმატი-6.5), პაოლუჩი-6, მასკარა-5.5.

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი-6.5, მ. მოტა-6.5, ა. კოდა-6, დომიცი-7, პასკუალე-6, ინლერი-7, გ. დ'აგოსტინო-6.5, ისლა-6.5, პეპე-6.5, კვალიარელა-7 (87. ნეფი), სანჩესი-7.5 (81. ფლორო ფლორესი).

**გოლები:** 0:1 სანჩესი (13), 0:2 კვალიარელა (83)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 2-1; **ჯარიმა:** 22-23; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 23-14- (6-6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 19 000

### ბოლონია-იუვენტუსი 1:2

**ბოლონია:** ანტონიოლი-5, ძენონი-5 (46. მარკინი-5), მორასი-5, კასტელინი-6, ტერცი-5.5, ბომბარდინი-5.5, ლავეკია-6 (89. ბერნაჩი), მუდინგაი-5.5, მინგაცინი-5.5 (67. კარუსი-6), დი ვაიო-6.5, მარაცინა-5.5.

**იუვენტუსი:** მანინგერი-6.5, მელბერგი-6, კნეჟევიჩი-5.5, კიელინი-6, მოლინარო-5.5, მარკიონი-6, სისოკო-6 (60. ეკდალი-6), ტიაგო-6 (84. კამორანეზი), ნედვედი-7.5, იაკვინტა-5.5, ამაური-6.5 (70. ჯოვინკო-5.5).

**გოლები:** 0:1 ნედვედი (12), 0:2 ნედვედი (56), 1:2 დი ვაიო (74)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 18-24; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 6-13- (2-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 31 000

### ნაპოლი-რეჯინა 3:0

**ნაპოლი:** ნავარო-6, სანტაკროჩე-6.5 (68. არონიკა-6), კანავარო-6, კონტინი-6.5, მაჯო-7 (82. მონტერვინო), პაციენცა-6.5, გარგანო-6.5, ჰამშიკი-7, მანინი-6.5, დენისი-7.5, ლავეცი-7 (77. სალაიეტა).

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ლანძარო-5.5, კ. ვალდესი-5, კოსტა-5, ვიჯანი-6, ბარეტო-5.5 (74. ჰალფრედსონი-6), კარმონა-5.5, ბარილა-5 (61. დი ჯენარო-5), ტონიოცი-5, ე. ალვარესი-5, კორადი-4.5 (72. რაკიჩი-5.5).

**გოლები:** 1:0 დენისი (7), 2:0 დენსი (16), 3:0 დენისი (63)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14-3- (6-1); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 45 000

### კიევო-ლაციო 1:2

**კიევო:** სორენტინო-6, მალაგო-5, მანდელი-6, იეპესი-6.5, მანტოვანი-4.5, პატრასკუ-6, მარკოლინი-5.5 (65. დ'ანა-5.5), ბენტივოლიო-6, ლუსიანო-5 (86. მ. ესპოზიტო), ბოგდანი-5 (73. კერლონი-5.5), პელისიერი-6.5.

**ლაციო:** კარისო-6.5, ლიხტშტაინერი-6.5, სივილია-6, როზენალი-6, კოლაროვი-6 (46. როკი-6), დაბო-6 (81. ბროკი), კ. ლედესმა-6.5, რადუ-6, სარატე-6.5 (75. მაკინვა-5.5), პანდევი-6.5, დე სილვესტრი-5.5.

**გოლები:** 1:0 პელისიერი (11), 1:1 პანდევი (14), 1:2 მანტოვანი (82-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 21-16; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 8-11- (3-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 8 750

### ლეჩე-პალერმო 1:1

**ლეჩე:** ბენუსი-6.5, ა. ესპოზიტო-6.5, სტენდარდო-7.5, დიამუტენი-7, ანტუნეში-6.5, მუნარი-6, არდიტო-6.5, ჯაკომაცი-7, კაზერტა-6.5 (86. ბაშტა), კასტილიო-6, კაჩა-6.5 (78. ვივესი).

**პალერმო:** ა. ფონტანა-5.5, კასანი-6, კაროციერი-6, კიაერი-6, ბალცარეტი-6, გუანა-5.5 (60. ლივერანი-6), მილიაჩო-5.5 (74. სუჩი), ბრეშანო-5.5 (67. ლანცაფამე-6), სიმპლისიუ-6.5, კავანი-6, მიკოლი-6.5.

**გოლები:** 1:0 კაჩა (22), 1:1 კავანი (88)

**გაძევება:** ჯაკომაცი (75. ლეჩე)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 20-23; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 5-8- (1-1); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 9 437

### ჯენოა-კალიარი 2:1

**ჯენოა:** რუბინიო-6.5, პაპასტატოპულოსი-6.5 (82. იანკოვიჩი), ფერარი-6, კრიშიტო-6.5 (46. ბოკეტი-5.5), მ. როსი-6, ტ. მოტა-6.5, ბიავა-6.5, მესტო-6.5, გასბარონი-5 (46. ვანდენ ბორე-), სკული-6.5, მილიტო-6.5.

**კალიარი:** მარკეტი-6, ფ. პიზანო-6, ლოპესი-6, ბიანკო-6.5, აგოსტინი-6 (90. ასტორი), ფინი-5.5, კონტი-5.5, პაროლა-6, ლაძარი-5.5 (81. მატრი), ჟედა-5.5, აკვაფრესკა-5.5 (64. ლარივეი-5.5).

**გოლები:** 1:0 პაპასტატოპულოსი (25), 2:0 ტ. მოტა (55), 2:1 ბიანკო (66)

**გაძევება:** ფინი (77. კალიარი)

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 25-15; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 13-15- (7-4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 23 948

### ტორინო-ატალანტა 2:1

**ტორინო:** კალდერონი-5, დიანა-6, ნატალი-7, პრატალი-5.5 (77. დი ლორეტო), მ. პიზანო-6.5, ზოიმელი-6, ჯემაილი-6.5, რუბინი-7, როზინა-5.5 (46. აბატე-6.5/70. კოლომბო), სტელონე-7, ამორუზო-7.

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-6.5, დარიჩი-5, ტალამონტი-6 (35. პელეგრინო-5.5), კაპელი-6.5, ბელინი-6, პინტუ-5.5 (72. ჩერჩი), დე აშენტისი-6, გუარენტე-6.5 (62. ხ. ვალდესი-6.5), პადოინი-6, კ. დონი-5, ფლოკარი-6.5.

**გოლები:** 1:0 ამორუზო (62), 2:0 სტელონე (64), 2:1 ფლოკარი (66)

**გაფრთხილება:** 3-0; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 25-19; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 6-7- (3-1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 14 000

რომა-სამპდორია გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 9 | 6 | 2 | 1 | 17-6 | 20 |
| 2. ნაპოლი | 9 | 6 | 2 | 1 | 14-7 | 20 |
| 3. მილანი | 9 | 6 | 1 | 2 | 14-7 | 19 |
| 4. ინტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 13-5 | 18 |
| 5. ფიორენტინა | 9 | 5 | 2 | 2 | 12-7 | 17 |
| 6. ლაციო | 9 | 5 | 1 | 3 | 17-12 | 16 |
| 7. ჯენოა | 9 | 5 | 1 | 3 | 12-8 | 16 |
| 8. კატანია | 9 | 4 | 3 | 2 | 9-7 | 15 |
| 9. იუვენტუსი | 9 | 4 | 3 | 2 | 9-7 | 15 |
| 10. ატალანტა | 9 | 4 | 1 | 4 | 9-9 | 13 |
| 11. პალერმო | 9 | 4 | 1 | 4 | 12-14 | 13 |
| 12. ლეჩე | 9 | 2 | 4 | 3 | 9-11 | 10 |
| 13. სიენა | 9 | 2 | 3 | 4 | 7-8 | 9 |
| 14. ტორინო | 9 | 2 | 2 | 5 | 9-13 | 8 |
| 15. სამპდორია | 8 | 1 | 4 | 3 | 6-11 | 7 |
| 16. რომა | 8 | 2 | 1 | 5 | 9-15 | 7 |
| 17. კალიარი | 9 | 2 | 1 | 6 | 5-12 | 7 |
| 18. ბოლონია | 9 | 2 | 0 | 7 | 7-14 | 6 |
| 19. კიევო | 9 | 1 | 3 | 5 | 6-13 | 6 |
| 20. რეჯინა | 9 | 1 | 2 | 6 | 6-16 | 5 |

**ბომბარდირები:** 7 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 6 - სარატე (ლაციო); 5 - ამაური (იუვენტუსი), დენისი (ნაპოლი), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მიკოლი (პალერმო), მილიტო (ჯენოა), პანდევი (ლაციო); 4 - კორადი (რეჯინა), დი ნატალე (უდინეზე), დი ვაიო (ბოლონია), ჰამშიკი (ნაპოლი), კვალიარელა (უდინეზე); 3 - ფლოკარი (ატალანტა), კაკა (მილანი), მასკარა (კატანია), მუტუ (ფიორენტინა), პაოლუჩი (კატანია), რონალდინიო (მილანი).

ამბები

## სენსი სპალეტის ენდობა

„რომას“ კრიზისი იტალიაში კვლავაც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. უდინეში განცდილი მარცხის შემდეგ აპენინურ პრესაში უკვე ღიად ალაპარაკდნენ იმაზე, რომ შესაძლოა, უახლოეს მომავალში **ლუჩანო სპალეტიმ** გუნდის თავკაცის პოსტი დატოვოს. თუმცა გუშინ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, არც მთლად ასე ყოფილა საქმე. უდინედან დაბრუნებული სპალეტი „რომას“ პრეზიდენტ **როზელა სენსის** შეხვდა და მისგან ნდობის ლიმიტი ხელახლა მიიღო. ჟურნალისტები როზელასა და ლუჩანოს შეხვედრის დასრულებას კარგა ხანს ელოდნენ, შემდეგ კი ორივე მათგანს კომენტარი ჩამოართვეს. თავდაპირველად სპალეტის მოვუსმინოთ: *„როგორც ყოველთვის, სენიორა სენსიმ გულთბილად მიმიღო და გვერდში ამომიდგა. მისი თქმით, კვლავაც სჯერა ჩემი და დარწმუნებულია, რომ გუნდს რთული მდგომარეობიდან სწორედ მე გამოვიყვან. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ვაგრძელებთ მუშაობას და ვიტოვებთ იმედს, რომ ყველაფერი უმოკლეს დროში გამოსწორდება. გარკვეული გეგმა უკვე მაქვს და წესით, კრიზისს მალე უნდა დავაღწიოთ თავი“.*

სენსის თქმით, „რომას“ მესვეურები ბოლომდე ენდობიან სპალეტის და მის გათავისუფლებას არ დაუშვებენ: *„სპალეტი ნიჭიერი სპეციალისტია, ის ყველაზე უკეთ იპოვის გამოსავალს და გუნდს გაჭიანურებულ კრიზისს დააძლევინებს“.*

## ანჩელოტი ოპტიმისტობს

რამდენიმე დღის წინ **ადრიანო გალიანიმ** განაცხადა, რომ ჯერ ძალიან ადრეა ლაპარაკი „ინტერთან“ კონკურენციაზე. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტის თქმით, გუნდმა ჯერ სტაბილურობას უნდა მიაღწიოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დისკუსია „როსონერიზე“, როგორც ფავორიტზე. განსხვავებული აზრისაა **კარლო ანჩელოტი** ვინც იტალიურ პრესას გაცილებით უფრო ოპტიმისტური კომენტარი მისცა: „შევძლებთ თუ არა „ინტერთან“ კონკურენციას? სიმართლე გითხრათ, „ნერაძურიზე“ სულაც არ ვფიქრობ. „მილანი“ ამ სეზონში ძალიან ძლიერია, ჩვენ ექსტრაკლასის ფეხბურთელები გვყავს და უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა შეგვიძლია. დარწმუნებული ვარ, რომ სკუდეტოსა და უეფას თასის მოგება ხელგვეწიფება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეისთვის გუნდმა ფორმის პიკს მიაღწია, პირიქით, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს დასახვეწი. ფეხბურთელები არასტაბილურობით გამოირჩევიან და ეს ჩვენს თამაშს გარკვეულ დაღს ასვამს. ზამთრის შესვენებას ნაყოფიერად გამოვიყენებთ და ხარვეზებს აღმოვფხვრით. მანამდე კი მაქსიმალური მობილიზაციით უნდა ვითამაშოთ, დაგეგმილი ქულები რომ არ დავკარგოთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. X ტური



მანჩესტერ იუნ-ვესტ ჰემი. დიმიტარ ბერბატოვი ლონდონელი ჟულიენ ფობერის წინააღმდეგ

# რედნაპის სასწაული

## ბერბატოვის საგოლე პასი, რომელიც ერთ რამედ ღირდა

**ჰარი რედნაპის** მორიგი სასწაული - მხოლოდ ასე შეიძლება შეფასდეს ის, რაც „არსენალისა" და „ტოტენჰემის" დერბიში მოხდა. თამაშის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე „მეთოფეები" ორი ბურთის სხვაობით იგებდნენ. „მამლები" ყველას განწირული ეგონა. მასპინძლებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ყურადღება მოადუნეს. „ტოტენჰემმა" ამით ისარგებლა და მეტოქეს გამარჯვება ჯიბიდან ამოაცალა. რედნაპის ხელმძღვანელობით გუნდმა ორი მატჩი ჩაატარა და ოთხ ქულას მოუყარა თავი - ორჯერ მეტს, ვიდრე „მამლებს" იქამდე გამართულ რვა შეხვედრაში ჰქონდათ.

თამაშის წინ **ფრანსესკ ფაბრეგასმა** მეტოქეს დასცინა - ამ „ტოტენჰემს" „არსენალის" ქალთა გუნდი ფორას მისცემს და ისე მოუგებსო. „მამლებს" უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათი სავალალო სტარტი შემთხვევითობაა. დასამტკიცებელი ბევრი ჰქონდა **დევიდ ბენტლისაც**. ის „მეთოფეების" აღზრდილია. ხუთი წელი „არსენალის" სათადარიგო და ძირითად გუნდებში გაატარა, მაგრამ **არსენ ვენგერს** ვერაფრით მოაწონა თავი. ბოლოს, 2006 წელს, ის „ბლექბერნში" გაყიდეს, საიდანაც გასულ ზაფხულს „ტოტენჰემში" გადავიდა. ბენტლიმ სანადელს მიაღწია და „არსენალი" მატჩის დასაწყისშივე, მე-13 წუთზე დაამწუხრა.

„ტოტენჰემის" შემადგენლობაში თამაშობს კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც მოსიე ვენგერმა დაიწუნა. ხორვატ ფლეიმეიქერ **ლუკა მოდრიჩზე** მოგახსენებთ. ფრანგმა მწვრთნელმა ის პრემიერლიგისათვის მოუმზადებლად მიიჩნია, რის გამოც მოდრიჩმა „მამლებთან" გააფორმა კონტრაქტი. იერიში, რომელსაც „ტოტენჰემის" პირველი გოლი მოჰყვა, მოდრიჩმა დაიწყო და ბენტლიმ დააგვირგვინა - მე-13 წუთზე „არსენალის" მცველებმა უხეიროდ მოიგერიეს ბურთი. მოდრიჩმა ის **ჯერმეინ ჯენასს** გაუგორა. ჯენასმა ბურთი მკერდით ბენტლის დაუგდო. ამ უკანასკნელმა ის ერთი შეხებით გაისწორა და 40 მეტრიდან დაარტყა. ბურთი **მანუელ ალმუნიას** თავზე გადააფრინდა და კარში ჩაეშვა.

„არსენალი" მეტოქეს ეკვეთა. **რობინ ვან პერსიმ** ორი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. გოლის გატანა **ვილიამ გალასსაც** შეეძლო. **ეურელიო გომესმა** ბურთი ვერ შეიმაგრა. ის **გალასს** მიუგორდა. ფრანგმა მცველმა ხარიხა შეაზანზარა. „ტოტენჰემმა" უხეშობას უმატა. „მამლები" ასეთი ხერხით ცდილობდნენ მასპინძელთა იერიშების ჩაშლას. ვენგერი მათ უხეშობებზე მტკივნეულად რეაგირებდა.

მომდევნო ეპიზოდებში გომესმა **უოლკოტისა** და ფაბრეგასის შეტევები მოიგერია. 37-ე წუთზე „არსენალმა" მაინც გაათანაბრა. რობინ ვან პერსიმ კუთხური მოაწოდა. გომესი გამოსვლაზე შეცდა. ამით უმალ ისარგებლა **მიკაელ სილვესტრმა** და თავით გაიტანა.

მეორე ტაიმის ერთი წუთის დაწყებული იყო, როდესაც „არსენალმა" მეტოქე მეორედ დაამწუხრა. **ჰადლსტონმა** ვან პერსი მოცელა. ბურთთან ისევ ჰოლანდიელი გარემარბი მივიდა. მან ახლო ძელთან ჩააწოდა. გალასმა **ვედრან ჩორლუკას** ადვილად აჯობა და სეზონის მეოთხე გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ „ტოტენჰემმა" ორი ყვითელი ბარათი დაიმსახურა. **ასუ-ეკოტო** უოლკოტის, ხოლო ბენტლი **კლიშის** მოცელვისათვის გააფრთხილეს. 64-ე წუთზე **ემანუელ ადებაიორმა** მორიგი გოლი შეაგდო. ეს იერიშიც ვან პერსიმ წამოიწყო. მან **სამირ ნასრის** გაუგორა ბურთი. ნასრიმ კარის გასწვრივ ჩააწოდა. ტოგოელმა **ალან ჰატონს** დაასწრო და ამ სეზონში, „არსენალის" ძირითადში ჩატარებულ მეშვიდე მატჩში მერვე გოლი გაიტანა.

რედნაპმა დაუყოვნებლივ შემოიყვანა **დარენ ბენტი**. ბენტმა ორ წუთში შეამცირა სხვაობა. „ტოტენჰემმა" გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ ვან პერსიმ ორბურთიანი უპირატესობა ალადგინა. საგოლე პასი ადებაიორის აქტივში ჩაიწერა. ყველას ეგონა, რომ თამაში დასრულდა. „ტოტენჰემის" უერთგულესი გულშემატკივრებიც ველარ წარმოიდგენდნენ, რომ მათი გუნდი ქულის გადარჩენას შეძლებდა. მაგრამ ჯერ ჯენასმა ცხრიანში შეჭედა, ხოლო მსაჯისაგან დამატებულ დროში **ლენონმა** მეოთხე გოლი გაიტანა - მოდრიჩმა ბურთი ძელს გაარტყა, ლენონმა მეტოქის მცველებს დაასწრო და დაამატა...

„ლივერპულს" „პორტსმუთის" დასამარცხებლად 11-მეტრიანი დასჭირდათ. **სტივ ჯერარდის** გოლი რომ არა, გასულ უქმეებზე, „ჩელსისთან" მოპოვებული სამი ქულა წყალში იქნებოდა გადაყრილი. **ტონი ადამსს** „პორტსმუთის" დამრიგებლის რანგში ოფიციალური დებიუტი ჰქონდა. ადამსმა გუნდი გასულ უქმეებზე, „ფულჰემის" წინააღმდეგაც გაიყვანა, მაგრამ იმ დღეს ის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი იყო. ადამსის დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა მისმა შეგირდებმა ჩემპიონატის ლიდერებს ბევრი თავსატეხი გაუჩინეს.

„ლივერპულმა", რომელმაც დაუმარცხებელი სერია 16 მატჩამდე აიყვანა, ძირითად შემადგენლობაში ოთხი ფეხბურთელი შეცვალა. **დანიელ აგერი, ხავიერ მასკერანო, რობი კინი** და **ალბერტ რიერა** თადარიგში გაამწესეს. მათი ადგილი **სემი ჰიიპიამ, ჯერმეინ პენანტმა, რაიან ბაბელმა** და **ლუკას ლეივამ** დაიკავეს. ტონი ადამსმა მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი თავდამსხმელი გამოიყვანა - „ლივერპულის" ყოფილი ვარსკვლავი **პიტერ კრაუჩი. ჯერმეინ დეფო** თამაშში მხოლოდ 85-ე წუთზე ჩაერთო.

"ლივერპულმა" თამაში აქტიურად დაიწყო. გუნდი მოკლე პასებით სწრაფ ფეხბურთს თამაშობდა. პასების უმეტესობა მარჯვენა ფლანგზე, პენანტისათვის იყო განკუთვნილი. ჯერმეინი დაუღალავად მუშაობდა. მე-10 წუთზე მისი ფლანგიდან დაწყებული შეტევა **ალვარო არბელოამ** გააგრძელა. არბელოამ ბურთი **დირკ კუიტს** გადაუგდო. კუიტმა დაბალ კუთხეს დაუმიზნა. **დევიდ ჯეიმსი** ბურთს მისწვდა და კუთხურზე გადააგდო.

სცენარი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. „ლივერპულის" შეტევებს სიმწვავე აკლდა. **რაფა ბენიტესმა** პენანტი **იოსი ბენაიუნით**, ხოლო ბაბელი **ალბერტ რიერათი** შეცვალა. მასპინძლებმა ტემპს მოუმატეს და ორი მომენტი შექმნეს. ჯერარდმა ბენაიუნი დასარტყამ პოზიციაზე გაიყვანა. ებრაელი ნახევარმცველი **სილვენ დისტენმა** შეაჩერა, ხოლო ჯეიმსმა ჯერარდის სახიფათო იერიში მოიგერია.

ამასობაში, 75-ე წუთიც დადგა. **ფაბიო აურელიომ** კუთხური მოაწოდა. სემი ჰიიპიამ ყველას აჯობა და ბურთი კარისაკენ გაგზავნა. გოლი გარდაუვალი იყო. **დიოპმა** ბურთი ხელით გამოიტანა. მსაჯმა **სტივ ტენერმა** „პორტსმუთის" ნახევარმცველს ყვითელი ბარათი აუფრიალა და 11-მეტრიანი ნიშნულისაკენ გაიშვირა ხელი. ჯერარდმა საჯარიმო აუღელვებლად გაიტანა. თამაშის მიწურულს, „ლივერპულის" კაპიტანი **რობი კინმა** შეცვალა. ირლანდიელს მეორე გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ააცილა...

პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ **კრისტიანო რონალდო** წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. პორტუგალიელმა თავდამსხმელმა წარმატება იმით აღნიშნა, რომ „ვესტ ჰემს" დუბლი უძღვნა. რონალდო **სერ ალექს ფერგიუსონს** ჰპირდება, რომ ამ სეზონში მინიმუმ 25 გოლს გაიტანს. ჯერჯერობით მის ანგარიშზე ხუთი გოლია. „მანჩესტერ იუნაიტედს" უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლო, მაგრამ **კარლოს ტევესმა** და **უეინ რუნიმ** ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს.

თითქმის ერთთვიანი პაუზის შემდეგ ტევესმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. ფერგიმ რუნი თადარიგში გაამწესა. სერ ალექსი **დიმიტარ ბერბატოვს** უსიტყვოდ ენდობა და შეუცვლელად ათამაშებს. ბულგარელმა თავდამსხმელმა სამი გოლი შეაგდო და ამდენივე საგოლე პასი მიითვალა, მაგრამ ვერც ერთი შეედრებოდა პასს, რომელიც მან „ვესტ ჰემთან" მატჩისას გააკეთა - 30-ე წუთზე კრისტიანო რონალდოს მეორე გოლი მთლიანად ბერბატოვის შემოქმედება იყო.

ბერბამ ლონდონელი მცველი **ჯეიმს კოლინზი** ისე გააბრიყვა, რომ მაყურებელს ხარხარი აუტყდა. ეპიზოდის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. ის საკუთარი თვალით უნდა ნახოთ. ბერბატოვის ილეთს კარის გასწვრივ ჩაწოდებული პასი და გოლი მოჰყვა. დარწმუნებულნი ვართ, ამ მატჩის შემდეგ დიმიტარმა ათასობით ახალი თაყვანისმცემელი შეიძინა.

„ვესტ ჰემზე" რა მოგახსენოთ? **ჯანფრანკო ძოლას** უთვალავი პრობლემა აქვს. ნათელია, რომ მას არ ჰყავს იმ დონის შემსრულებლები, როგორიც ფერგის. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ „ჩაქუჩების" ყველა ლიდერს თვალი გაქცევაზე უჭირავს. იანვრის ტრანსფერების შემდეგ, გუნდში ისინიც შეიძლება აღარ დარჩნენ, ვინც დღეს არიან...

"ჰალ სიტიმ" მოგებათა ოთხმატჩიანი სერია შეწყვიტა. ეს ასეც იყო მოსალოდნელი. „ჩელსიმ" დებიუტანტები თავის ადგილზე მოსვა. მომდევნო ტურში „ვეფხვები" „მანჩესტერ იუნაიტედს" ესტუმრებიან. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ მორიგი იმედგაცრუება ელით.

„არისტოკრატები" მეტოქის დამუშავებას პირველივე წუთებიდან შეუდგნენ. ანგარიში მესამე წუთზე გაიხსნა. **ფრენკ ლემპარდმა** შორიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა (მისი 99-ე გოლი პრემიერლიგაში). „ჰალ სიტიმ" კბილები გამოაჩინა. **დანიელ კუზენმა** ძელი შეაზანზარა, მაგრამ შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. **ნიკოლა ანელკამ** მეტოქის შეცდომით ისარგებლა და მეორედ აიღო მასპინძელთა კარი, **ფლორან მალუდამ** კი თამაშს წერტილი დაუსვა...

**შალვა ბიბილაშვილი**

### ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი 2:1

**ნიუკასლი:** გივენი, კოლოჩინი, სტივ ტეილორი, ხოსე ენრიკე, ბეიე, გუტრი, ბარტონი, დაფი, გუტიერესი (71. ჯერემი), მარტინსი (78. ჩისკო), ამეობი (90. ენდრიუ ქეროლი).

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, ოლსონი, დონკი, რობინსონი, ცუივერლოონი, მორისონი, ვალერო, გრინინგი, ბრანტი (54. მილერი), კორენი, ბედნარი (67. ლუკ მური).

**გოლები:** 1:0 ბარტონი (9-პენ), 2:0 მარტინსი (42), 2:1 მილერი (65).

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 13(50)-15(3); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 7-8; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 45 801

### ასტონ ვილა-ბლექბერნი 3:2

**ვილა:** ფრიდელი, ლაურსენი, კუელარი, შორი, ლუკ იანგი, ბერი, სტილიან პეტროვი (46. კარიუ), რეო-კოკერი (83. სიდველი), ეშლი იანგი, აგბონლაორი, მილნერი.

**ბლექბერნი:** რობინსონი, სამბა, ნელსენი, ოოიერი, სიმპსონი, უორნოკი (68. თუგაი), ენდრიუსი, პედერსენი (79. ოლსონი), ემერტონი, მაკარტი (79. დერბიშირი), ვილიანუევა.

**გოლები:** 0:1 უორნოკი (30), 1:1 იანგი (45), 2:1 ბერი (65), 3:1 აგბონლაორი (87), 3:2 ემერტონი (90).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 19(10)-10(6); **ჯარიმა:** 13-16; **კუთხური:** 6-8; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 35 985

### ფულჰემი-ვიგანი 2:0

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, პანტსილი, კონჩესკი, აარონ ჰიუზი, დენი მერფი, ბულარდი, გერა (73. დემპსი), საიმონ დევისი, ენდი ჯონსონი, ზამორა.

**ვიგანი:** კერკლანდი, შარნერი, ბოისი, ფიგეროა (62. კუმასი), მელხიოტი, პალასიოსი (80. კამარა), კატერმოული (80. დე რიდერი), კილბეინი, ვალენსია, ზაქი, ჰესკი.

**გოლები:** 1:0 ენდი ჯონსონი (11), 2:0 ენდი ჯონსონი (60).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 8(2)-7(1); **ჯარიმა:** 7-12; **კუთხური:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 22 500

### ჰალ სიტი-ჩელსი 0:3

**ჰალი:** მაიჰილი, ზაიათი, ტერნერი, ეშბი, დოსონი, მაკშეინი, ჯოვანი, ჯორჯ ბოატენგი (63. ჰალმოში), მარნი (72. რიჩარდ გარსია), კუზენი, მარლონ კინგი (84. ვინდესი).

**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, კარვალიო, ეშლი კოული, ბოსინგვა (86. ივანოვიჩი), ობი მიკელი, ლემპარდი, დეკუ (78. კალუ), მალუდა, ანელკა, ჯო კოული (54. ბელეტი).

**გოლები:** 0:1 ლემპარდი (3), 0:2 ანელკა (50), 0:3 მალუდა (75).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 9(4)-25(6); **ჯარიმა:** 12-13; **კუთხური:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 24 906

### სტოკ სიტი-სანდერლენდი 1:0

**სტოკი:** სორენსენი, შოკროსი, ფაიე, ჰიგინბოთემი, გრიფინი, დიაო, ოლოფინიანა (88. ფაიე), დელაპი, სუარესი (70. ტონგე), სიდიბე, ფულერი (90. კიტსონი).

**სანდერლენდი:** ფულოპი, კოლინსი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი, ბერდსლი, უაითჰედი, იორკი (46. ჯოუნსი), დიუფი, რიჩარდსონი, მალბრანკი (75. რიდი), სისე (62. ჩოპრა).

**გოლი:** 1:0 ფულერი (73).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 9(3)-8(1); **ჯარიმა:** 10-7; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 26 731

### არსენალი-ტოტენჰემი 4:4

**არსენალი:** ალმუნია, სილვესტრი, გალასი, კლიში, სანია, დენილსონი, ფაბრეგასი, ნასრი (88. სონგი), უოლკოტი (75. ებუე), ვან პერსი (82. დიაბი), ადებაიორი.

**ტოტენჰემი:** გომესი, ვუდგეიტი, ჩორლუკა, ასუ-ეკოტო, ჰატონი (80. გუნტერი), ჯენასი, ჰადლსტონი, ბეილი (55. ლენონი), ბენტლი, პავლიუჩენკო (65. დარენ ბენტი), მოდრიჩი.

**გოლები:** 0:1 ბენტლი (13), 1:1 სილვესტრი (37), 2:1 გალასი (46), 3:1 ადებაიორი (65), 3:2 დარენ ბენტი (67), 4:2 ვან პერსი (68), 4:3 ჯენასი (89), 4:4 ლენონი (90).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 20(9)-6(4); **ჯარიმა:** 9-15; **კუთხური:** 8-0; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 60 043

### ბოლტონი-ევერტონი 0:1

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ენდრიუ ობრაიენი, კაჰილი, სამუელი, სტეინსონი, მუამბა, მეტიუ ტეილორი, ნოლანი, ელმანდერი, მუსტაფა, კევინ დევისი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჟაგიელკა, იობო, ფელაინი, ლესკოტი, ფილ ნევილი, ოსმანი, პიენაარი, არტეტა (90. როდველი), საა (83. ანიჩები), იაკუბუ (64. კაჰილი).

**გოლები:** 0:1 ფელაინი (90).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 15(8)-7(2); **ჯარიმა:** 16-12; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 21 692

### ლივერპული-პორტსმუთი 1:0

**ლივერპული:** რეინა, ჰიიპია, კარაგერი, აურელიო, არბელოა, ჩაბი ალონსო, ლუკასი, ჯერარდი (90. რობი კინი), პენანტი (63. ბენაიუნი), კუიტი, ბაბელი (72. რიერა).

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, დესტენი, კაბული, ბელჰაჯი, პამარო, შონ დევისი, დიოპი, დიარა (81. რიჩარდ ჰიუზი), ტრაორე (65. კრანჩარი), უტაკა (85. დეფო), კრაუჩი.

**გოლი:** 1:0 ჯერარდი (76-პენ).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 18(5)-5(1); **ჯარიმა:** 13-12; **კუთხური:** 7-1; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 43 378

### მანჩესტერ იუნ.-ვესტ ჰემი 2:0

**იუნაიტედი:** კუშჩაკი, ვიდიჩი, რიო ფერდინანდი, ევრა, რაფაელი (81. გარი ნევილი), ანდერსონი, ფლეტჩერი (69. ქერიკი), ნანი (70. რუნი), რონალდო, ტევესი, ბერბატოვი.

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, კოლინსი, ილუნგა, ბეჰრამი (46. ბოა მორტე), ბოუიერი (69. სიერსი), მულინსი, ეთერინგტონი (46. კოლინსონი), ფობერი, ბელამი, დი მიკელე.

**გოლები:** 1:0 კრისტიანო რონალდო (14), 2:0 კრისტიანო რონალდო (30).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 19(8)-5(2); **ჯარიმა:** 11-14; **კუთხური:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 75 397

### მიდლსბრო-მანჩესტერ სიტი 2:0

**მიდლსბრო:** ტერნბული, პოგატეცი, რიგოტი, ენდრიუ ტეილორი, ვიტერი, დიგარდი (76. არკა), ონილი, დაუნინგი (84. ადამ ჯონსონი), თუნჯაი, ალიადიერი, აფონსო ალვეში.

**სიტი:** ჰარტი, დანი, რიჩარდსი, ბენ-ჰაიმი, ონუოჰა, ირლანდი, კომპანი, ელანო (68. ჟელსონი), რაიტ-ფილიპსი, სტარიჯი (77. ევანსი), რობინიო.

**გოლები:** 1:0 აფონსო ალვეში (53-პენ), 2:0 ონილი (90).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 9(3)-17(8); **ჯარიმა:** 11-10; **კუთხური:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 25 731

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 10 | 8 | 2 | 0 | 15-6 | 26 |
| 2. ჩელსი | 10 | 7 | 2 | 1 | 22-4 | 23 |
| 3. არსენალი | 10 | 6 | 2 | 2 | 22-10 | 20 |
| 4. ასტონ ვილა | 10 | 6 | 2 | 2 | 19-12 | 20 |
| 5. ჰალ სიტი | 10 | 6 | 2 | 2 | 14-14 | 20 |
| 6. მანჩესტერ იუნ. | 9 | 5 | 3 | 1 | 15-5 | 18 |
| 7. პორტსმუთი | 10 | 4 | 2 | 4 | 10-15 | 14 |
| 8. მანჩესტერ სიტი | 10 | 4 | 1 | 5 | 23-16 | 13 |
| 9. მიდლსბრო | 10 | 4 | 1 | 5 | 10-15 | 13 |
| 10. სანდერლენდი | 10 | 3 | 3 | 4 | 9-11 | 12 |
| 11. ვესტ ჰემი | 10 | 4 | 0 | 6 | 14-18 | 12 |
| 12. ევერტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 14-19 | 12 |
| 13. ბლექბერნი | 10 | 3 | 3 | 4 | 11-18 | 12 |
| 14. ფულჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-8 | 11 |
| 15. სტოკ სიტი | 10 | 3 | 1 | 6 | 11-18 | 10 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 10 | 3 | 1 | 6 | 8-16 | 10 |
| 17. ნიუკასლი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-18 | 9 |
| 18. ვიგანი | 10 | 2 | 2 | 6 | 11-15 | 8 |
| 19. ბოლტონი | 10 | 2 | 2 | 6 | 8-13 | 8 |
| 20. ტოტენჰემი | 10 | 1 | 3 | 6 | 11-16 | 6 |

**ბომბარდირები:** 7 - ზაქი (ვიგანი); 6 - აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), რობინიო (მანჩესტერ სიტი), დეფო (პორტსმუთი); 5 - ადებაიორი (არსენალი), ანელკა (ჩელსი), დარენ ბენტი (ტოტენჰემი), კარიუ (ასტონ ვილა), ვან პერსი (არსენალი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული).

### მომდევნო ტური

1 ნოემბერი. **ბოლტონი-მანჩესტერ სიტი, ჩელსი-სანდერლენდი, ევერტონი-ფულჰემი, მანჩესტერ იუნ-ჰალი, მიდლსბრო-ვესტ ჰემი, ნიუკასლი-ასტონ ვილა, პორტსმუთი-ვიგანი, სტოკი-არსენალი, ტოტენჰემი-ლივერპული, ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინის ნაკრები

# ლეო მესი: 19 ნოემბერს მარადონასთან ყოფნა მინდა

## შესაძლოა, დიეგომ საფეხბურთო ასოციაციისა და ბარსელონის შეთანხმება ჩაშალოს


ლეო მესი

არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დანიშნული **დიეგო მარადონა** პირველ შეხვედრას, ალბათ, 19 ნოემბერს შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარებს. გამორიცხული არ არის, ბიუროკრატიული ფორმალობების მოგვარებას გარკვეული დრო დასჭირდეს და შოტლანდიელებთან "ალბისელესტე" **სერხიო ბატისტამ** გაიყვანოს. თუმცა ლეგენდარული არგენტინელი დროის დაკარგვას მაინც არ აპირებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე შეუდგა მუშაობას. დიეგო მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში ეროვნული გუნდის იმ კანდიდატებს შეხვდება, რომლებიც არგენტინის ჩემპიონატში ასპარეზობენ. ახალი მწვრთნელი აცხადებს, რომ მოთამაშეებთან საუბარს და მათი მოსაზრებების გაცნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მარადონა, რა თქმა უნდა, **კარლოს ბილარდოსაც** დაელაპარაკება. მისმა ძველმა მეგობარმა სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების კოორდინირებაზე უნდა იმუშაოს და დიეგოს ინფორმაცია მიაწოდოს, ძირითად გუნდში რომელი ფეხბურთელები იმსახურებენ თამაშს. ახალგაზრდებს ცხადია, მთავარი მწვრთნელიც დააკვირდება, მაგრამ ამ მიმართულებით, ბილარდო მაინც უფრო დატვირთული იქნება.

რამდენიმე დღის წინ "ბარსელონისა" და არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის მესვეურებმა მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის თანახმადაც ლეო მესი ნაკრების ამხანაგურ თამაშებში მონაწილეობისგან გათავისუფლდა. კატალონიური გრანდის ხელმძღვანელებმა ამ ფაქტის გამო დაუფარავი სიხარული გამოთქვეს, თუმცა გამორიცხული არ არის, მარადონამ მის მისვლამდე მიღწეული შეთანხმება ჩაშალოს და მესის ნაკრების ყველა მატჩში თამაში მოსთხოვოს. ამ ინფორმაციას ბაირესული პრესა ავრცელებს. ჩვენი კოლეგების თქმით, ისინი მარადონას ესაუბრნენ და ცოცხალი ლეგენდისგან პირადად მოსიმინეს, მესის საკითხზე სერიოზული დაფიქრება მომიწევს. შეთანხმებას პატივს ვცემ, მაგრამ ჩემი უპირველესი საზრუნავი ეროვნული გუნდიაო. დიეგომ ისიც დაამატა, ლეო მთელი ციკლის მონაწილე უნდა იყოს, რომ ნაკრებში კარგად ჩაენეროსო. ამ ამბის გახმაურებამ "ბარსელონის" დირექტორატი შოკში ჩააგდო. ისინი არ ელოდნენ, რომ ახლახან მიღწეულ შეთანხმებას ჩაშლა ამდენად მცირე დროში დაემუქრებოდა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, **ჩიკი ბეგირისტაინის** განცხადებას გაგაცნობთ: *"არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩვენი მოლაპარაკება ფუჭი იყო და არგენტინის საფეხბურთო ასოციაცია მის მიერვე მიცემულ სიტყვას პატივს არ სცემს. მესმის, რომ მაშინ მარადონა მოლაპარაკებებში არ მონაწილეობდა, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. ეს მემკვიდრეობითი საკითხია და შეთანხმებას ყველამ პატივი უნდა სცეს."*

იმ შემთხვევაში, თუ მარადონა მართლაც მოითხოვს, ამხანაგურ შეხვედრებში მესის თამაშს, ლეოს პოზიციას დიდი მნიშვნელობა ექნება. მართალია, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა, მაგრამ მესის მოსაზრება უკვე ცნობილია: *"მე ყოველთვის იმას ვამბობ, რომ ყველგან თამაში მსურს, "ბარსელონაშიც" და "ალბისელესტეშიც", მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდება. მაგალითად, პეკინის ოლიმპიადის დროს სერიოზული პრობლემა შეიქმნა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ნაკრებში წავედი და ოქროს მედალი მოვიპოვე. "ბარსელონა" ჩემი უსაყვარლესი კლუბია და მისი ინტერესების დასაცავად თავდაუზოგავად ვიბრძოლებ. მესმის, რომ ჩემი გუნდის ხელმძღვანელებს არ უყვართ, როცა "ალბისელესტეში" მივდივარ, მაგრამ მე ხომ პირველ რიგში არგენტინელი ვარ. ცოტა ხნის წინ მიღწეული შეთანხმების თანახმად, ეროვნული გუნდის ამხანაგური შეხვედრებიდან გათავისუფლებული ვარ, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა, მარადონასთან ერთად მუშაობა. ის ჩემი კერპი იყო და ცხოვრებამ მასთან ერთად მოღვაწეობის შანსი მომცა. არ ვიცი, მოვლენები როგორი სცენარით განვითარდება, მაგრამ მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ჩემოდანს ჩავალაგებდი და 19 ნოემბრის მატჩის მოსამზადებლად არგენტინის ნაკრებში წავიდოდი. ვნახოთ, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ მხარეები. ჩემი პასუხი ცალსაცაა, 19 ნოემბერს მარადონასთან ყოფნა მინდა."*

ტრაგედია

# ბოკა ხუნიორსს პრეზიდენტი მოუკვდა

წუხელ, "ბოკა ხუნიორსის" დიდ ოჯახში საშინელი ტრაგედია მოხდა. ბაირესული გრანდის პრეზიდენტი **პედრო პომპილიო** ინფარქტით გარდაიცვალა. არადა, ის მხოლოდ 55 წლის იყო. ორმაგად დასანანია, რომ ამ ქვეყნიდან ახალგაზრდა კაცი წავიდა. სენიორ პომპილიომ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 75 პროცენტი მიიღო და პრეზიდენტის სავარძელში 1 ივლისს მოკალათდა. მან **მაურისიო მაკრი** შეცვალა, რომელიც ახლა ბუენოს აირესის მთავრობის თავმჯდომარედ მუშაობს.


პედრო პომპილიო

"ბოკა ხუნიორსში" მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნები 2012 წელს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ცხადია, ბატონი პედროს გარდაცვალების გამო დირექტორატს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა მოუწევს. პედრო პომპილიოს მნიშვნელოვანი პროექტი დარჩა განუხორციელებელი. ის ხელისუფლებაში ლეგენდარული სტადიონის, "ლა ბომბონერას" რეკონსტრუქციის პირობით მივიდა. მისი პოექტის მიხედვით, სამუშაოები 2011 წლის 1 ივნისს უნდა დასრულებულიყო. ახლა კი ვერავინ ამბობს, განხორციელდება თუ არა ეს პროექტი.

დაპირისპირება

# კალდერონი: ფერგიუსონს ბებრული მარაზმი დაეწყო

**სერ ალექს ფერგიუსონის** სკანდალურმა ინტერვიუმ ესპანურ პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ეს მასალა ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც შემოგთავაზეთ. „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი ისევ და ისევ „რეალის" მტრად მოგვევლინა და მადრიდულ გრანდს თავს ლაფი დაასხა. შოტლანდიელმა სპეციალისტმა „რეალს" ფრანკისტების გუნდი უწოდა. მან ისიც თქვა, **მიატოვიჩმა** და **კალდერონმა გაბრიელ ჰაინცე** იმიტომ იყიდეს, რომ **კრისტიანო რონალდოს** ტრანსფერის გამარტივება სურდათო. "წითელი ეშმაკების" თავკაცმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ სამეფო კლუბს არგენტინელი მცველი არ სჭირდებოდა და ის დიდი შეთქმულების ერთი პატარა ჭანჭიკი იყო.

სერ ალექსის ამ ხმაურიან განცხადებას თავად ჰაინცემ უპასუხა: *„ბოლო თვეების განმავლობაში ფერგიუსონი ჩემზე ხშირად საუბრობს. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რა უნდა. ვფიქრობდი, რომ მას ჩემი არსებობაც აღარ ახსოვდა. ის, რაც მან თქვა, ტყუილია და სხვა არაფერი. ვერ ვხვდები, ჩემი შეძენით კრისტიანო რონალდოს ტრანსფერი როგორ გამარტივდებოდა. დიახ, მე და რონალდო საუკეთესო მეგობრები ვართ, მაგრამ ის საკუთარ ცხოვრებას ჩემი რჩევის გარეშე განაგებს. სერ ალექსს უნდა ესმოდეს, რომ „რეალი" ტყუილად არავის იყიდის. ჩემს გუნდს რომ არ ვჭირდებოდე, ნელინადნახევარი არ შემინახავდნენ. ძალიან სამწუხაროა, რომ ისეთი გამოცდილი სპეციალისტი, როგორიც ალექს ფერგიუსონია, ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთების უფლებას აძლევს თავს. პირადად ჩემზე რომ არ ესაუბრა, რა საკვირველია, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ თავი ვალდებულად ჩავთვალე გარკვეული განმარტებები გამეკეთებინა. „რეალში" ძალიან ბედნიერი ვარ. ხელმძღვანელობა, გულშემატკივრები და თანაგუნდელები დიდად მაფასებენ."*


რამონ კალდერონმა სერ ალექს ფერგიუსონის ინტერვიუ უკომენტაროდ ვერ დატოვა

ჰაინცეს განცხადება რამონ კალდერონის სიტყვებთან შედარებით გულუბრყვილობისა და თავშეკავების განსახიერებაა. "რეალის" პრეზიდენტის განცხადებას სტილის დაცვით შემოგთავაზებთ და დასკვნები თავად გამოიტანეთ: *"ფერგიუსონის განცხადების სერიოზულად აღქმა არ შეიძლება. ეს არის იდიოტიზმი და სხვა არაფერი. რა უნდა ვთქვა? სასაცილოა, როცა ფერგიუსონი "რეალსა" და ფრანკოს ერთმანეთს უკავშირებს. ამაზე კომენტარის გაკეთება თავის დამცირება იქნება, მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ფერგიუსონს სერიოზული პრობლემები აქვს. ან ფსიქიკურად შეიშალა, ან ბებრული მარაზმი დაეწყო. მე სხვა ახსნას ვერ ვპოულობ. შესაძლოა, თავი დეტექტიური ჟანრის ფილმის პერსონაჟი ეგონა და გაბრიელ ჰაინცესთან დაკავშირებით მისი აზრით გენიალური დასკვნა გამოიტანა. სამეფო კლუბს არგენტინელი არ სჭირდებოდა და კრისტიანო რონალდოს ტრანსფერის გასამარტივებლად შეიძინაო. საინტერესოა, როგორ გამარტივდებოდა ამით რონალდოს შეძენის საკითხი? უხილავი ძაფები გაიბმებოდა და კრისტიანო შეუმჩნევლად "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩამოვიდოდა? ეს ხომ სრული სისულელეა? ფერგიუსონს ნამუსი რომ ჰქონდეს, ძალიან შერცხვებოდა, თუმცა ნამუსიანი კაცი ასეთ სისულელეებს არ მოჩმახავდა. მოკლედ, ამ იდიოტობაზე ლაპარაკი აღარ მინდა. "რეალი" ღირსეული ხალხის გუნდია და ყოველთვის სამართლებრივი ნორმებით ხელმძღვანელობს. ჩვენი პრობლემა არ არის, რომ სერ ალექსი რონალდოს წასვლის შესაძლებლობას ავადმყოფურად აღიქვამდა. ესა თუ ის ფეხბურთელი რამდენადაც არ უნდა მოგწონდეს, აბსურდი არ უნდა ილაპარაკო."*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ამბები

## ჰილდებრანდმა ღამურებს თავი მოაბეზრა

„ვალენსიის" ხელმძღვანელობას **ტიმო ჰილდებრანდთან** ურთიერთობა უკიდურესად დაეძაბა. ამის მიზეზი გერმანელი მეკარისა და მთავარი მწვრთნელის, **უნაი ემერის** მკაცრი საუბარი გახდა. „ღამურების" თავკაცმა ტიმოს უფრო მეტი მონდომებით მუშაობა მოსთხოვა. ახალგაზრდა სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ჰილდებრანდი ვარჯიშებზე ბოლომდე არ იხარჯება. გერმანელმა მწვრთნელის შენიშვნა ძალიან მტკივნეულად მიიღო და ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა: ან თავისუფალი აგენტის სტატუსი მომანიჭეთ და გამიშვით, ან აღარ ვივარჯიშებო. ვალენსიელებისთვის ასეთი საუბარი მიუღებელი აღმოჩნდა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით კლუბის ერთ-ერთი დირექტორის, **სანტიაგო მარკესის** განცხადებას გაგაცნობთ: *"ჰილდებრანდმა სერიოზული შეცდომა დაუშვა. საკუთარ კლუბს ულტიმატუმის ენით არ უნდა ესაუბროს. რატომ ჰგონია მას, რომ მწვრთნელს შენიშვნის მიცემის უფლება არა აქვს? ის ისე განაწყენდა, თითქოს წმინდანი იყოს. სენიორ ემერი პასუხისმგებლობით აღსავსე სპეციალისტია და შეგირდი ამიტომაც გააფრთხილა. მას შეეძლო, ჰილდებრანდისთვის არაფერი ეთქვა და უბრალოდ სათადარიგოთა სკამზე დაესვა. ჩვენი მწვრთნელის საქციელი ცხადყოფს, რომ ფეხბურთელზე გული შესტკივა. ტიმოს გამოხდომის შემდეგ თანამშრომლობის გაგრძელების არანაირი სურვილი არ გვაქვს, მაგრამ მას თავისუფალი აგენტის სტატუსს ვერ მივანიჭებთ. მიზეზი მარტივია. უფასოდ ერთ ფეხბურთელსაც არ დავთმობთ. ასე რომ, ჰილდებრანდს იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნამდე მოცდა მოუწევს."*

## გაიტანით, გაი აშულინი

„ბარსელონას" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საყმაწვილო საფეხბურთო სკოლა აქვს. კატალონიური გრანდის კანტერის მიერ აღზრდილი ბიჭების ჩამოთვლა რომ დავიწყოთ, ძალიან შორს წავალთ. ვინც ესპანურ ფეხბურთში კარგად ერკვევა, დაგვეთანხმება, რომ იქაური სელექციონერები და მწვრთნელები ფანტასტიკურად მუშაობენ. ისინი ადგილობრივი კადრებით არ კმაყოფილდებიან და ნიჭიერ ფეხბურთელებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებენ. მათი მუშაობის ყველაზე ერთ-ერთი მკაფიო შედეგი **ლეო მესია**, თუმცა გამორიცხული არ არის, მალე მსოფლიომ „ბარსას" საყმაწვილო სკოლიდან წამოსული კიდევ ერთი მეგავარსკვლავი იხილოს. ლაპარაკია, 17 წლის **გაი აშულინზე**. სპეციალისტები მას საუკეთესოდ ახასიათებენ და ხაზგასმით აცხადებენ, რომ ახალგაზრდა ებრაელი ფორვარდი ძალიან ნიჭიერია. ამასვე მოწმობს კატალონიური პრესის შეფასებებიც. მიუხედავად იმისა, რომ აშულინს უმაღლეს დონეზე არასოდეს უთამაშია, მას რამდენიმე სატელევიზიო გადაცემაც მიუძღვნეს. მიმომხილველები თამამად ამბობენ, რომ 2-3 წლის შემდეგ „ბარსელონას" შეუჩერებელი ფორვარდი ეყოლება. სხვათა შორის, **ხოსეპ გვარდიოლამ** განაცხადა, გაის ევროპული პასპორტი რომ ჰქონდეს, გუნდში მივიწვევდი და მცირე დროით მაინც ვათამაშებდიო. სავარაუდოდ, აშულინი ამ პრობლემას მალე მოაგვარებს. ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცედურები ფაქტობრივად მოგვარებულია. ასე რომ, გამორიცხული არ არის, იანვრიდან „კამპ ნოუზე" კიდევ ერთი პატარა ვარსკვლავი ამობრწყინდეს.

## ბალაკისა და ლიოვის საიდუმლო შეხვედრა

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** და კაპიტანი **მიხაელ ბალაკი** უახლოეს მომავალში შეხვდებიან ერთმანეთს. მათ ურთიერთობა უნდა გაარკვიონ. ცნობილი გახდა, რომ შეხვედრის დროისა და ადგილის შესახებ არავის არაფერი ეცოდინება, გარდა ლიოვისა და ბალაკისა. იოგი ლონდონში არ გაფრინდება. სამაგიეროდ, მიხაელი ჩავა გერმანიაში, მაგრამ მხოლოდ მას მერე, რაც „ჩელსის" ექიმებისაგან მიიღებს ნებართვას. ის დაშავებულია და მისთვის მგზავრობა სასურველი არ არის.

როგორც იცით, სკანდალური ინტერვიუს შემდეგ, ბალაკმა ლიოვს საჯაროდ მოუხადა ბოდიში, მაგრამ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, რომ ის ბუნდესგუნდის მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფისათვის** ბოდიშის მოხდას არ აპირებს. ბალაკი პირდაპირ ამბობს, რომ ბირჰოფს არ ცნობს და მისთვის მიუღებელია ის, რომ ამ უკანასკნელს გერმანიის ნაკრებში წონადი სიტყვა ეთქმის. როგორც იცით, ბალაკსა და ბირჰოფს შორის ურთიერთობა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაიძაბა.

მიუნხენური ტაბლოიდი „აბენდცაიტუნგი" ვარაუდობს, რომ ბალაკს კაპიტნის სამკლაურს ჩამოართმევენ. ბუნდესგუნდის კაპიტნები არ იქცევიან ისე, როგორც მიხაელი მოიქცა. სტატიაში ვკითხულობთ, რომ გერმანელთა ახალი კაპიტანი ბაიერნელი **ფილიპ ლამი** იქნება. მიუნხენურ გამოცემას არ დაუსახელებია წყარო, რომლისგანაც ეს ინფორმაცია მოიპოვა. გერმანიის საფეხბურთო კავშირს კომენტარი არ გაუკეთებია. შეხვედრის დასრულებამდე ჟურნალისტებთან შეხვედრას ნაკრების ხელმძღვანელებიც გაურბიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბასტიან შვაინშტაიგერთან

# ბაიერნში დარჩენა? კი, რატომაც არა?

## ...თუმცა ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს

ბასტიან შვაინშტაიგერმა წლევანდელი სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო. მან ბუნდესლიგის რვა თამაშში სამი გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე პასი მიამატა აქტივს. ორწლიანი ლეთარგიული ძილის შემდეგ ფეხბურთელმა გამოიღვიძა და მისმა ათამაშებამ, ბუნებრივია, ევროგრანდების ყურადღება მიიპყრო. ეს არ არის გასაკვირი, რადგან გერმანელ ვარსკვლავს "ბაიერნთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. მსგავსი კალიბრის ფეხბურთელის უფასოდ ხელში ჩაგდებაზე კი აბა, ვინ იტყვის უარს? მიუნხენური გიგანტის ხელმძღვანელობა ნახევარმცველთან კონტრაქტის გაგრძელებას ცდილობს. საინტერესოა, რას ფიქრობს თავად შვაინშტაიგერი.

**- ბასტიან, თქვენ ახალი აგენტი რობერტ შნაიდერი გყავთ. ასევე ახალი ნომერი გაქვთ მობილურ ტელეფონზე. რაშია საქმე, ცხოვრებას ახლიდან იწყებთ?**

- დამიჯერეთ, ახლა მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ. ცვლილებებიც ამის დამსახურებაა. მობილურის ძველი ნომერი ძალიან დიდხანს მქონდა. ის იმაზე მეტმა ადამიანმა იცოდა, ვიდრე საჭირო იყო.

**- მაინდამაინც ახლა რატომ გამოცვალეთ?**

- იმიტომ, რომ პრესამ ძალიან ბევრი რამ იცოდა ჩემს ცხოვრებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ახლა შემიძლია კარგად დასვენება მნიშვნელოვანი მატჩების წინ. თავი ათასი ზედმეტი ფიქრით აღარ მაქვს გამოტენილი.

**- თქვენზე ზეწოლა იზრდება. ული ჰიონესმა თქვა, შვაინშტაიგერს ისეთ პირობებს შევთავაზებთ, როგორსაც მიმდინარე სეზონში ნაჩვენები თამაშით დაიმსახურებსო...**

- მე ვერავითარ ზეწოლას ვერ ვგრძნობ. ვვარჯიშობ ჩვეულებრივად, რომ ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ შემექმნას და არც მინდორზე შევირცხვინო თავი. თუ კარგად ვითამაშებ, ყველაფერი კარგად იქნება.

**- შეგიძლიათ, თავი ბაიერნის გარეშე წარმოიდგინოთ?**

- კლუბის, თუ რეგიონის?

**- ერთის ან მეორის...**

- მიუნხენში ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. ზოგადად მინაც ძალიან მომწონს. რაც შეეხება ფეხბურთს... „ბაიერნში" სიამოვნებით დავრჩები, თუმცა ყველაფერი შეიძლება მოხდეს. არავინ იცის, რა მოხდება ხვალ.

**- 24 წლის ასაკში თავი ზრდასრულ ფეხბურთელად მიგაჩნიათ?**

- ზუსტად ის შეკითხვა დამისვით, რასაც საკუთარ თავს ხშირად ვუსვამ ხოლმე. იმისთვის, რომ ბოლომდე დაღვინებული ფეხბურთელი იყო, ბევრად უფრო მეტი რამ უნდა გქონდეს ნანახი. მაგალითად იმდენი, რამდენიც ოლივერ კანმა ნახა. მიმდინარე სეზონი მეშვიდეა ჩემს ბუნდესლიგურ კარიერაში და შვიდივე "ბაიერნში" გავატარე. რა თქმა უნდა, ვილაცებზე დიდი გამოცდილება მაქვს, მაგრამ იმასაც ვაცნობიერებ, რომ ბევრად უკეთ თამაშიც შემიძლია. სწორედ ეს არის ის პრობლემა, რაზეც ყოველდღიურად ვმუშაობ.

**- რა გასწავლათ იურგენ კლინსმანმა? სისწრაფეზე თუ გამუშავებთ?**

- არა, სისწრაფეზე ვერ მამუშავებს, რადგან ძალიან ნელი ვარ (იცინის). რა თქმა უნდა, ამ სათამაშო კომპონენტს დიდ ყურადღებას ვუთმობთ.

**- კლინსმანმა "ბაიერნის" ფეხბურთელებს ერთ-ერთი იმ უცხო ენის შესწავლა დაავალა, რომელზეც მათი უცხოელი თანაგუნდელები მეტყველებენ. თქვენ რომელ უცხო ენას სწავლობთ?**

- იტალიურს. ჩვენთან ორი ფეხბურთელი ლაპარაკობს ამ ენაზე, ტონი და ოდო. ვცდილობ, მათთან საერთო ენა გამოვნახო. მიმაჩნია, რომ იტალიური ძალიან ლამაზი ენაა.

**- რა ხდება თქვენსა და სარა ბრანდნერს შორის? ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას თქვენს ურთიერთობებზე სატელევიზიო გადაცემებში საუბრობდნენ.**

- სარა ავსტრია-შვეიცარიაში ისე იქცეოდა, როგორც თავად სურდა. ეს კი ძალიან მახარებდა. ამ ტურნირის მიმდინარეობისას მართლა დიდი ემოციები მივიღე. ამაში განსაკუთრებული არაფერია.

**- გიყვართ ეკონომიურად ცხოვრება, თუ პირიქით, ხელგაშლილი ხართ?**

- თუ რაიმე აღსანიშნი მაქვს, რა თქმა უნდა, წვეულებას ვაწყობ ხოლმე, მაგრამ ვინც სათანადოდ მიცნობს, ყველამ იცის, რომ ფული არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ჩემს ცხოვრებაში.

**- შეიძლება, შეგეკითხოთ, რამდენი ევრო გაქვთ საფულეში.**

- ერთი წუთით... უი, საფულე საერთო არ მაქვს, სახლში დამრჩენია, ასე ხშირად მომდის ხოლმე. როცა მე და სარა სასადილოდ დავდივართ, ხანდახან ფულის გადახდა მას უწევს (იცინის)...

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



ბასტიან შვაინშტაიგერი მეგობარ გოგონა სარა ბრანდნერთან ერთად

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგი ლივერპულს ქომაგობდა

## სერ ალექსს კარლოს ტევესი ქველებურად სჭირდება



სერ ალექს ფერგიუსონი

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა, რომ "ასტონ ვილაში" **მარტინ ონილის** მისვლის შემდეგ, ის ამ გუნდის თვალში საცემ პროგრესს ხედავს. შოტლანდიელის პროგნოზით, ბირმინგემულ გუნდს თავისუფლად შეუძლია სეზონის ბოლოს ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ოთხეულში მოხვედრა. *"გუნდი ფანტასტიკურად გამოიყურება. დარწმუნებული ვარ, რომ მას მედლებისთვის ბრძოლა შეუძლია. კიდევ ვის შეუძლია ზედა საფეხურებისთვის ბრძოლა? მხოლოდ ტრადიციულ პრეტენდენტებსა და "ასტონ ვილას,"* – განაცხადა "სქაი სპორტსთან" საუბრისას ლეგენდარულმა სპეციალისტმა. ფერგის აღფრთოვანება "ასტონ ვილა"-"ბლექბერნის" მატჩმა გამოიწვია. დაძაბულ ბრძოლაში მასპინძლებმა 3:2 იმარჯვეს.

იმავე ინტერვიუში სერ ალექსმა აღნიშნა, რომ დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა **დარენ ფლეტჩერი**, ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დაეყოლიებინა. შოტლანდიელ ნახევარმცველს გუნდიდან აზარგება სურდა, თუმცა საბოლოოდ "ოლდ ტრეფორდზე" დარჩა. ფლეტჩერის ხელშეკრულება მიმდინარე სეზონის ბოლოს იწურებოდა. ფერგიუსონი: *"ზაფხულზე უთვალავი სარფიანი წინადადება მივიღეთ. პრემიერლიგურ კლუბებს დარენის შეძენა სურდათ. ის შეზღუდული სათამაშო დროის გამო უკმაყოფილო იყო. ამიტომ ტრანსფერზე დაყენებას ითხოვდა. მე მას ვუთხარი, დარენ, კარგად დაფიქრდი, ამ კლუბში აღიზარდე, ვიდრე თებერვალში სერიოზულ ტრავმას მიიღებდი, ყველა გადამწყვეტ თამაშში მინდორზე იყავი. ესე იგი, მე შენი მჯერა... ის დაფიქრდა და დარჩა. შემეძლო, მისთვის წასვლის ნება მიმეცა, რადგან ბევრი კარგი ნახევარმცველი გვყავს, მაგრამ მასავით ერთგული - არც ერთი. როცა ის მოედანზეა, ყოველთვის პროდუქტიულად ირჯება."*

ფერგიუსონმა განაცხადა, რომ **რუნისა** და **ბერბატოვის** დუეტის ეფექტური თამაშის მიუხედავად, **კარლოს ტევესის** სამსახურზე უარის თქმას არ აპირებს. გუნდის წინადადება, არგენტინელთან სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმების თაობაზე, ისევ ძალაშია. ამის დასტურად, "ვესტ ჰემთან" შეხვედრაში კარლოსმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. ჯერჯერობით არგენტინელი ფეხბურთელის ანგარიშზე ექვსი მატჩი და ერთი გოლია. ბულგარელმა პრემიერლიგაში ერთი გოლის გარდა, სამი საგოლე პასი გააკეთა, ხოლო რუნიმ სამი გოლი და სამი პასი მიითვალა. ფერგიუსონი: *"გასულ კვირას კარლოსს უკვე ველაპარაკე და დავარწმუნე, რომ ის ჩვენთვის კვლავაც საჭირო ფეხბურთელია".*

სერ ალექსი გამოტყდა, რომ 26 ოქტომბერს "ჩელსისა" და "ლივერპულის" შეხვედრაში მერსისაიდელებს ქომაგობდა: *"ეს ის შედეგი გახლდათ, რაც ჩვენ გვაწყობდა. მართალია, რაფაელ ბენიტესი მისი გუნდის საჩემპიონო შანსებზე ალაპარაკდა, მაგრამ გარწმუნებთ, პრემიერლიგის მოგება იმაზე ძნელია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამისთვის გუნდმა 85-დან 90 ქულამდე უნდა აიღოს."* ანალოგიური განცხადება გააკეთა **ბენიტესმაც**. მისი თქმით, პრემიერლიგაში გამარჯვება ბევრად უფრო ძნელი ამოცანაა, ვიდრე პრიმერა დივიზიონის მოგება.

ახლა მოკლედ "ალისფერი ეშმაკების" სატრანსფერო გეგმების შესახებ. ბრიტანული პრესის ცნობით, "იუნაიტედმა" ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის, **ვედად იბიშევიჩის** ხელში ჩაგდება მოინდომა. ბოსნიელი ფორვარდი ფანტასტიკურად გამოიყურება. ბუნდესლიგის 10 ტურის შემდეგ მის ანგარიშზე 11 გოლი და 4 საგოლე პასია. ვედადი სიმაღლით 189 სანტიმეტრია და თავით საუცხოოდ თამაშობს. მანჩესტერელთა ინტერესიც ამის დამსახურებაა. მოსალოდნელ ტრანსფერზე ოფიციალური კომენტარი არავის გაუკეთებია.

"სქაი სპორტსი" იუწყება, რომ ფერგიუსონის მითითებით, კლუბის სკაუტები 16 წლის ბერძენ ვუნდერკინდ **კირიაკოს პაპადოპულოსს** აკვირდებიან. იუნიორი ფეხბურთელი ამ ამბის გამო სიხარულს ვერ მალავს. ის ყველაფერს იღონებს, რათა "იუნაიტედის" მწვრთნელების გული მოიგოს და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში გააგრძელოს ასპარეზობა.

აქვე გაცნობებთ, რომ **ჰარი რედნაპის** დაჟინებით ითხოვს "მანჩესტერის" სათადარიგო მეკარის, 25 წლის **ბენ ფოსტერის** შეძენას. რედნაპის განკარგულებაში მხოლოდ ერთი კვალიფიციური კარის დარაჯია - ბრაზილიელი **ეურელიო გომეში**. ის პრემიერლიგაში სადებიუტო სეზონს ატარებს და ჯერჯერობით, ახალ გარემოს ვერ შეეგუა. გომეში ბევრ უხეშ შეცდომას უშვებს, რის გამოც "ტოტენჰემის" ახალმა მწვრთნელმა კიდევ ერთი ძლიერი მეკარის შეძენა გადაწყვიტა.

ჩელსი

# ესიენი იანვარში დაბრუნდება

## სკოლარი ადასტურებს, რომ პანდევი სურს

**მიკაელ ესიენი** მოსალოდნელზე ადრე გამოჯანმრთელდება. განელი ნახევარმცველი თამაშს 2009 წლის დასაწყისში განაახლებს. ეს ინფორმაცია "ჩელსის" თავკაცმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** გაავრცელა: *"ეს ;ენის ამბავი ყველას გვახარებს. მგონი, ღმერთი ჩვენკენ არის. მიკაელი გუნდს ძალიან სჭირდება. იმედი მაქვს, იანვარში ის სრული ძალით ათამაშდება."*

ესიენი განის ნაკრებში ყოფნისას დაშავდა. სექტემბერში, როდესაც განა ლიბიას ესტუმრა, მან მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა. ლონდონში დაბრუნებისთანავე მიკაელს ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების თავდაპირველი პროგნოზი პესიმისტური იყო. ესიენს სეზონის ბოლომდე ვერ უნდა ეთამაშა, მაგრამ მოხდა პირიქით. მიკაელის გამოჯანმრთელების პროცესი მოსალოდნელზე ორჯერ სწრაფად მიმდინარეობს.

აქვე გეტყვით, რომ "არისტოკრატებმა" დაადასტურეს, რომ "ლაციოს" თავდამსხმელ **გორან პანდევის** შეძენა სურთ. ამ ინფორმაციას "გარდიანი" ავრცელებს. პანდევს პირადად სკოლარიმ დაადგა თვალი. ბრიტანული ტაბლოიდის მტკიცებით, "ჩელსის" გარდა, მაკედონიელ ფეხბურთელს "ტოტენჰემი" და "ნიუკასლიც" ეპატიჟებიან. ინგლისის გარეთ, მას "იუვენტუსი", "მილანი", "ბაიერნი" და "ზენიტი" აკვირდებიან. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.




მიკაელ ესიენი მოსალოდნელზე ადრე დაბრუნდება

ამბები

### სერხიო რამოსი ტრანსფერზე?

მადრიდის "რეალი" **სერხიო რამოსს** ტრანსფერზე დააყენებს. ამ ინფორმაციას პოპულარული ესპანური გამოცემა "მარკა" ავრცელებს. გაზეთის მტკიცებით, მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობას ყელში ამოუვიდა რამოსის ინტერვიუები, რომელშიც ფეხბურთელი "რეალის" დირექტორებს საჯაროდ აკრიტიკებს. მათ უსაფუძვლოდ მიაჩნიათ რამოსის ფინანსური მოთხოვნებიც. 22 წლის ცენტრალური მცველი ახალ კონტრაქტს და ხელფასის საგრძნობლად მომატებას ითხოვს. "რეალიდან" აზარგების შემთხვევაში, რამოსს უმუშევრად დარჩენა არ ემუქრება. მას "მილანი", "ჩელსი" და "მანჩესტერ სიტი" ეპატიჟებიან. მანჩესტერში სერხიო ყოფილი თანაგუნდელი **რობინიო** თამაშობს. ბრაზილიელი თავდამსხმელი პრემიერლიგაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ანაზღაურებას იღებს. ინგლისში ტრანსფერის შემთხვევაში, რამოსის ანაზღაურებაც მინიმუმ ორჯერ გაიზრდება.

### ტურინული გეგმები: გალეტი, მატიონი

"იუვენტუსმა" „ოლიმპიაკოსის" გარემარბ **ლუსიანო გალეტის** დაადგა თვალი. "ბებერ ქალბატონს" განზრახული აქვს, 28 წლის არგენტინელი იანვრის ტრანსფერებისას შეიძინოს. "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ტურინელთა სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. მათ სამიზნეშია ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების განაპირა მცველი **ფელიპე მატიონი**. ის "გრემიოს" საკუთრებაა. ბრაზილიური კლუბი ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვს.

გერმანია. ბუნდესლიგა. X ტური

# ყურადღება, რიბერი!

„კაიზერ ფრანკი" დაბრუნდა! „ბაიერნის" ვარსკვლავმა **ფრანკ რიბერიმ** ოთხშაბათს, ფრანკფურტის „აინტრახტთან" მატჩში, რომელიც მიუნხენელებმა 2:1 მოიგეს, შესანიშნავად ისპარეზა და რეკორდმაისტერის გულშემატკივრებს შარშანდელი რიბერი გაახსენა. ტანმორჩილმა ფრანგმა „აინტრახტთან" ჯერ ანგარიშის გათანაბრებაში შეიტანა წვლილი საგოლე პასით (ბავარიელები **მარტინ დემიკელისის** ავტოგოლის შემდეგ აგებდნენ), მერე კი გამარჯვების გოლი შეაგდო. და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ მატჩის წინ თქვა, ფორმის პიკამდე ჯერ კიდევ 15 პროცენტი მაკლიაო. ასე რომ, ბუნდესლიგა ყურადღებით უნდა იყოს, რიბერი დაბრუნდა! ეს განსაკუთრებით „ჰოფენჰაიმს" ეხება, გუნდს, რომელმაც სამშაბათს დაკარგული ლიდერობა ოთხშაბათს დაიბრუნა და სატურნირო ცხრილს ისევ სათავეში უდგას. მაგრამ როგორც ჩანს, „სოფლელებს" ეს არ აინტერესებთ...

როგორც იცით, რიბერიმ ტრავმა მოირჩინა და ფაქტია, რომ ფორმის პიკს ნელ-ნელა უახლოვდება. გასულ უქმეებზე, "ვოლფსბურგთან" მატჩში მან გოლი მას მერე გაიტანა, რაც მიუნხენელები 0:2-ს აგებდნენ და ამით თამაშის შემოტრიალებას ჩაუყარა საფუძველი. „აინტრახტთან" კი მატჩი ფაქტობრივად მარტომ შემოატრიალა. ეს გახლდათ **იურგენ კლინსმანის** გუნდის ზედიზედ მეოთხე გამარჯვება კრიზისის შემდეგ (3 ბუნდესლიგაში, 1 ჩემპიონთა ლიგაში). ბავარიელები სატურნირო ცხრილში ახლა უკვე მეოთხე ადგილზე არიან და როგორც ხედავთ, ნელ-ნელა მიძვრებიან პირველი ადგილისკენ, სადაც „ჰოფენჰაიმია" გამაგრებული და პოზიციის დათმობაზე არც ფიქრობს.

ისე, „აინტრახტი"-„ბაიერნის" დაწყებამდე კლინსმანი **იოახიმ ლიოვს** შეხვდა და თუ გნებავთ, დავნიძლავდეთ, რომ ბუნდესგუნდის ყოფილმა და ამჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელებმა სხვა საკითხებთან ერთად, **მიხაელ ბალაკის** თემაზეც ისაუბრეს. აქვე გეტყვით, რომ ლიოვისა და ბალაკის შეხვედრა ჯერ არ შემდგარა.

იოგიმ იხილა, თუ როგორ გააფუჭეს კარგი შანსები მისმა ბიჭებმა. მეექვსე წუთზე გატანა **ლუკას პოდოლსკის** შეეძლო, მაგრამ ფრანკფურტელთა ვეტერანმა მეკარემ **ოკა ნიკოლოვმა** აჯობა. იგივე დაემართა 21-ე წუთზე **ბასტიან შვაინშტაიგერსაც,** რომელიც რიბერიმ გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე – შვაინიმ 6 მეტრიდან ვერ გაიტანა.

„ჰოფენჰაიმი" კი საფეხბურთო გერმანიის მოხიბვლას განაგრძობს. **რალფ რანგნიკის** შეგირდებმა ამჯერად „ბოხუმს" ჩაუტარეს საფეხბურთო გაკვეთილი, 3:1 იმარჯვეს და ისევ გალიდერდნენ. არადა, თავიდან ბოხუმელები იგებდნენ და „ჰოფეს" მდევრები 64-ე წუთამდე ხელებს სიამოვნებისგან იფშვნეტდნენ – აი, როგორც იქნა, ეს „სოფლელებიც" აგებენო. მაგრამ ხსენებულ დროს სენეგალელმა თავდამსხმელმა **დემბა ბამ** ულამაზესი გოლით ანგარიში გაათანაბრა – მან **კარლოს ედუარდოს** დროული და ზუსტი ჩაწოდებით ისარგებლა. ზუსტად ექვსი წუთის შემდეგ ბოხუმელმა **გროტემ** საჯარიმოში „ჰოფეს" მარჯვენა მცველის, **ანდრეას ბეკის** წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვია და პენალტი გოლად **ვედად იბიშევიჩმა** აქცია – ბოსნიელის მეთერთმეტე გოლი მიმდინარე სეზონში. არ გასულა ერთ წუთზე მეტი და „პროფესორ რალფის" ბიჭებმა მესამე გოლიც გაიტანეს: გუსტავო-იბიშევიჩის კომბინაცია კარლოს ედუარდომ ეფექტური გოლით დააგვირგვინა. ტანმორჩილმა ბრაზილიელმა პუბლიკა კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ მას ახალ **რონალდინიოს** ტყუილად არ უწოდებენ. აქვე გეტყვით, რომ დიდი შანსია, ზამთარში „ჰოფენჰაიმმა" **ტიმო ჰილდებრანდი** გადაიბიროს. ფაქტია, რომ რანგნიკი „ტიმონატორის" შეძენით ძალიანა დაინტერესებული, რადგან გრანდიოზულ „ჰოფეს" ამ სეზონში მხოლოდ ერთადერთი სისუსტე უჩანს: მეკარე.

დორტმუნდის „ბორუსიის" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** „კიოლნის" თავკაც **კრისტოფ დაუმზე** შური იძია – „ბორუსიამ" კიოლნიდან 3 ქულა წაიღო (1:0). შური კი კლოპს იმის გამო ჰქონდა საძიებელი, რომ გასული სეზონის მიწურულს, დაუმმა მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში კლოპის „მაინცი" დაამარცხა, თვითონ ელიტაში გადავიდა, მეტოქე კი მეორე ბუნდესლიგაში ჩატოვა. სხვათა შორის, კლოპი სწორედ ამის გამო გადავიდა „დორტმუნდში". აღსანიშნავია, რომ კიოლნელებმა ვესტფალიელთა წინააღმდეგ დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს, რაც ამ სეზონში პირველი შეთხვევაა. შესაბამისად, „თხებს" საგოლე შანსები მრავლად არ ჰქონიათ. პირველ ტაიმში მხოლოდ „კიოლნის" ბომბარდირ (5 გოლი) **მილოვოიე ნოვაკოვიჩს** შეეძლო გოლის გატანა. სხვა მხრივ, „ბორუსიამ" მეტოქე აბსოლუტურად ყველა ასპექტში დაჩაგრა. დაუმი თავის მეკარე **მონდრაგონს** უნდა უმადლოდეს, დიდი ანგარიშით რომ არ დამარცხდა. „კიოლნი" ორჯერ ძელმა გადაარჩინა (**ვალდესი, კრინგე**), დანარჩენ შემთხვევებში კი კოლუმბიელი შესანიშნავად თამაშობდა. *„კრისტოფ დაუმს უდიდეს პატივს ვცემ, ის შესანიშნავი მწვრთნელია. სწორედ ამიტომ, მისი გუნდის წინააღმდეგ გამარჯვება ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს,"* – განაცხადა ნამატჩევს კლოპომ.

როგორც ჩანს, „ჰამბურგმა" „ჰოფენჰაიმთან" განცდილი კრახი ძალიან მალე გამოიგლოვა. ოთხშაბათს **მარტინ იოლის** გაკრიტიკებულმა შეგირდებმა "შტუტგარტი" მიიღეს და 2:0 დაამარცხეს. ერთ-ერთ ეპიზოდში მოედანზე ვითარება ძალიან დაიძაბა, რადგან შვაბების მეკარე **იენს ლემანი** „ჰამბურგის" საყრდენ ნახევარმცველ **დავიდ იაროლიმზე** გაბრაზდა. ვეტერანმა მეკარემ ჩეხ შუამარბს სიმულიანტობა დააბრალა. შედეგად **პიოტრ ტროხოვსკიმ** პენალტი გოლად აქცია და ანგარიში გახსნა. გოლის გაშვების შემდეგ, ლემანმა ბურთი აიღო და იაროლიმს ესროლა, მაგრამ ამისათვის არ დასჯილა.

ბერლინის „ჰერტა" ისე გამოსწორდა და ისე მიიპარება ლიდერებისკენ, რომ ეს, ფაქტობრივად, ვერავინ შეამჩნია. ოთხშაბათს ბერლინელებმა საკმაოდ მსუყე გამარჯვება იზეიმეს (3:0 ჰანოვერთან) და მხოლოდ ამის შემდეგ მიიქციეს ყურადღება. აღსანიშნავია, რომ ასეთი სტარტი „ჰერტას" 8 წელია არ ჰქონია. დედაქალაქელთაგან გოლები **მარკო პანტელიჩმა, ანდრეი ვორონინმა** და **ვალერი დომოვჩისკიმ** გაიტანეს. მატჩის წინ პანტელიჩმა გუნდის ხელმძღვანელებს შეუტია, „შპორტ-ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ შეფები მჩაგრავენო. როგორც იცით, ამას წინათ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ლუსიენ ფავრმა** სერბი ფორვარდი განაცხადში არ შეიყვანა. პანტელიჩი ამბობს, აშკარაა, რომ „ჰერტაში" ვილაცას მაგრად ვძულვარო. აშკარა ისაა, რომ პანტელიჩს ეს განცხადებები ძვირად დაუჯდება. „ბილდის" ინფორმაციით, „ჰერტა" 125 000 ევროს გადაახდევინებს. ეს პანტელიჩის ერთი თვის ხელფასია...

**მომდევნო ტური**

31 ოქტომბერი-1 **ნოემბერი. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი, ჰოფენჰაიმი-კარლსრუე, კოტბუსი-შალკე, ჰანოვერი-ჰამბურგი, შტუტგარტი-კიოლნი, ვერდერი-ჰერტა, ბაიერნი-არმინია, ბორუსია (მ)-აინტრახტი, ბურისია (დ)-ბოხუმი.**



აინტრახტი-ბაიერნი. ფრანკ რიბერისა და მარკუს შტაინჰოფერის დუელი

**კარლსრუე-შალკე 0:3**

**კარლსრუე:** მ. მილერი-3, ა. გიორლიტცი-4.5, სებასტიანი-5, ფრანცი-6, აიხნერი-4.5, მუტცელი-5 (59. შტოლი-4.5), პორჩელო-4.5, ფრაისი-5, ა. და სილვა-4.5, იაშვილი-4.5 (77. კარნელი), კენედი-4 (71. ტიმი).

**შალკე:** ნოიერი-4, რაფინია-3.5, ვესტერმანი-2.5, ბორდონი-1.5, კობიაშვილი-3, ჯოუნსი-2.5, ენგელაარი-3 (74. ფ. ერნსტი), რაკიტიჩი-3, ფარფანი-3 (69. ასამოა-3), ჰალილ ალთინთოფი-3 (80. შტრაიტი), კურანი-1.

**გოლები:** 0:1 ბორდონი (15), 0:2 კურანი (19), 0:3 ფარფანი (67)

**გაძევება:** ფრანცი (56. კარლსრუე)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 11(6)-20(10); **ჯარიმა:** 10-17; **კუთხური:** 7-9; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 29 164

**ვერდერი-ლევერკუზენი 0:2**

**ვერდერი:** ფანდერი-4.5, პრიოდლი-4 (67. ბიონიში-4), მერტეზაკერი-2.5 (78. ვრანიეში), ნალდო-4.5, პასანენი-4.5, ბაუმანი-5, ფრინგსი-4.5, ჰანტი-4.5 (60. ჰუსეინოვიჩი-5), იოზილი-4.5, როზენბერგი-3.5, უგო ალმეიდა-5.

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი-2.5, კასტრო-2.5, მ. ფრიდრიხი-2.5, ენრიკე-3.5, კადლეცი-3, როლფესი-2.5, რენატო-3.5 (86. დუმი), ვიდალი-2.5, შვეგლერი-4 (69. ბარნეტა-3), კისლინგი-3.5, ჰელმესი-3 (77. გეკასი).

**გოლები:** 0:1 ვიდალი (71), 0:2 მ. ფრიდრიხი (80)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 13(2)-15(5); **ჯარიმა:** 16-17; **კუთხური:** 6-5; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 37 142

**ვოლფსბურგი-ბორუსია (მ) 3:0**

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-3, რიტერი-3, მადლუნგი-2, ბარძალი-3, მ. შეფერი-3.5, ჟოსუე-2.5, ჰასებე-3.5 (62. ძაკარდო-3), გენტნერი-3, მიშიმოვიჩი-2.5 (86. კაიუბი), გრაფიტე-3 (74. დეჟაგა), ჯეკო-3.5.

**ბორუსია (მ):** ლიოე-4.5, კლაინე-4, პააუვე-4, დაემსი-2.5 (45. ბრაუერსი-4.5), სფერდი-4.5, ფოიგტი-4, ალბერმანი-3.5, მატმური-4.5, ბრედლი-5 (58. მარინი-4), ვან დერ ბერგი-3.5 (69. ნოივილი-4), ფრენდი-5.

**გოლები:** 1:0 გრაფიტე (40-პენ), 2:0 მადლუნგი (55), 3:0 მიშიმოვიჩი (75-პენ)

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 21(6)-12(2); **ჯარიმა:** 18-23; **კუთხური:** 11-2; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 22 580

**არმინია-კოტბუსი 1:1**

**არმინია:** აილჰოფი-3.5, ლამეი-4 (72. ნ. ფიშერი), ჰერციგი-4, ბოლმანი-4.5, შულერი-3, კაუფი-4.5 (46. იანჟიჩი-4), კუჩერა-3.5, ტეშე-4.5, კატონგო-4.5, ჰალფარი-3.5 (72. ფერსიკი), ვიხნიარეკი-3.

**კოტბუსი:** ტრემელი-3, პავიჩევიჩი-3, კუკიელკა-3.5, კადასი-4, ციბიგი-4, მ. კურთი-4 (92. რადელიჩი), ტ. როსტი-4, რივიჩი-3 (78. ვასილიევიჩი), სკელა-3.5 (89. შაო), დ. სიორენსენი-4, რანგელოვი-3.

**გოლები:** 0:1 რანგელოვი (31), 1:1 ვიხნიარეკი (63)

**გაძევება:** რანგელოვი (44. კოტბუსი)

**გაფრთხილება:** 5-2; **დარტყმა:** 19(3)-8(2); **ჯარიმა:** 17-24; **კუთხური:** 11-0; **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 18 200

**ჰამბურგი-შტუტგარტი 2:0**

**ჰამბურგი:** ფ. როსტი, დემელი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, აოგო, იაროლიმი, ალექს სილვა, ტროხოვსკი, ოლიჩი, გერერო (81. ტიაგო ნევესი), პეტრიჩი (71. პიტროიპა).

**შტუტგარტი:** ლემანი, ბულარუზი, ტასკი, დელპიერი, ბოკა, პარდო (73. მარიკა), ჰილბერტი, ხედირა, ჰიტცლშპერგერი, გომესი, კაკაუ.

**გოლები:** 1:0 ტროხოვსკი (17-პენ), 2:0 მატიისენი (74)

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 9(3)-22(5); **ჯარიმა:** 13-16; **კუთხური:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 50 037

**აინტრახტი-ბაიერნი 1:2**

**აინტრახტი:** ნიკოლოვი, პ. ოხსი, რუსი, გალინდო, შპიხერი, მ. ფინკი, შტაინჰოფერი (85. ცუმუ), ტოსკი (71. ლიუბიჩიჩი), ფენინი, ქორქმაზი (74. მაჰდავიკია), ლიბეროპულოსი.

**ბაიერნი:** რენზინგი, ოდო, ლუსიო, დემიკელისი, ზე რობერტო, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი, ბოროვსკი, რიბერი, კლოზე, პოდოლსკი (80. ოტლი).

**გოლები:** 1:0 დემიკელისი (55-საკ. კარში), 1:1 კლოზე (65), 1:2 რიბერი (70)

**გაფრთხილება:** 2-6; **დარტყმა:** 9(1)-15(6); **ჯარიმა:** 14-15; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 51 500

**ჰერტა-ჰანოვერი 3:0**

**ჰერტა:** დრობნი, ჩაჰედი, ა. ფრიდრიხი, კაკა, მ. შტაინი, კაჩარი, დარდაი, ნიკუ, სისერო, რაფაელი (46. ვორონინი), პანტელიჩი (87. დომოვჩიისკი).

**ჰანოვერი:** ფრომლოვიტცი, ჩერუნდოლო, ბალიტში, ფარენჰორსტი, რაუში, ლალა (77. შტაინერი), კ. შულცი, კრებსი (46. შლაუდრაფი), პინტუ (72. ჰანკე), ჰუშტი, ფორსელი.

**გოლები:** 1:0 პანტელიჩი (63), 2:0 ვორონინი (84), 3:0 დომოვჩიისკი (90)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 9(4)-13(1); **ჯარიმა:** 14-11; **კუთხური:** 5-1; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 31 329

**ბოხუმი-ჰოფენჰაიმი 1:3**

**ბოხუმი:** ფერნანდესი, პფერტცელი, მალტრიტცი, იაია, კ. ფუხსი, ო. შრიოდერი, დაბროვსკი, ფრაიერი (72. ჰაშემიანი), აზაუაგი, გროტე (88. უდებელი), შინანი.

**ჰოფენჰაიმი:** ჰაასი, ბეკი, იაისლე, კომპერი, იბერტსბერგერი, კარლოს ედუარდო (82. ტებერი), ლუის გუსტავო (72. ფორსა), სალიჰოვიჩი (46. ვაისი), იბიშევიჩი, ბა, ობასი ოგბუკე.

**გოლები:** 1:0 გროტე (2), 1:1 ბა (64), 1:2 იბიშევიჩი (70), 1:3 კარლოს ედუარდო (71)

**გაძევება:** დაბროვსკი (75. ბოხუმი)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 8(6)-18(7); **ჯარიმა:** 27-13; **კუთხური:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 38%-63%.

**მაყურებელი:** 24 444

**კიოლნი-ბორუსია (დ) 0:1**

**კიოლნი:** მონდრაგონი, ბრეჩკო (76. სანუ), გერომელი, მოჰამადი, ვომე, პეტიტი, პეცონი, ვუჩიჩევიჩი (66. ჩიპი), ანტარი (66. რადუ), ერეთი, ნოვაკოვიჩი.

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი, ლი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, ოვომოიელა, კელი, ტინგა, კრინგე, ჰაინალი (75. ნ. ჰაჰინი), ბლაშჩიკოვსკი (72. ზიდანი), ვალდესი (66. ფრაი).

**გოლი:** 0:1 კრინგე (65)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 6(1)-18(6); **ჯარიმა:** 9-8; **კუთხური:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 50 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოფენჰაიმი | 10 | 7 | 1 | 2 | 27-15 | 22 |
| 2. ლევერკუზენი | 10 | 7 | 0 | 3 | 24-11 | 21 |
| 3. ჰამბურგი | 10 | 6 | 2 | 2 | 17-15 | 20 |
| 4. ბაიერნი | 10 | 5 | 3 | 2 | 22-16 | 18 |
| 5. ჰერტა | 10 | 5 | 3 | 2 | 14-10 | 18 |
| 6. შალკე | 10 | 4 | 5 | 1 | 15-8 | 17 |
| 7. ბორუსია (დ) | 10 | 4 | 5 | 1 | 18-15 | 17 |
| 8. ვოლფსბურგი | 10 | 4 | 4 | 2 | 23-16 | 16 |
| 9. შტუტგარტი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-12 | 16 |
| 10. ვერდერი | 10 | 3 | 4 | 3 | 23-22 | 13 |
| 11. კიოლნი | 10 | 4 | 1 | 5 | 8-12 | 13 |
| 12. აინტრახტი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-16 | 9 |
| 13. კარლსრუე | 10 | 3 | 0 | 7 | 8-16 | 9 |
| 14. ჰანოვერი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-20 | 9 |
| 15. არმინია | 10 | 1 | 5 | 4 | 11-17 | 8 |
| 16. ბოხუმი | 10 | 1 | 4 | 5 | 13-18 | 7 |
| 17. ბორუსია (მ) | 10 | 2 | 1 | 7 | 9-20 | 7 |
| 18. კოტბუსი | 10 | 1 | 3 | 6 | 6-15 | 6 |

**ბომბარდირები:** 11 - იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი); 8 - ჰელმესი (ლევერკუზენი); 7 - ვიხნიარეკი (არმინია); 6 - ბა (ჰოფენჰაიმი); 5 - პისარო (ვერდერი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი), კურანი (შალკე), გომესი (შტუტგარტი), გრაფიტე (ვოლფსბურგი).

[illegible]

ბიბლიოთეკა

# ლაბადიას ბალადა: ლამაზი ფეხბურთი

## მარტო ჰოფე კი არა, ლევერკუზენიც მოდაშია...

ბუნდესლიგას „ჰოფენჰაიმი" ლიდერობს და ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი სენსაციაა, მაგრამ რომ არა **დიტმარ ჰოპის** ალვირახსნილი გუნდი, საფეხბურთო გერმანიის ყურადღების ცენტრში „ლევერკუზენი" მოექცეოდა – გუნდი, რომელმაც შარშანდელი სეზონისგან განსხვავებით, ძალიან მოუმატა.

„ჰოფენჰაიმის" შემდეგ, ბუნდესლიგაში ყველაზე თვალსასეირო ფეხბურთს სწორედ „ფარმაცევტები" თამაშობენ. თუ „ჰოფემ" 27 გოლი გაიტანა, „ბაიერის" ანგარიშზე 24 გოლია. „ლევერკუზენი" **რალფ რანგნიკის** სამწყსოს ოდენ ერთი ქულით ჩამორჩება. და რაც მთავარია, 42 წლის **ბრუნო ლაბადია** „ბაიერს" ასევე შემტევ ფეხბურთს ათამაშებს.

ლაბადიას „ლევერკუზენამდე" დიდ გუნდებში არასდროს უმუშავია. მისგან სასწაულებსაც არავინ ელოდა. მაგრამ დღეს ბრუნო და მისი ბიჭები იმდენად კარგად გამოიყურებიან, ლამისაა ყველამ იფიქროს, რომ „ლევერკუზენში" ძველი დიდება ბრუნდება. ფაქტია, რომ აგერ უკვე რამდენიმე თვეა, ამ ქალაქში ხალხი ისევ ფეხბურთით ცხოვრობს, ლაბადია კი ნელ-ნელა საკულტო ფიგურა ხდება, – ზუსტად ისე, როგორიც თავის დროზე **კრისტოფ დაუმი** და **კლაუს ტოპმიოლერი** იყვნენ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გუნდის თავდასხმა, სადაც გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავები თამაშობენ. ლაბადიას წინა ხაზში მომავლის დუეტი ჰყავს - 24-24 წლის **შტეფან კისლინგი** და **პატრიკ ჰელმესი.** პირველის ამოცანა უკანასკნელის საგოლე პასებით მომარაგებაა. კისლინგს უკვე 5 საგოლე პასი აქვს, ჰელმესს კი - 8 გოლი.

ნახევარდაცვაში ნათელი წერტილი ბრაზილიელი გამთამაშებელი **რენატოა,** რომელიც 20 წლის გახლავთ. ეს უკანასკნელი ბრუნომ ზაფხულში ბრაზილიიდან ჩამოიყვანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ლუსიოსა** და **ჟუანის** შემდეგ, „ბაიერს" ასეთი ბრაზილიელი ფეხბურთელი არ ჰყოლია. რენატოს ზურგიდან და ხშირად ფლანგებიდან ჩილელი **არტურო ვიდალი** აზღვევს, რომელიც ასევე ახალგაზრდაა, სულ რაღაც 21 წლის. ვიდალს გოლების გატანაც შეუძლია. მის ანგარიშზე უკვე სამი გოლია. ექვსიანის პოზიციაზე „ლევერკუზენს" ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ჰყავს. საუბარია **სიმონ როლფესზე,** რომელიც გერმანიის ნაკრებში **ტორსტენ ფრინგსს** სერიოზული კონკურენტია.

თითოეული ფეხბურთელის დახასიათება შორს წაგვიყვანს. ამიტომაც, მხოლოდ ერთ გამორჩეულ ფიგურაზე შევჩერდებით: ლაბადიას გუნდის მარგაიტი მეკარე **რენე ადლერია,** რომელსაც საუკეთესო შანსი აქვს, გახდეს გერმანიის ნაკრების პირველი გოლკიპერი. „ადლერი" არწივს ნიშნავს და რენეც დაფრინავს. მას 270 წუთია, გოლი არ გაუშვია...

ამრიგად, ბრუნო ლაბადიას ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავს და თუ „ფარმაცევტები" ამ შემადგენლობას არ დაკარგავენ, ნათელი მომავლის იმედი უნდა ჰქონდეთ. „ბაიერის" საშუალო ასაკი სულ რაღაც 23 წელია. 10 თამაშში 7 მოგება და 3 მარცხი – სადაც „ჰოფენჰაიმს" ვახსენებთ, იქ არც „ლევერკუზენი" უნდა დავივიწყოთ...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჭიდაობა

# ალექსი დავითაშვილი საქართველოს რვაგზის ფალავანია



ალექსი დავითაშვილის მორიგი ფანდი

გიორგი ჭანიშვილის ფოტო

გუშინ ისევ აჭყივლდა ზურნა და ისევ აბრაგუნდა დოლი ვერის ბაღში, სადაც ქართული ჭიდაობის ქომაგები უძველესი დროიდან არაერთხელ მოხიბლულან ცნობილი ფალავნების ელვისებური ფანდებით. ამჯერად ბავშვთა კალათბურთის სასახლემ უხმო ჯეელებს მკლავისა და მუხლის ძალის მოსასინჯად. საქართველოს სხვადასხვა კუთხის 28 წარმომადგენელი ჩაება პაექრობაში ფალავნის ტიტულის მოსაპოვებლად, რომელიც წლეულს მესამოცედ გათამაშდა.

ფინალამდე დაუმარცხებლად განვლო გზა ახმეტელმა **ალექსი დავითაშვილმა,** რომელიც ძიუდოში ევროპის გუნდური ჩემპიონატების ორგზის გამარჯვებულია. ინდივიდუალურ პირველობებში კი სამჯერ საპრიზო ადგილებზე გავიდა. საქართველოს შვიდგზის ფალავანმა გუშინ ზედიზედ სძლია თბილისელ **დავით ლორიაშვილს,** ქუთაისელ **ლაშა გურულს** და გადამწყვეტ შეხვედრაში რუსთაველ **ზვიად ჩინჩალაძეს** დაუპირისპირდა. ეს უკანასკნელი 2003 წელს სამბოში ევროპის ჩემპიონი გახდა, კონტინენტის პირველობებზე სამჯერ მესამე ადგილები დაიკავა, შარშან და შარშანწინ მსოფლიოს ჩემპიონატებზეც „ბრინჯაო“ დაიმსახურა. ფინალში გასასვლელად ჯერ თელაველ **ვალერი იმერლიშვილს** სძლია, შემდეგ - **ზვიად ხანჯალიაშვილსა** და **იოსებ მსხალაძეს,** რომელთანაც ხალიჩაზე კონფლიქტი მოუხდა. მსაჯების ჩარევით ინციდენტი მალევე მოგვარდა და ორივე მოჭიდავემ გულშემატკივრებს სახალხოდ მოუბოდიშა.

დაძაბული აღმოჩნდა საჩემპიონო ორთაბრძოლა. საგრძნობ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, რადგან მეტოქეები კარგად იცნობენ ერთმანეთის ჭიდაობის მანერას - ისინი ხომ ფალავნობაზე გუშინ მეოთხედ არკვევდნენ ურთიერთობას. დავითაშვილმა აქტიურობით აჯობა ჩინჩალაძეს და ფალავნობა მერვედ მოიპოვა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში იოსებ მსხალაძემ წუთსა და 45 წამში მოუგო ლაშა გურულს და „ბრინჯაო“ ერგო.

გამარჯვებული და პრიზიორები სხვადასხვა ხარისხის მედლით, პრიზებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. მათვე გადაეცათ სპორტის დეპარტამენტის მიერ დაწესებული ფულადი პრიზები - შესაბამისად, სამი, ორი და ერთი ათასი ლარი.

- ჩინჩალაძე-მსხალაძის ინციდენტს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, შეჯიბრებამ საინტერესოდ ჩაიარა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ მას ცოტა მაყურებელი დაესწრო, - მითხრა ქართული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ბიწკინაშვილმა** - სასიამოვნოდ გაგვაკვირვა ალექსი დავითაშვილმა კარგი ჭიდაობით. მან ღირსეულად დაიმსახურა უძლიერესის ტიტული. ვფიქრობ, ასპარეზობა უფრო დაძაბული იქნებოდა, შარშანდელ გამარჯვებულ **ლაშა გუჯეჯიანს,** სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ **მირიან პავლიაშვილს, ადამ ოქრუაშვილსა** და **ლაშა ბერიძესაც** რომ ეჭიდავათ. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტს, პირადად ბატონ **დავით ნამგალაურს,** რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა საიუბილეო ფალავნობა არ ჩაშლილიყო...

**ალექსი დავითაშვილი,** საქართველოს რვაგზის ფალავანი: გაუგებრობის გამო მთელი სამი წელიწადი გარე სამყაროს მოწყვეტილი ვიყავი, ბევრი ნერვიულობა შემხვდა, თუმცა პრობლემებს გავუძელი და რამდენიმე თვის წინ კვლავ დავუბრუნდი ხალიჩას. უზომოდ გამახარა დღევანდელმა გამარჯვებამ - საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ ჯერ კიდევ შემძლებია ჭიდაობა. ბიჭებს, ალბათ, უფრო გამოცდილების ხარჯზე ვაჯობე.

ამას წინათ სამბისტთა საქართველოს პირველობაზეც ვძლიე ზვიად ჩინჩალაძეს და ნაკრებში დავიბევე ადგილი. **ოლეგ იაძის** ხელმძღვანელობით ორი კვირის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ბაკურიანში ვემზადებოდი. რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო გუნდის წევრებმა სანკტ-პეტერბურგში გამგზავრებაზე უარი ვთქვით, სამართლიანადაც.

**- ძიუდოისტთა მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონატზე თუ იასპარეზებ?**

- თუ მენდობიან, აუცილებლად ვიჭიდავებ. საწყენად ნუ მიიღებენ და, წესით, მეკუთვნის.

ოთხი თვეა, სისტემატურად ვვარჯიშობ. დეკემბერში ძიუდოისტთა ეროვნულ ჩემპიონატზეც გამოვალ და ვეცდები, ნაკრებში ადგილი დავიბრუნო. ძალიან მინდა, გაისად თბილისის საერთაშორისო ტურნირსა და ევროპის ჩემპიონატზეც მოვსინჯო ძალები. არ ვიცი, ოცნებას ფრთებს შევასხამ თუ არა და ჩემი სპორტული კარიერა როგორ წარიმართება. არც ის არის გამორიცხული, რომ აქტიურ სპორტს დავემშვიდობო, ამიტომ ორმაგად მიხარია დღევანდელი ჩემპიონობა, რადგან დიდი სარბიელიდან დაუმარცხებელი და რვაგზის ფალავანი წავალ...

ვაჟა დანელია

ხელბურთი

# ეროვნული ნაკრები შესარჩევს მიღმა

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გუშინ დაიწყო. საუბედუროდ, ტურნირში კონტინენტის ყველა სახელბურთო ნაკრები ჩაება... საქართველოს გარდა. უსახსრობის გამო, ჩვენმა ფედერაციამ შესარჩევ ტურნირში ასპარეზობაზე უარი თქვა. კენჭისყრით ჩვენი გუნდი პირველ ჯგუფში იყო განთესილი და გუშინ სპორტის სასახლეში შვედეთისთვის უნდა ემასპინძლა.

მოკლედ, უსიამოვნო ტრადიცია არ დაირღვა და ქართული ხელბურთი კვლავ კატასტროფულ მდგომარეობაშია. უკვე გაცნობეთ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში, ასევე უფულობის გამო მონაწილეობას ვერ მიიღე... ...ართველოს 18-გზის ჩემპიონი სტუ-"შევარდენი". ეროვნულ პირველობაზე ხუთიოდე გუნდი ითამაშებს, აქედან სამი ჭაბუკთა პირველობის მონაწილეა. მოკლედ, ისედაც არცთუ მაღალი დონის ჩემპიონატი, ახალ სეზონში, კიდევ უფრო დაბალი დონისა იქნება.

ამ სავალალო ვითარების ფონზე, დიდი ვერაფერი ნუგეში უნდა იყოს ეროვნული ნაკრების პოლონეთში გამგზავრება. ნოემბრის ბოლო რიცხვებში იქ ადგილობრივი ფედერაციის 90-წლოვანი იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი უნდა გაიმართოს.

ლევან ჯანეზაშვილი




# ფალავანთა გალერეა იტალიელის ალბომში

ახლახან რომში გამოვიდა 53 წლის იტალიელი ფოტოგრაფის **ოლივიო არგენტის** ფოტოალბომი - „ჭიდაობა“. 1000-ტირაჟიან წიგნში 107 ფოტოა, რომელიც იწყება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის შვეიცარიელი **რაფაელ მარტინეტის** შესავალი წერილით.

ამასწინათ, იტალიელ ფოტოგრაფს ოლივიო არგენტის სრულიად შემთხვევით შევხვდით „ფალავანთა კლუბში“. მას არასდროს უჭიდავია. სოფლის მეურნეობის სპეციალისტია. ფოტოგრაფობა 1995 წელს დაიწყო. ჭიდაობის და მოჭიდავეთა საოცარი ფოტოსურათები კი 2006-2008 წლების პროექტით შექმნა და წლევანდელ შავ-თეთრი ფოტოების ერთ-ერთ ამერიკულ კონკურსში უმაღლესი ჯილდო მოიპოვა.

ოლივიოს ფოტოებში თითქმის არ არიან დიდი ჩემპიონები. აქ არიან ვაჟკაცები, რომლებსაც ჭიდაობა იტაცებს - სხვადასხვა რწმენის, ქვეყნის და კულტურის წარმომადგენლები. ფალავანთა პორტრეტებში ასახულია მათი ხასიათი, მიზანსწრაფვა, ემოციები, ფსიქოლოგიური განწყობა. იმისთვის, რომ ოლივიო არგენტის ეს წიგნი შეექმნა, თითქმის ყველა კონტინენტი მოიარა.

იტალიელი ფოტოხელოვნის ნაშრომის გაცნობის შემდეგ მნახველს უჩნდება შთაბეჭდილება, რომ სპორტის ეს უძველესი სახეობა არ არის მხოლოდ ერთი კაცის მიერ მეორის ძალისმიერი ხერხებით დაჯაბნა და უპირატესობის მოპოვება. აქ ჭიდობა კიდევ სხვა ფიქრებსაც აღძრავს...

იტალიელი ამჟამად მეორე საჭიდაო ალბომსაც ამზადებს.

ჩვენი ინტერესი ამ ნაშრომის მიმართ იმან განაპირობა, რომ წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართველ მოჭიდავეებს. ალბომის ყდაზე სულაც 19 წლის ქართველი თავისუფალი სტილის მოჭიდავის **თორნიკე როსტიაშვილის** (მწვრთნელი **რამაზ საბაშვილი**) ფოტოა გამოსახული. მეორე ალბომშიც ბლომად იქნებ ქართველი.

ჩვენთან საუბარში იტაიელმა ფოტოგრაფმა ერთი სამომავლო გეგმაც გაგვიმხილა: მას გადაწყვეტილი აქვს, თბილისში მოაწყოს ფოტოგამოფენა.

გაბრიელ ბარჯაძე

სუმო

# ოსი ხელს ქართველს ადებს

21 წლის **ლევან გორგაძემ** (საბრძოლო სახელი **ტოჩინოშინი**) პროფესიულ სუმოში უმალ მიაღწია წარმატებას. სპეციალისტთა მტკიცებით, ქართველი ნამდვილი ტალანტია. მას მომავალში ოძეკობას (ანუ ჩემპიონის რანგში ასვლას) უწინასწარმეტყველებენ. ლევანმაც დიდებულად დაიწყო, ის სუმოს ისტორიაში ერთ-ერთია, ვინც ყველაზე სწრაფად ავიდა რთულ იერარქიულ კიბეზე და რანგით მეშვიდე დივიზიონში 2006 წლის მარტში დაწყებული საქმე, 2008 წლის მაისში უმაღლეს დივიზიონში დებიუტით დააგვირგვინა. დღეისათვის ტოჩინოშინი დასავლეთის მე-4 მაეგაშირაა, ეს მისი კარიერის ახალი მიღწევაა. ფაქტობრივად, ის რეიტინგში მე-17 სუმოისტია მსოფლიოში. თუმცა მის კარიერას საფრთხე მოულოდნელად დაემუქრა...

საქმე ისა არის, რომ აგვისტოში მარიხუანის მოხმარებისთვის სუმოდან მოკვეთილი ოსი რიკიში **ვაკანოჰო** ალაპარაკდა და ერთ-ერთ ჟურნალთან („შუკან გენდაი“) ინტერვიუში ათასი ტყუილ-მართალიც თქვა. ვაკანოჰომ ოძეკებს **ჩიოტაიკაის** და **კაიოს** დააბრალა, რომ მათ სასარგებლოდ სპეციალურად წააგო მილიონი იენის სანაცვლოდ. მან ინტერვიუში ტოჩინოშინიც ახსენა: *„ტოჩინოშინს კარგად ვიცნობ, ჩვენ ერთად ვეწეოდით მარიხუანას, თუნდაც 17 აგვისტოს წინა ღლით, როცა დამაპატიმრეს“.* ბუნებრივია, იაპონელმა ჟურნალისტებმა ქართველის პოზიციაც მოისმინეს. ტოჩინოშინი ამჟამად გამალებით ემზადება ნოემბრის ბაშოსთვის. ჩვენმა თანამემამულემ თქვა: *„ვაკანოჰოს კარგად კი ვიცნობ, მაგრამ მასთან ისეთი ახლო ურთიერთობაც არ მაქვს, როგორც თავად ამტკიცებს. მის სახლში კი მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი DVD-ის სათხოვნელად“.*

ბრალდება - ბრალდებად, მაგრამ ვაკანოჰოს ნათქვამს ფასი ნაკლებად აქვს, რადგან ამ ინციდენტის შემდეგ სუმოს ასოციაციამ უკლებლივ ყველა სუმოისტი შეამოწმა მარიხუანაზე და მხოლოდ ორს, ისიც ვაკანოჰოს ოს თანამემამულეებს **როჰოს** და **ჰაკუროძანს** დაუდგინდა ნარკოტიკის კვალი. სხვებთან ერთად შეამოწმეს ლევანიც, ის სუფთა აღმოჩნდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ტოჩინოშინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



ქართველი NBA-ში

# 11, 8, 8, 99

## სმიტი: ფაჩულიამ დიდებული მატჩი ჩაატარა

ქვესათაურში მოხმობილი ფრაზა გასაგებია, **ჯოშ სმიტის** სიტყვებიდან მიხვდებოდით, რომ NBA-ს ახალი სეზონის სადებიუტო მატჩში **ზაზა ფაჩულიამ** კარგად ითამაშა.

თუმცა გაგიჩნდებოდათ კითხვა, რა დატვირთვას ატარებს სათაურში გამოტანილი წყვილ-წყვილი ციფრები. მათ მნიშვნელობას აქ განვმარტავთ: ფაჩულიამ "ორლანდოსთან" გასვლით შეხვედრაში 11 წუთი ითამაშა, 8 ქულას 8 მოხსნა მიამატა და "ატლანტა ჰოქსს" 99:85 გაამარჯვებინა.

რადგან ლაპარაკი ქართველი ცენტრით დავიწყეთ, აქვე დავამატებთ, რომ იგი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 7 მცდელობიდან 4 ორქულიანი კალათში მოათავსა. აქედან ოთხი ქულა მესამე პერიოდის ბოლოს მიითვალა, მაშინ, როცა ორლანდოელებმა ატლანტელებზე დაწოლა გააძლიერეს. ზაზას ქულათა მაჩვენებლის ორნიშნა რიცხვით გამოსახვაც შეეძლო, მაგრამ ორივე საჯარიმო მიზანს აცილა. გარდა 8-8 მოხსნა-ქულისა, ფაჩულიას გასწვრივ 1 პასი და 5 ფოლი წერია. სწორედ ფოლების დიდი რაოდენობა უნდა იყოს მისთვის სათამაშო დროის შეზღუდვის მიზეზი. NBA-ში ხომ 6 ჯარიმა მოედნიდან გავარდნის ტოლფასია.

ფაჩულიას მარგი ქმედების კოეფიციენტმა 14-ს უწია. მასზე უკეთესი მაჩვენებელი ორ ჯორჯიელს ჰქონდა – **ჯოშ სმიტმა** 17 ქულა და 10 მოხსნა გაიფორმა, ხოლო **ჯო ჯონსონმა** 25 ქულას მოუყარა თავი.

"ატლანტა" ორლანდოში თავიდანვე დაწინაურდა, პირველი მეოთხედი 24:13 მოიგო. მესამე თორმეტწუთეულის ბოლოსთვის სტუმრებმა სხვაობა 19 ქულამდე გაზარდეს. "ორლანდომ" სიტუაციის გამოსწორება **დუაიტ ჰოვარდის** ხარჯზე ბოლო მეოთხედში სცადა, მაგრამ ჰოვარდმა პუბლიკას თავი მხოლოდ 22 ქულით, 15 მოხსნითა და ეფექტური ჩატენებით დაამახსოვრა.

99:85 "ატლანტის" სასარგებლოდ. ზაზას თანაგუნდელები სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერები არიან. ორი სათამაშო დღის შემდეგ ამ დივიზიონელთაგან გამარჯვება მხოლოდ "ჰოქსს" აქვს.

მომდევნო მატჩს "ატლანტა" 1-ელ ნოემბერს, შინ "ფილადელფიის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

ახლა "ჰოქსი"-"ორლანდოს" მატჩისშემდგომ კომენტარებს შემოგთავაზებთ და ბოლოს შეგიძლიათ ზაზა ფაჩულიას თამაშის ქრონოლოგიას გაეცნოთ.

**სტენ ვან განდი** ("ორლანდოს" მწვრთნელი):

- დღეს "ატლანტამ" დამსახურებულად გაიმარჯვა. მას აშკარად ეტყობოდა, რომ მოგება ჩვენზე მეტად სურდა. სამწუხაროდ, ვერაფრით დაგვეხმარნენ სათადარიგოები.

მაიკ ვუდსონი ("ატლანტის" თავკაცი):

- ისევე როგორც საგამოფენო მატჩებში დღესაც დიდი დახმარება გაგვიწიეს სათადარიგოებმა. აშკარაა, რომ ისინი მზად არიან კიდევ უფრო რთული მატჩებისთვის. მო ევანსი და ფლიპ მიურეი ვეტერანები არიან და მათზე ბევრს არაფერს ვიტყვი. ზაზა ფაჩულიამ კი ისევე ეფექტურად ითამაშა, როგორც "ატლანტაში" გადმოსვლის პირველ სეზონში.

ჯოშ სმიტის მიერ ზაზას თამაშის შეფასება ზემოთ უკვე გაგაცანით. ქართველი ცენტრისთვის გაცილებით ღირებული უნდა ყოფილიყო "ატლანტის" ლეგენდის **დომინიკ უილკინსის** მისვლა და ხელის ჩამორთმევა სიტყვებით: *"აი, რა შედეგი მოაქვს შრომას, დიდო კაცო."*

...და ყველაზე მთავარი, თავად ზაზა ფაჩულიას კომენტარი:

- გასულ სეზონში "ბოსტონთან" საპლეიოფო დაპირისპირებებმა ბევრი რამე დამანახვა და მასწავლა. მაშინ ხომ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონს ვეთამაშეთ. მას მერე კიდევ უფრო კარგად დავინახე ის გზა, რომლითაც ვარჯიში უნდა გამეგრძელებინა და ვისწავლე, როგორ შევხვედროდი ნებისმიერ მატჩს. დღევანდელი თამაში ამის დასტური იყო.

### ფაჩულიას მონაგარი

**11 წუთი: 8 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 5 ფოლი**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 2:42 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 1:58 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| **1:58** | **ორქულიანი: 2ქ (21:8)** |
| 0:34 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 0:34 | ფოლი: 1 |
| 0:04 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| **0:04** | **ორქულიანი: 4ქ (26:13)** |
| **II პერიოდი** | |
| 10:54 | ფოლი: 2 |
| 10:46 | ფოლი: 3 |
| 10:46 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 9:05 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 7:37 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 7:30 | მოხსნა: შეტ-3, დაც-1 |
| 7:28 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 6:01 | მოხსნა: შეტ-4, დაც-1 |
| 4:25 | მოხსნა: შეტ-5, დაც-1 |
| **4:25** | **ორქულიანი: 6 ქულა (63:49)** |
| 4:25 | საჯარიმო: არაზუსტი |
| 4:07 | ფოლი: 4 |
| **3:55** | **ორქულიანი: 8ქ (65:51)** |
| 3:55 | საჯარიმო: არაზუსტი |
| 3:29 | მოხსნა: შეტ-5, დაც-2 |
| 3:18 | მოხსნა: შეტ-6, დაც-2 |
| 3:13 | პასი: 1 (სმიტი 3ქ, 68:51) |
| 3:06 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:13 | ზაზამ ჯონსი შეცვალა |
| 9:54 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 9:36 | ფოლი: 5 |
| 9:36 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

# ცქიტიშვილი უკვე მადრიდშია

## ...და ბარსელონასთან მოედანზე ველით

დოსიე

### ნიკა ცქიტიშვილი

დაიბადა: 1983 წლის 14 აპრილს
სიმაღლე: 215 სმ.
პოზიცია: ფორვარდი

**თამაშობდა**

1997-1999 სოხუმი
1999-2001 სლოვანი (სლოვენია)
2001-2002 ბენეტონი (იტალია)
2002 დრაფტზე მე-5 ნომრად "დენვერმა" აირჩია
2002-2005 დენვერი (NBA)
2005-2006 გოლდენ სტეიტი\მინესოტა (NBA)
2007 კახა (ესპანეთი)
2007-2008 ტერამო (იტალია)
2008-დან "ფუენლაბრადა" (ესპანეთი)

**მიღწევები**

2001-2002 იტალიის ჩემპიონი ("ბენეტონთან" ერთად)
2005-2006 დასავლეთ კონფერენციის ჩემპიონი ("ფინიქსთან" ერთად)



კვირას საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩში **ნიკა ცქიტიშვილი** "ნტდ-თბილისს" ქომაგობდა, სადაც მისი მეგობარი **ირაკლი კეიდია** თამაშობს. სპორტის სასახლეში ცქიტომ მითხრა, სამშაბათს ესპანეთის ვიზის მისაღებად საელჩოში უნდა შევიდე და მომდევნო დღეებში გეზს მადრიდისკენ ავიღებ, სადაც კლუბი "ფუენლაბრადა" მელისო.

გუშინ შევიტყვეთ, რომ ნიკამ ვიზა უპრობლემოდ მიიღო და ესპანეთში გამგზავრება აღარ დაახანა. იგი პირენეებზე გუშინწინ გვიან ღამით გაფრინდა. ასე და ამგვარად სკიტა უკვე მადრიდშია და "ფუენლაბრადასთან" ერთად ემზადება. გამოგიტყდებით, ასეთი ვრცელი დასახელების დაწერა მაშინაც არ მსიამოვნებდა, როცა **ელისი**, ან **სანიკიძე** "ფუენლაბრადას" ეთამაშებოდნენ, მაგრამ სხვა გზა არ არის. ახლა ყოველ კვირას მოგვიწევს ასეთი რთული დასახელების გუნდის ხსენება, მასში ხომ ნიკოლოზ ცქიტიშვილი ითამაშებს.

ნიკას ესპანეთში ჩასვლისთანავე მცირე ინფორმაცია გაჩნდა "ფუენლაბრადის" ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელიც ესპანურმა საიტებმა აიტაცეს. აი, რა წერია ორიგინალში:

*"მადრიდულ კლუბ "ფუენლაბრადაში" ქართველი მეფარე ნიკოლოზ ცქიტიშვილი ჩაირიცხა. ამის შესახებ გუნდის ხელმძღვანელობამ გუშინ გამოაცხადა. საქმე გვაქვს NBA-მოვლილ ახალგაზრდა კალათბურთელთან, რომელიც 2002 წლის დრაფტზე "დენვერმა" მე-5 ნომრად აირჩია.*

*წინასწარი ვარაუდით, 215 სმ სიმაღლის ცქიტიშვილმა "ფუენლაბრადას" ფარქვეშეთ უნდა შეავსოს და ტრავმირებული რაფა ვიდუარეტას ადგილი დაიკავოს.*

*ახალ შენაძენზე დადებითად ახასიათებს გუნდის მთავარი მწვრთნელი* **ლუის გუილ ი:** *"ცქიტიშვილი კარგი ფიზიკური მონაცემების პატრონია, შესაშური სროლა აქვს და წინა ხაზში ძალიან დაგვეხმარება. მისი მატჩები ნანახი მაქვს და უნდა ვაღიარო, რომ ზუსტად სროლა შეუძლია როგორც ახლო დისტანციიდან, ასევე პერიმეტრიდან, რაც მისი სიმაღლის კალათბურთელისთვის დიდი პლუსია. ახლა ჩვენი მთავარი მიზანი ნიკოლოზ ცქიტიშვილის გუნდთან დროულად შეთამაშებაა, რათა მან მომდევნო მატჩებში შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინოს."*

ესპანელები გვახსენებენ, რომ ნიკა 2002 წლის შემდეგ NBA-ს რამდენიმე კლუბში თამაშობდა და 2006 წელს ევროპაში დაბრუნდა. ის სეზონი მან სევილიის "კახაში" გაატარა, ხოლო 2007-08 წლებში იტალიური "ტერამოს" ღირსებას იცავდა (საშუალოდ 10.3 ქულა და 4.3 მოხსნა).

მკითხველს შეუძლია ცქიტოს დოსიეს ამავე გვერდზე გაეცნოს, ჩვენ კი მისი ახალი კლუბის შესახებ ვილაპარაკებთ.

"ფუენლაბრადა" 1981 წელს დაარსდა. ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში პირველად 1996-97 წლებში ითამაშა.

მას შემდეგ ქვედა ეშელონში დაქვეითება 2004-05 წლების სეზონში მოუწია, მაგრამ ელიტის საგზური პირველსავე ცდაზე მოიპოვა და 2005 წლის შემდეგ უმაღლესი ლიგის ბინადარია. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ესპანეთში ამინდს ქმნის – ელიტაში აღზევების შემდეგ პლეი ოფში ერთხელაც ვერ გააღწია.

"ფუენლაბრადის" ჯილდოთა შორის ორი ტიტულია: 2005 წელს მოგებული რიგით მეორე ლიგა და ამავე წელს მოპოვებული ასტურიის ჩემპიონობა.

ნიკას ახალი გუნდის შემადგენლობაში ხუთი ლეგიონერია: ამერიკელები **პი ჯეი რამოსი** და **ბრედ ოლესონი**, იტალიელი **ლეო მაინოლდი**, ლიტველი **კრისტოფს ვალტერსი** და სერბი **ნიკოლა ვასიჩი**. ცქიტიშვილის პოზიციაზე მადრიდელთა მწვრთნელის განკარგულებაში 2 კალათბურთელია – **ანტონიო ბუენო** და **რაფაელ ვადუარეტა**. ეს უკანასკნელი ტრავმირებულია და უნდა ვივარაუდოთ, რომ მძიმე ფორვარდის პოზიციაზე სკიტას "ფუენლაბრადაში" დიდი კონკურენცია არ შეხვდება.

სადღეისოდ ამ მადრიდულ კლუბს ესპანეთის პირველობაზე ოთხი მატჩი აქვს ჩატარებული და 2-მოგებული. იგი "ბრუესასთან" და მადრიდის "რეალთან" ერთად მე-9 მე-11 ადგილებს იყოფს.

მომდევნო ტურში "ფუენლაბრადა" კატალონიურ "ბარსელონას" მასპინძლობს. მატჩი მადრიდში 2 ნოემბერს გაიმართება.

ნიკამ ესპანეთში გამგზავრებამდე იმედი გამოთქვა, რომ "ფუენლაბრადის" მაისურს უახლოეს ტურში მოირგებდა...

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი



# პაიკიძე მსოფლიოს ჩემპიონია!

რასაც ველოდით – აღსრულდა: **ნაზი პაიკიძემ** მსოფლიოს ჩემპიონატზე თექვსმეტწლამდელთა შორის ყველას აჯობა და უმაღლესი ტიტულის მფლობელი გახდა. ცნობა რომ გასახარია, თქმა რად უნდა, მაგრამ მაინც განსაკუთრებული გრძნობა გვეუფლება, როცა ჩვენებური ყველაზე ძლიერი და წარმატებული ხდება... ბოლო ტურში ნაზის ყაიმიც ჰყოფნიდა ჩემპიონობისთვის და მანაც ისე წარმართა ბრძოლა, როგორც მისთვის ხელსაყრელი იყო... შედეგად კიდევ ერთ ტიტული მიიღო კარიერაში და იმედიც მოგვცა იმისა, რომ ძველ საჭადრაკო დიდებას მალევე დავიბრუნებთ... ნაზიმ ბოლო ორ წელიწადში საოცარი შედეგი აჩვენა: შარშან თოთხმეტწლამდელებში ევროპის ჩემპიონი გახდა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა; წლეულს კი ჯერ ოცწლამდელთა შორის მოიგო ვერცხლის მედალი, მერე - თექვსმეტწლამდელებში ევროპის პირველობა, ახლა კი იმავე ასაკში მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკის სახელი დაისაკუთრა. როგორც იტყვიან, ამის შემდეგ ნაზის ალარაფერი ექნება დასამტკიცებელი. შესაძლოა, ასაკობრივ ჩემპიონატებში აღარც კი ითამაშოს - მსოფლიოში ბევრი ისეთი გოგონაა, რომელიც მსგავსი წარმატებების შემდეგ მხოლოდ უფროსთა, ქალთა ტურნირებში ასპარეზობს... ნაზი თხუთმეტი წლის არის და ეგებ ვინმემ ასეთი ნაბიჯი ნაადრევად მიიჩნიოს, მაგრამ შემდგომი დაოსტატებისათვის ნამდვილად საჭიროა უფროსებთან ჭიდილი, ხოლო ის, რომ ასაკით პატარაა, სულაც არ არის ნაკლი. ქართველი გოგონა თავისი თაობის მსოფლიო ლიდერია და ეს მეტად საამაყოა ჩვენთვის.

აღსანიშნავია, რომ თექვსმეტწლამდელებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული შარშანაც ქართველებს ეპყრათ - **ქეთი ნანალაშვილმა** აჯობა ყველას. ქეთი ამჯერადაც ცდილობდა ტიტულის მოპოვებას, უფრო სწორად – შენარჩუნებას, მაგრამ ვერ შეძლო, თუმცა უსახელოდ და უმედლოდ არ დარჩენილა - მესამე იყო. ალბათ არავინ შემომედავება, რომ მესამე ადგილიც მშვენიერი შედეგია და უნდა მივულოცოთ ქეთის ბრინჯაოს მედალი.

ქართული დელეგაცია შესანიშნავი მონაგარით ბრუნდება ვიეტნამიდან: ოქრო-ბრინჯაოს გარდა ყულაბაში ორი ვერცხლიც ჩაგვიჩხრიალდა: თოთხმეტწლამდელ ვაჟთა შორის **ნოდარ ლორთქიფანიძემ** მეორე ადგილი დაიკავა, ასეთივე წარმატებით დაასრულა ჩემპიონატი თოთხმეტწლამდელ გოგონებში **მერი არაბიძემ**. მისი წარმატება კანონზომიერად მიგვაჩნია, თუმცა არანაკლები ემოცია გამოიწვია ჩვენში, ვიდრე სხვათა მონაპოვარმა. ნოდარის ყოჩაღობა კი სასიამოვნო სიურპრიზია და კიდევ ერთხელ გამოვარჩევთ მის შედეგიანობას... ნოდარს ჩემპიონობაც შეეძლო, მაგრამ ინდოელ **ვიდით გუჯრატთან** შედარებით უარესი კოეფიციენტი ჰქონდა და ქულათა თანაბრობის შემთხვევაში, უპირატესობა ჰინდუსს მიეცემოდა. ბოლო ტურში ქართველმა ყაიმით ითამაშა, რაც ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ შეამჩნია – მეზობელ დაფაზე ინდოელი მეტოქეს უგებდა... ნოდარმა აღარ გარისკა და ყაიმზე შეუთანხმდა მოწინააღმდეგეს. ასეთი დასკვნის საბაბს ის პოზიცია გვაძლევს, სადაც ნოდარმა დაზავება არჩია – საკმაოდ პერსპექტიულად იდგა ენდშპილში, მცირე უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ... ყაიმით კი არაფერს კარგავდა. ვულოცავთ ნოდარს ვერცხლის მედალს. მომავალში მეტისთვისაც მიეღწიოს.

ცხადია, მადლობა ყველა პრიზიორს ეკუთვნის. ოთხი მედალი ხუმრობა ხომ არ არის, მით უფრო, ევროპის ჩემპიონატის ფონზე, საიდანაც მხოლოდ ორი მედალი ჩამოვიტანეთ – ორიოდე თვის წინ ნაზი პაიკიძემ და მერი არაბიძემ ოქროთი დაიმშვენეს მკერდი. ოდნავ რომ გაგვმართლებოდა, შორეული აღმოსავლეთიდან კიდევ მეტის წამოღებაც შეგვეძლო, მაგრამ რამდენიმე ჩვენებურმა საკუთარ შესაძლებლობებზე ნაკლებად ითამაშა...

ოთხი მედალი რომ მავანს არ ეცოტავოს, მოგახსენებთ, რომ ჩვენზე მეტი მხოლოდ ორმა ქვეყანამ მოაგროვა - ინდოეთმა ოთხი ოქრო, ორი ვერცხლი და ორი ბრინჯაო, ჩინეთმა - ერთი ოქრო, სამი ვერცხლი და ორი ბრინჯაო, ხორვატიამ ორი ოქრო დააგროვა და მხოლოდ ამ მაჩვენებლით გვაჯობა, სხვა სინჯის მედლები სამხრეთ სლავებს არ მოუპოვებიათ. რაც მთავარია, რუსეთს გავუსწარით - ჩრდილოელ სლავებს მარაგში თითო ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო აქვთ. ჩვენი თავმოწონება უსაგნო ყელყელაობა რომ არ არის, თავად ხედავთ: როცა მილიარდიან და ასობითმილიონიან, თანაც უდიდესი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყნებს აჯობებ, გმირობის ტოლფასია. ამას გარდა, ტურნირზე, დებულების თანახმად, გუნდური შედეგებიც ითვლებოდა, ჩათვლაში კი მხედველობაში მიიღებოდა ყველა ასაკობრივ ჯგუფში ყოველი ქვეყნის სამი საუკეთესო მოჭადრაკის შედეგის ჯამი. ამ მაჩვენებლით პირველები კვლავ ინდოელები იყვნენ, საქართველომ კი მეორე-მეოთხე ადგილები გაიყო ჩინეთთან და ხორვატიასთან ერთად; რუსეთი აქაც ჩამოვიტოვეთ. ეს გამარჯვება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იმითაა, რომ საქართველო მხოლოდ თორმეტი მოჭადრაკით იყო წარმოდგენილი ჩემპიონატზე და სამ ჯგუფში არც ერთი მონაწილე არ გვყოლია, ექვსში მხოლოდ ერთი გვყავდა, სამში კი მოგვეძევებოდა ორი. როგორც ხედავთ, სამი მოთამაშე არსად გვყოლია, რაც თავიდანვე დიდ უპირატესობას აძლევდა მეტოქეებს. შედარებისთვის გეტყვით, რომ ინდოეთს 61 მოჭადრაკე ჰყავდა, ჩინეთს – 21, რუსეთს 46, ამერიკის შეერთებულ შტატებს - 28; მასპინძლებმა კი 89 მონაწილე გამოიყვანეს. ამ კუთხით მხოლოდ ხორვატები გვჯობნიან – 7 მოჭადრაკით იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ ჩვენთან გათანაბრება, ძირითადად, ორი ოქროს გამო შეძლეს, რაოდენობრივად და პროცენტულად კი ყველას მაინც ჩვენ ვჯობნით; თუკი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, პროცენტული შეფარდებით საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა!

მართლაც თვალსაჩინო წარმატებაა.

რახან მედლები ვერ მოიპოვეს, დანარჩენთა გარჯას ცუდს ვერ ვუწოდებთ, გარდა ერთისა – თორმეტწლამდელ ვაჟებში **გიგლა ბენიძემ** მხოლოდ 4,5 ქულა დააგროვა და აუტსაიდერებში დაასრულა ტურნირი. არადა, მისგან ხუთეულში შესვლას მაინც ველოდით...

ბოლოს, კიდევ ერთ სასიამოვნო ინფორმაციას გამცნობთ: დასვენების დღეს ორგანიზატორებმა მონაწილე ქვეყანათა შორის თვითშემოქმედებაშიც მოაწყვეს შეჯიბრება. ქართველებმა აქაც იყოჩაღეს და მესამე ადგილი დაიკავეს; ნოდარ ლორთქიფანიძის შესრულებულმა საქართველოს ჰიმნმა კი საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. ჩვენებურთა შემოქმედებამ იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ მასპინძლებმა ერთი ნომრის შესრულება ქართველებს დახურვის ცერემონიაზეც შესთავაზეს.

„ლელოს" ხვალინდელ ნომერში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის **გია გიორგაძის** ინტერვიუ-კომენტარს შემოგთავაზებთ.

**ზვიად შათირიშვილი**

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი

# ყოჩები ფინალისკენ

**ვისოლი ყოჩები-აკადემია 46:14**

ვისოლი ყოჩები (15-9) კაჭარავა, გეგენავა, პ.მაისურაძე (ადანაია 51), გრძელიშვილი, ს.ნიჟარაძე, მალაღურაძე (გაბუნია 53). (1-8) გ. ნიჟარაძე (კიკუაშვილი 51), ბრეგვაძე, ასეიშვილი (გოგეშვილი 55), თოთაძე, ბელაშვილი, ცხადაძე (კობახიძე 51), მარგველაშვილი, დგებუაძე.

*7ლ: ს. ნიჟარაძე, ბრეგვაძე, დგებუაძე, გეგენავა (2), კაჭარავა, მალაღურაძე. 4გ,ს: მალაღურაძე.*

აკადემია: (15-9) გურგენიძე, სუთიძე, ნასიძე, მოლოდინაშვილი, ბატოიანი (შ. დავითაშვილი 59), ხუხუნეიშვილი, ჩაბრაძე (ი. დავითაშვილი). (1-8) ბანდელიძე, მეკოკიშვილი, დიაკონიძე (მურვანიძე 41), გელაძე (ბარბაქაძე 47), ნებულიშვილი, ნიბლაძე (მაღლაკელიძე 41), ობოლაძე, ლომსაძე (ფირცხალაიშვილი70).

*ლ: ი. დავითაშვილი. 3ს: მეკოკიშვილი.*

მსაჯი: ბერნარ დალმასო (საფრანგეთი)



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფის შეხვედრები გუშინ მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა. პირველ მატჩში, რეგულარულ გათამაშებაში, მესამე ადგილზე გასული „ვისოლი ყოჩები" მეოთხეადგილოსან „აკადემიას" დაუპირისპირდა და დიდი ანგარიშით 46:14 დაამარცხა.

არადა, პირველი ნახევრის შემდეგ ძნელად თუ ვინმე ივარაუდებდა, რომ „ყოჩები" ასეთი დიდი უპირატესობით გაიმარჯვებდნენ. „აკადემია" კარგად ორგანიზებული, მაქსიმალურად მობილიზებული იყო და მეტოქეს არაფერს უთმობდა. მეტიც, ანგარიში მე-4 წუთზე სწორედ მათ გახსნეს. საჯარიმოდან შერკინების კვაჭმა **ბექა მეკოკიშვილმა** გაიტანა - 3:0.

„ყოჩები" ნელ-ნელა ზრდიდა ზეწოლას, თუმცა მორაგბეებს აშკარად ეტყობოდათ მღელვარება, რაც გააზრებული, მწყობრი შეტევების განხორციელებაში ხელს უშლიდათ. მე-16 წუთზე მათ მაინც შეძლეს შედეგიანი, ლამაზი კომბინაციის გათამაშება. „ყოჩებმა" დერეფანი მეტოქის ლელოდან ათ მეტრში მოიგო. შერკინების ბიჭებმა ორი მოკლე დარტყმა განახორციელეს. მერე ბურთი ხაზზე **ლაშა მალაღურაძეს** გაუტანეს. ამან უფრო მარცხნივ ხაზში ჩართული შერკინების კვაჭი **ჯაბა ბრეგვაძე** ჩართო შეტევაში, რომელმაც მოწინააღმდეგის დაცვის ხაზი გაჭრა, ათი მეტრით წინ წაიწია და კიდისკენ გარემარბ **სანდრო ნიჟარაძეს** გადააწოდა. სანდრო მეტოქის ორ მცველს დაუსხლტა ხელიდან და ლელოში შეიჭრა. მალაღურაძემ გარდასახვა ვერ გაიტანა - 5:3.

„აკადემიამ" ამაზე ხუთ წუთში ისევ საჯარიმო დარტყმით უპასუხა მოწინააღმდეგეს. მეკოკიშვილმა 35 მეტრიდან ზუსტად დაარტყა - 6:5. მაგრამ ანგარიშში წინ ყოფნა აკადემიელებს მხოლოდ ოთხი წუთის განმავლობაში მოუხდათ. „ყოჩებმა" სალელოე შეტევა ისევ დერეფნიდან წამოიწყო. მარჯვენა ფრთაზე აუტი სუფთად მოიგეს და მორკინლებმა რამდენიმე მოკლე დარტყმით, მოწინააღმდეგეს საკუთარი ლელოს ხაზისკენ უკან დახევა აიძულეს. მერე წარმოქმნილი რაკიდან მოლი ააგორეს და ჩათვლის მოედანში ბურთით ჯაბა ბრეგვაძე შევიდა. მალაღურაძემ ამჯერად ზუსტად გარდასახა -12:6.

ათი წუთის შემდეგ, ერთწუთიანი შუალედით „აკადემიამ" და „ყოჩებმა" საჯარიმოები გაცვალეს - 9:15. ტაიმის მიწურულს კი „აკადემიამ", შეიძლება ითქვას, საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მოედნის ცენტრთან ახლოს მათ აუტიდან სწრაფად შემოიტანეს ბურთი. ფულბეკმა **დავით გურგენიძემ** მარცხნივ, სიღრმეში მოინდომა თავისიანისთვის ბურთის გადაწოდება, მაგრამ „ყოჩების" გარემარბმა **ირაკლი გეგენავამ** ჩაუჭრა და ლელომდე 60 მეტრი ირბინა. მალაღურაძემ გარდასახა - 22:9.

მეორე ტაიმის საწყის 11 წუთში „ყოჩებმა" სამი ლელო გაიტანა და ფაქტობრივად, მატჩის ბედი დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე გადაწყვიტა. ლელოს ავტორები **გიორგი კაჭარავა, ირაკლი დგებუაძე** და ლაშა მალაღურაძე არიან. ამ უკანასკნელმა სამიდან ორი გარდასახა და „ყოჩები" 32 ქულით დააწინაურა - 41:9. შეხვედრის ხსნა უკვე შეუძლებელი იყო.

„აკადემიამ", რაც შეეძლო მაქსიმალურად ბოლომდე იბრძოლა. 67-ე წუთზე **ლევან ხუხუნეიშვილმა** ფეხით გადაუკიდა კიდისკენ გარემარბ **ილია დავითაშვილს**, რომელიც ბურთს ადგილზე დახვდა და მეტოქეს ლამაზი ლელო გაუტანა. მეკოკიშვილმა გარდასახვა ვერ გამოიყენა -14:41.

მატჩის მშვენება კი ბოლო წუთზე ირაკლი გეგენავას მიერ მოწყობილი სოლო რეიდი იყო. მან ბურთი მოედნის საკუთარ ნახევარზე მიიღო და 75 მეტრი ირბინა. გზად ცრუ მოძრაობით გვერდი რამდენიმე მოწინააღმდეგეს აუარა და ლელო კიდესთან, ზედ დროშასთან გაიტანა - 46:14.

„ყოჩებმა" ამ გამარჯვებით მცირე ფინალში გააღწია, სადაც „ლელოს" დაუპირისპირდება, რომელმაც თავის მხრივ, მეორე ნახევარფინალურ მატჩში, „ლოკომოტივთან" წააგო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ფინალის დარი რკენა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ლოკომოტივი-ლელო 17:13**

ლოკომოტივი (15-9) ასათიანი (ნიკლაური 59), ტუჩაშვილი, კობერიძე, ბერძენიშვილი, ჟამუტაშვილი, კვინიხიძე, ღვინჯილია. (1-8) პეტრიაშვილი, ტურაშვილი (ზარიძე 68), ნაცარაშვილი, ჩიტიძე (ბერიშვილი 67), ნიშნიანიძე, გენებაშვილი, ახვლედიანი (კორკოტაძე 78), ზ. მაისურაძე

*2ლ: ტუჩაშვილი, კობერიძე. 2გ, ს: კვინიხიძე.*

სინბინი: ზ. მაისურაძე

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე, კორკელია, თოდუა, ცერცვაძე, ხმალაძე, ჭინჭარაული (გოგია 28). (1-8) ყალიჩავა (სანიკიძე 55), ცხოვრებაშვილი (მირცხულავა 46), სუჯაშვილი, ი. დაუშვილი (დ. დაუშვილი 51), აზალაძე, ი. მაისურაძე, კოლელიშვილი, სირბილაძე.

*ლ: თოდუა. გ, 2ს: ჯოგლიძე.*

მსაჯი: პატრიკ პეშამბერი (საფრანგეთი).

გაცილებით დაძაბული და საინტერესო აღმოჩნდა ჩემპიონატის ფავორიტების „ლოკომოტივისა" და „ლელოს" დაპირისპირება. რკინიგზელთა გუნდმა მეტოქე 17:13 დაამარცხა და დიდ ფინალში გავიდა.

პირველი ტაიმის ათი წუთი „ლელოსი" იყო. ისინი მოწინააღმდეგეს გამუდმებით უტევდნენ და დროის ეს მონაკვეთი მათ ნახევარზე გაატარეს. ანგარიშის გახსნის საშუალება „ლელოს" ფულბეკ **ირაკლი ყიასაშვილს** ორჯერ მიეცა, მაგრამ ორჯერვე საჯარიმოდან არაზუსტად დაარტყა.

ამასობაში, „ლოკომოტივმა" თამაში დაალაგა. შერკინების მოთამაშეები, როგორც სჩვევიათ, მძლავრად ამოქმედდნენ. მოკლე დარტყმებით ისინი მეტოქეს საგრძნობლად ავიწროებდნენ და უპირატესობაც ნელ-ნელა ხელთ იგდეს. ანგარიშში მისი ასახვა კი რკინიგზელთა დამრტყმელმა **ბობა კვინიხიძემაც** ვერ შეძლო, თანაც - ორჯერ.

ანგარიში 25-ე წუთზე გაიხსნა. „ლოკომოტივი" მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონასთან შერკინების დარტყმებით ცდილობდა ხაზის გაჭრას. მერე კვინიხიძემ ბურთი სწრაფად მარჯვნივ, კიდესთან გარემარბ **ალექსანდრე ტუჩაშვილს** გადააწოდა, რომელიც მოწინააღმდეგის ორ მცველს დაუსხლტა ხელიდან და ლელოში კარამდე ირბინა. გარდასახვა კვინიხიძემ ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტად დაარტყა - 7:0. პირველი ნახევარი ასე დასრულდა.

მეორე ტაიმი „ლელოსთვის" ძალიან ცუდად დაიწყო. უკვე მეორე წუთზე, სრულიად უწყინარ სიტუაციაში. ხელდახელ თამაშისას, მოედნის ცენტრში, ლოკომოტიველმა **გიორგი კობერიძემ** ერთ-ერთი გადაცემა ჩაჭრა და ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. კვინიხიძეს გარდასახვა არ გასჭირვებია -14:0. მანვე შვიდ წუთში, როგორც იქნა, საჯარიმოდანაც გაიტანა და სხვაობა 17 ქულამდე გაიზარდა.

ცხადია, ასეთი ჰანდიკაპის აღმოფხვრა ნებისმიერი გუნდისთვის ურთულესი საქმეა, მაგრამ ლელოელები სულით არ გატყდნენ. ძალები მოიკრიბეს და დასკვნით 25 წუთში სრულ უპირატესობას ფლობდნენ. 59-ე წუთზე „ლელო" მარჯვენა ფრთიდან უტევდა. შერკინების ხაზის მოთამაშეები მოკლე დარტყმებით ნაბიჯნაბიჯ მიიწევდნენ წინ. მერე **ლევან გოგიამ** მარცხნივ ხაზზე ბურთი **ხმალაძეს** გაუტანა, რომელმაც ფეხით მეტოქის ჩათვლის მოედნისკენ შეაცურა. იქ ყველაზე ადრე ბურთთან შუამარბი **ალექსანდრე თოდუა** გაჩნდა და ლელო კარის ძელთან ახლოს გაიტანა. გარდასახვა **გოდერძი ჯოგლიძემ** დაარტყა ზუსტად 7:17.

მატჩის დასრულებამდე 21 წუთი იყო დარჩენილი. ეს დრო სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ათქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა. „ლელო" ბევრს ეცადა. ლელოს გატანის არაერთი შესაძლებლობაც მიეცა, მაგრამ მხოლოდ ჯოგლიძის მიერ გატანილ ორ საჯარიმოს გამორჩა -13:17.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# შაკის შურისძიება



გუშინდელ დღემდე, "სან ანტონიო სპურსი" ზედიზედ 11 წელია არ აგებდა სეზონის გახსნის მატჩს. უფრო მეტიც, გუნდის მთავარ მწვრთნელ **გრეგ პოპოვიჩსა** და ლიდერ **ტიმ დანკანს** არასოდეს წაეგოთ პირველი ტურის შეხვედრა. მაგრამ "ფინიქს სანზის" დებიუტანტმა მწვრთნელმა **ტერი პორტერმა** და მისმა შეგირდებმა კონკურენტებს სტატისტიკა გაუფუჭეს და თან ძალიან გააწბილეს ტექსასელი გულშემატკივრები.

ამ დუელის სიუჟეტი ძალიან ჰგავდა გასული წლის საპლეიოფო სერიის პირველ მატჩს. ისეთივე დაძაბული ბრძოლა, გარდამავალი უპირატესობა, ლიდერების ბრწყინვალება (მარტო დანკანმა და **პარკერმა** 32-32 ქულა დააგროვეს!) და არანორმალური ბოლო წუთები, ოღონდ განსხვავებული ფინალით. გაზაფხულზე, სამქულიანით თავისიანებს პირველი მატჩი და შემდეგ მთლიანად სერია ტიმ დანკანმა მოაგებინა. გუშინ ღამით, ტიმმა ისევ გარისკა პერიმეტრიდან სროლა, მაგრამ ამჯერად კალათმა მისი ნატყორცნი ბურთი არ მიიღო. *"ღმერთო, ოღონდ ეს არა, კიდევ ერთხელ არ დაუშვა უსამართლობა!" სწორედ ეს გავიფიქრე იმ დროს, როცა ბურთი ჰაერში იყო. საბედნიეროდ, ტიმმა ვერ ჩააგდო და ფარიდან ბურთი ჩვენ მოვხსენით"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ **ამარე სტაუდმაიერმა**. ცნობისთვის, სწორედ ამარე გახდა ამ მატჩის გმირი. ის სათადარიგოთა სკამიდან შევიდა მოედანზე და 22 ქულა დააგროვა (ბოლო მეოთხედში ხუთიდან ხუთი ზუსტი ტყორცნა შეასრულა).

მატჩში სახალისო ეპიზოდებიც იყო. პუბლიკა გრეგ პოპოვიჩმა და **შაკილ ო'ნილმა** გაართეს. დაახლოებით ერთი თვის წინ, შაკი გულშემატკივრებს "სან ანტონიოზე" შურისძიებას დაჰპირდა იმ მხდალი ტაქტიკის გამო, რომელიც "სპურსმა" პლეიოფში ლეგენდარული ცენტრის წინააღმდეგ გამოიყენა. ამ ტაქტიკას "ჩეხე შაკი" ჰქვია და ის ო'ნილზე შეგნებულად ჯარიმის აკიდებას ითვალისწინებს, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ შაკილს ჯარიმების ტყორცნა არ ეხერხება.

ერთ-ერთ ეპიზოდში, **მაიკლ ფინლიმ** შეგნებულად დაარღვია თამაშის წესი შაკზე. რეჟისორებმა მაშინვე დააფიქსირეს ამ მომენტზე "სპურსის" მთავარი მწვრთნელის პოპოვიჩის რეაქცია - მასპინძელთა დამრიგებელი იცინოდა და შაკს ორ ცერა თითს უჩვენებდა. ო'ნილი შეეცადა ბოლომდე სერიოზული დარჩენილიყო, მაგრამ ვერ მოითმინა და მანაც ხარხარი დაიწყო.

## ტურის გმირი

"ატლანტამ" 1987 წლის შემდეგ პირველად მოიგო პირველი ტურის მატჩი. ეს ძირითადად **ჯო ჯონსონის** მონდომების წყალობით გახდა შესაძლებელი, რომელმაც იმ საღამოს 25 ქულა დააგროვა და აქედან ცხრა - ბოლო მეოთხედში.

ჯონსონის აქტიურობის წყალობით, "ორლანდოსთან" მატჩში სტუმართა უპირატესობა 20 ქულასაც კი აღწევდა. მასპინძლებს **დუაიტ ჰოვარდის** ჯადოქრობამაც ვერ უშველა.

## ტურის ანტიგმირი

"ნიუ ჯერსი ნეტსთან" წაგების შემდეგ, "ვაშინგტონის" დამრიგებელი **ედი ჯორდანი** უკმაყოფილო დარჩა თავისი შეგირდების მოქმედებით. მწვრთნელმა განსაკუთრებით თავისი ლიდერები - **ანტუან ჯეიმისონი** და **კერონ ბატლერი** გააკრიტიკა. და მართალიც იყო - ამ დუეტმა ჯამში 29 ტყორცნიდან მხოლოდ 9 (!) ჩააგდო და სულ რაღაც 27 ქულა მოუტანა თავის გუნდს. ბუნებრივია, ასეთი შედეგიანობით დედაქალაქელები გამარჯვებაზე ვერც იოცნებებდნენ.

## ტურის ციფრი: 23

სწორედ ასეთი სხვაობით უგებდა "ნიუ იორკი" "მაიამის", მაგრამ კინაღამ დამარცხებულმა დატოვა მოედანი. **მაიკ დ'ენტონის** შეგირდებს მხოლოდ პირველ ტაიმში ეყოთ მონდომება და დისციპლინა, მეორე ნახევარში კი მასპინძლები ფიზიკურადაც გატყდნენ და ფსიქოლოგიურადაც. მათდა საბედნიეროდ, საფინალო სირენა იმ დროს გაისმა, როცა "მაიამის" სამქულიანი დეფიციტის აღმოფხვრაღა ჰქონდა დარჩენილი.

## ტურის ფრაზა

*"ბოლო ათი წლის განმავლობაში, ეს იყო ყველაზე უარესი დაცვა, რომელიც ჩემმა გუნდმა ითამაშა. ჩემი ბიჭები ყოველ ეპიზოდში ერთსა და იმავე შეცდომებს უშვებდნენ და აქედან დასკვნების გაკეთებას არც ცდილობდნენ. მათგან ასეთ თამაშს არ ველოდი"*, - განაცხადა "ფინიქსთან" წაგების შემდეგ გრეგ პოპოვიჩმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**ორლანდო-ატლანტა 85:99**

13:24, 27:23, 15:27, 30:25

**ო:** დ. ჰოვარდი (22+15 მოხსნა+5 ჩაჭრა+5 დაფარება), პიეტრუსი (20), თურქოგლუ (13+8 მოხსნა), ლუისი (11).

**ა:** ჯო ჯონსონი (25+7 მოხსნა), სმიტი (17+10 მოხსნა+4 ჩაჭრა+5 დაფარება), მიურეი (14), ბიბი (12), ჰორფორდი (10+9 მოხსნა).

**ფილადელფია-ტორონტო 84:95**

21:18, 24:33, 20:23, 19:21

**ფ:** ლ. უილიამსი (16), იგუოდალა (15+6 პასი), ბრენდი (14+13 მოხსნა), ა. მილერი (13), დალემბერი (9+17 მოხსნა).

**ტ:** ბოში (27+11 მოხსნა), ჯ. ო'ნილი (17+8 მოხსნა), კაპონო (15), კალდერონი (13+7 პასი).

**ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 85:95**

23:23, 23:21, 21:25, 18:26

**ვ:** სტივენსონი (14), ჯეიმისონი (14), კ. ბატლერი (13+11 მოხსნა), ბლეტჩი (13), ი. ტომასი (10+8 მოხსნა), იანგი (10).

**ნ-ჯ:** ვ. კარტერი (21+6 პასი), იი იანლიანი (17), ჯ. ჰეიესი (14+3 ჩაჭრა), დ. ჰარისი (13).

**ნიუ იორკი-მაიამი 120:115**

28:27, 32:18, 31:30, 29:40

**ნ-ი:** კროუფორდი (29), ზ. რენდოლფი (20+9 მოხსნა), უ. ჩენდლერი (17+9 მოხსნა), დ. ლი (16+11 მოხსნა), კ. რიჩარდსონი (16), რობინსონი (13+7 პასი).

**მ:** უეიდი (26+7 მოხსნა+9 პასი), ჰასლემი (23+10 მოხსნა), მ. ჩალმერსი (17+7 მოხსნა+8 პასი), მერიონი (14+11 მოხსნა), დ. კუკი (13).

**დეტროიტი-ინდიანა 100:94**

23:17, 27:23, 25:24, 25:30

**დ:** პრინსი (19), ჰემილტონი (15), ბილაპსი (13+7 პასი), ერმანი (10), რ. უოლასი (9+7 მოხსნა).

**ი:** გრეინჯერი (33+3 დაფარება), მერფი (13+15 მოხსნა+3 დაფარება), მ. დენიელსი (12), ფორდი (10).

**მინესოტა-საკრამენტო 98:96**

33:32, 23:17, 20:28, 22:19

**მ:** ე. ჯეფერსონი (21+10 მოხსნა), მაკენტსი (15), ლავი (12+9 მოხსნა), ფოი (12+3 ჩაჭრა), გომესი (12), მ. მილერი (11+6 პასი).

**ს:** სელმონსი (24+8 პასი), ჯ. ტომპსონი (18+10 მოხსნა), მარტინი (17), ჰოვსი (12+14 მოხსნა+6 დაფარება), უდრიხი (10).

**ოკლაჰომა სიტი-მილუოკი 87:98**

14:24, 21:26, 24:29, 28:19

**ო:** უილკოქსი (15+7 მოხსნა), უესტბრუკი (13), დურანტი (12), მეისონი (11).

**მ:** ვილანუევა (20+12 მოხსნა+2 დაფარება), რ. ჯეფერსონი (20+8 მოხსნა), რედი (20), ბოგუტი (14+7 მოხსნა+2 ჩაჭრა+2 დაფარება), ბელი (11).

**სან ანტონიო-ფინიქსი 98:103**

14:19, 32:30, 27:25, 25:29

**ს-ა:** ტ. პარკერი (32), დანკანი (32), რ. მეისონი (12).

**ფ:** ა. სტაუდმაიერი (22+8 მოხსნა), ბარბოზა (18), შ. ო'ნილი (15+13 მოხსნა), ნეში (13+13 პასი), ჰილი (13).

**ჰიუსტონი-მემფისი 82:71**

26:18, 17:19, 15:20, 24:14

**ჰ:** იაო მინი (21+10 მოხსნა), მაკგრეიდი (16+3 ჩაჭრა), არტესტი (16+3 ჩაჭრა), სკოლა (12+13 მოხსნა).

**მ:** გეი (20), მ. გასოლი (12+12 მოხსნა), არტური (11+15 მოხსნა), მაიო (10).

**იუტა-დენვერი 98:94**

28:27, 22:19, 25:21, 23:27

**ი:** ბუზერი (25+14 მოხსნა), კირილენკო (16+6 მოხსნა), ბრიუერი (15), ოქური (13+10 მოხსნა), კორვერი (11).

**დ:** აივერსონი (18+8 პასი), მარტინი (18), სმიტი (17), ე. კარტერი (13+3 ჩაჭრა), ნენე (11).

**გ. სტეიტი-ნიუ ორლეანი 103:108**

34:27, 23:29, 27:29, 19:23

**გ-ს:** მაგეტი (27+8 მოხსნა), ს. ჯექსონი (26), აზუბუიკე (17+3 ჩაჭრა), ბიედრინში (14+12 მოხსნა), ე. ჰარინგტონი (13+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ნ-ო:** დ. უესტი (24+7 მოხსნა), პოლი (21+11 პასი+3 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი (16), ტ. ჩენდლერი (13+16 მოხსნა+3 დაფარება), პოუზი (11).

**კლიპერსი-ლეიკერსი 79:117**

27:30, 17:29, 13:26, 22:32

**კ:** ტორნტონი (16), ტ. ტომასი (11+8 მოხსნა), ბ. დევისი (11+7 პასი+3 ჩაჭრა), მობლი (11).

**ლ:** ბრაიანტი (16+8 მოხსნა), ფიშერი (15), ფარმარი (15), პ. გასოლი (13+9 მოხსნა+6 პასი), ბინუმი (12+9 მოხსნა+3 დაფარება), არიზა (11).

## ოდენი ერთი თვით დაისვენებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალი სეზონის პირველი ტურის მიმოხილვისას გაუწყეთ, რომ "ლეიკერსთან" მატჩში ტრავმა მიიღო "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ახალწვეულმა **გრეგ ოდენმა**. 2007 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა მხოლოდ 13 წუთი დაჰყო მოედანზე, რის შემდეგაც მარჯვენა ფეხი დაიზიანა და თამაშში აღარ დაბრუნებულა.

სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ოდენის ტრავმა საკმაოდ სერიოზულია და კალათბურთელს დაახლოებით 2-4-კვირიანი მკურნალობა ესაჭიროება.

შეგახსენებთ, რომ ოდენმა მუხლის ტრავმის გამო მთლიანად გამოტოვა 2007-08 წლების სეზონი.

## ობერტო გულმა შეაწუხა

"სან ანტონიოს" ცენტრალური თავდამსხმელი **ფაბრისიო ობერტო** რეგულარული ჩემპიონატში ორი კვირა ვერ ითამაშებს. არგენტინელი კალათბურთელი გულის არითმიას უჩივის.

*"საბედნიეროდ, ფაბრისიომ დროულად მოგვმართა თავისი პრობლემით და ჩვენც სასწრაფო ზომები მივიღეთ. როგორც კი ობერტო აუცილებელ სამედიცინო პროცედურებს გაივლის, მაშინვე შემადგენლობაში დაბრუნდება. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ კალათბურთელის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება"*, - განაცხადა "სან ანტონიოს" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა**.

## ეინჯი დააწინაურეს

"ბოსტონ სელტიქსის" გენერალურმა მენეჯერმა **დენი ეინჯმა** კლუბში ახალი თანამდებობა მიიღო - წარსულში ცნობილი კალათბურთელი NBA-ის მოქმედი ჩემპიონის ადმინისტრაციაში საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტი გახდა. კლუბმა ეინჯთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

გასული სეზონის შედეგების მიხედვით, დენი ეინჯი NBA-ში წლის საუკეთესო მენეჯერად დაასახელეს. შეგახსენებთ, რომ სწორედ მისი დამსახურებაა 2007 წლის ზაფხულში "ბოსტონის" რიგებში ორი სუპერვარსკვლავის - **კევინ გარნეტისა** და **რეი ალენის** ჩარიცხვა. ამ ტრანსფერებმა კლუბს არსებობის ისტორიაში მე-17 საჩემპიონო ტიტული მოაპოვებინა. გარდა ამისა, "სელტიქსმა", რომელმაც 2006-07 წლების სეზონში ყველაზე უარესი შედეგი აჩვენა, ლიგის ისტორიაში უდიდეს პროგრესს მიაღწია - წინა სეზონთან შედარებით 42 გამარჯვებით მეტი მოიპოვა (66 24-ის წინააღმდეგ).

## ვარსკვლავები არლინგტონში შეიკრიბებიან

2010 წლის ყველა ვარსკვლავის მატჩი ტექსასის შტატის ქალაქ არლინგტონში გაიმართება. საკალათბურთო გუნდებს ამერიკული ფეხბურთის ლიგის კლუბის - "დალას კოვბოის" ახალი სტადიონი უმასპინძლებს. ვარაუდობენ, რომ All Stars-ის შეხვედრას დაახლოებით 50 ათასი მაყურებელი დაესწრება.

"დალას მავერიქსის" მფლობელმა **მარკ ქიუბანმა** ლიგის ხელმძღვანელობისგან იმის უფლება მიიღო, რომ მისი კლუბის სასეზონო აბონემენტების მფლობელები თამაშს უფასოდ დაესწრებიან.

## ნიკ ფაზეკაში ოსტენდეში წავიდა

სეზონის სტარტზე ბელგიის "ოსტენდემ" შემადგენლობა მძიმე ფორვარდ **ნიკ ფაზეკაშით** (23 წლის, 211 სმ) გააძლიერა. ამის შესახებ კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება.

2007 წლის დრაფტზე ფაზეკაში 34-ე ნომრად "დალასმა" აირჩია. გასულ წელს ნიკმა ორი გუნდის - "დალასისა" და "კლიპერსის" შემადგენლობაში ითამაშა. ჯამში 26 შეხვედრაში მან საშუალოდ 4.1 ქულა და 3.4 მოხსნა დააგროვა.

წლევანდელი სეზონის წინ, ფაზეკაშმა "დენვერ ნაგეტსის" შემადგენლობაში დამკვიდრება სცადა, მაგრამ გუნდმა ფორვარდი არ დაიტოვა და ნიკსაც ევროპაში გადაბარგებამ მოუწია.

## ბარნიანი ორი წლით ტორონტოში დარჩება

2006 წლის დრაფტის პირველი ნომერი, იტალიელი **ანდრეა ბარნიანი** "ტორონტო რეპტორზის" შემადგენლობაში 2009-10 წლების სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

კანადური კლუბის ხელმძღვანელობამ გამოიყენა იტალიელი ფორვარდის ამჟამინდელ კონტრაქტში არსებული პუნქტი, რომლის მიხედვითაც 22 წლის კალათბურთელს ხელშეკრულება ავტომატურად ერთი წლით გაუგრძელა. ბარნიანის მოქმედი კონტრაქტის ვადა 2009 წლის ზაფხულში იწურებოდა.

გუშინვე, "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო სათადარიგო გამთამაშებელ **ჯორდან ფარმართან** დაკავშირებით. ეს მცველიც კალიფორნიულ კლუბში 2010 წლის ბოლომდე ითამაშებს.

ფარმარი "ლეიკერსმა" 2006 წლის დრაფტზე 26-ე ნომრად აიყვანა. გასულ წლის რეგულარულ ჩემპიონატში ეს კალათბურთელი საშუალოდ 9.1 ქულას, 2.2 მოხსნასა და 2.7 შედეგიან გადაცემას აგროვებდა, პლეიოფში კი მისმა მონაგარმა 5.7 ქულა შეადგინა.

## გოლდენ სტეიტს ნელსონი არ ეთმობა

"გოლდენ სტეიტის" მთავარმა მწვრთნელმა **დონ ნელსონმა** კლუბთან მოქმედი კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვიტა. ცნობილი სპეციალისტი "მეომრების" მწვრთნელად 2011 წლის ბოლომდე იმუშავებს და ამ დროის განმავლობაში 12 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

*"სამწლიანი კონტრაქტის გაფორმების ინიციატივა არა ჩემგან, არამედ კლუბის ხელმძღვანელობიდან მოდიოდა. თავდაპირველად დაგეგმილი იყო 2008-09 წლების სეზონის ბოლომდე მუშაობა, მაგრამ "გოლდენ სტეიტმა" ისეთი წინადადება შემომთავაზა, რომელზეც უარის თქმა შეუძლებელი იყო"*, - განაცხადა ნელსონმა.

## უმცროსი იუინგი ნიქსელი გახდა

"ნიუ იორკ ნიქსმა" საბოლოოდ დააკომპლექტა 2008-09 წლების შემადგენლობა. ბოლო კალათბურთელი, ვინც კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადში შეიყვანა, ახალგაზრდა ფორვარდი **პატრიკ იუინგი-უმცროსი** აღმოჩნდა.

ალსანიშნავია, რომ კალათბურთელის მამა **პატრიკ იუინგი-უფროსი** ნიუიორკული კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ფორს ინდიამ ფერარი მერსედესით შეცვალა



უახლოეს დღეებში ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის აუტსაიდერმა გუნდმა "ფორს ინდიამ" უნდა გადაწყვიტოს, რომელი ფირმის ძრავებით იასპარეზებს მომავალ სეზონში. ამჟამად **ჯანკარლო ფიზიკელასა** და **ადრიან სუტი**ლის ბოლიდები "ფერარის" ძრავებით არის აღჭურვილი, მაგრამ ინდური გუნდის ხელმძღვანელებისა და "მაკლარენის" წარმომადგენელთა მოლაპარაკებების შემდეგ, პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2009 წელს, "ფორს ინდია" "მერსედესის" ძრავებს გამოიყენებს.

*"ვფიქრობ, სულ მალე გავაფორმებთ კონტრაქტს ძრავების მწარმოებელ ერთ-ერთ უმსხვილეს კონცერნთან. პრესაში უკვე დაიწერა იმ ვარიანტების შესახებ, რაც ჩვენს გუნდს გააჩნია, ამიტომაც მათ ჩამოთვლას აზრი არ აქვს. ჩვენი გუნდის მექანიკოსებმა სწორი არჩევანი გააკეთეს და მომავალ წელს მოვახერხებთ უფრო კარგი შედეგების ჩვენებას,* - ფაქტობრივად დაადასტურა ინფორმაცია "ფორს ინდიის" მფლობელმა **ვიჯეი მალიამ**. - *გუნდს წინსვლისთვის ყველანაირი რესურსი მივეცი. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, მომზადების დონით, კიდევ უფრო მეტად მივუახლოვდით ფორმულა 1-ის საშუალო გუნდებს და უკვე რთულია "ფორს ინდიას" აუტსაიდერად მოხსენიება. უნგრეთის გრანპრის შემდეგ გამოვაცხადე, რომ აქცენტს 2009 წლის სეზონისთვის გავაკეთებდით. დღესაც იმავეს ვადასტურებ".*

შეგახსენებთ, რომ "ფორს ინდია" ერთადერთი გუნდია ფორმულა 1-ის ჩემპიონატში, რომელსაც 2008 წლის სეზონში ქულა არ აქვს მოპოვებული.

მძლეოსნობა

# ჯონსმა ბოდიში მოიხადა

სკანდალურად ცნობილმა ამერიკელმა მორბენალმა **მერიონ ჯონსმა** ბოდიში მოუხადა თავის თანაგუნდელებს, რომლებთან ერთადაც 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე 4x100 მეტრზე ესტაფეტა მოიგო. როგორც ცნობილია, ჯონსის დისკვალიფიკაციის შემდეგ, ამერიკის ნაკრებს ამ ესტაფეტაში მოპოვებული ოქროს მედლები ჩამოერთვა. ჯონსმა **ოფრა უინფრის** ცნობ ტელეშოუში გამოსვლისას ისიც განაცხადა, რომ ციხის დატოვების შემდეგ ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს.

*"ძალიან ვნერვიულობ იმის გამო, როგორ უნდა ვიცხოვროთ მე და ჩემმა შვილებმა. ვიცოდი, რომ აკრძალულ პრეპარატებს ვიღებდი - გადავწყვიტე, რომ ტყუილი უნდა მეთქვა და ეს ფაქტი ყველასთვის დამემალა. გულწრფელად ვაღიარებ - უხეში შეცდომა დავუშვი. იცით ასე რატომ მოხდა? საკუთარი თავი იმდენად არ მიყვარდა, რომ სიმართლე მეღიარებინა.*

*მინდა, ჩემს თანაგუნდელებს ბოდიში მოვუხადო. როცა სიდნეის ოლიმპიადაზე გამოვდიოდი, მეგონა, რომ ყველანი "სუფთები" ვიყავით. სამწუხაროა, რომ მათ ამ ჯოჯოხეთის გავლა მოუწიათ.*

*ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ 2000 წელს ოქროს მედლებს დოპინგის გარეშეც მოვიგებდი. არანაირი სტიმულატორები არ მჭირდებოდა. ამაში დარწმუნებული ვარ",* - განაცხადა ჯონსმა.

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მერიონმა ხუთი მედალი მოიპოვა, მათ შორის სამი ოქროსი. დოპინგის მიღებაში მხილების შემდეგ, ამერიკელ მძლეოსანს ხუთივე მედალი ჩამოართვეს, ხოლო ფედერალური სამსახურისთვის ცრუ ჩვენებების მიცემის გამო, ჯონსს ექვსი თვე ციხეში გატარება მოუხდა.




ჰოკეი

# ტორონტო ყველაზე ძვირფასია

ზედიზედ მესამე წელია, "ტორონტო მეიპლ ლივზი" ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე ძვირფას კლუბად სახელდება. ჟურნალ Forbes-ის ყოველწლიური გამოკვლევის თანახმად, კანადური გუნდის ფასი 448 მილიონ დოლარს შეადგენს. გასულ წელთან შედარებით, "ტორონტოს" ღირებულება 9 პროცენტით გაიზარდა.

მეორე ადგილზეა "რეინჯერსი" - 411 მილიონი, შემდეგ მოდიან "მინესოტა" (334 სილიონი), "დეტროიტი" (303 მილიონი) და "ფილადელფია" (275 მილიონი). ერთი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი პროგრესი "პიტსბურგმა" განიცადა - მისი ფასის ზრდის მაჩვენებლმა 26 პროცენტი შეადგინა (საერთო ღირებულება - 195 მილიონი დოლარი).

NHL-ის ერთი კლუბის საშუალო ღირებულება 220 მილიონს შეადგენს. შედარებისთვის, იმავე Forbes-ის მონაცემებით, ამერიკული ფეხბურთის ლიგის გუნდის საშუალო ფასი მილიარდ დოლარს უტოლდება.

რეიტინგის ქვედა ნაწილში მოექცნენ: "კოლამბუსი" (157 მილიონი), "აილენდერსი" (154 მილიონი) და "ფინიქსი" (142 მილიონი). ეს უკანასკნელი ერთადერთი გუნდია ლიგაში, რომლის ფასმაც შარშანდელთან შედარებით მოიკლო (ვარდნამ 3 პროცენტი შეადგინა).

წლიური მოგების რაოდენობითაც ლიდერი "ტორონტოა" - 160 მილიონი დოლარი. აქ მეორე ადგილს "მონრეალი" იკავებს (139 მლნ), სამეულში შედის "რეინჯერსი" - 137 მილიონი.

NHL-ის 12-მა გუნდმა ფინანსური წაგებით დაასრულა წელი. ყველაზე დიდი ზარალი "კაროლინამ" (11.5 მილიონი), "ფინიქსმა" (9.7 მლნ), "ფლორიდამ" (9.4 მლნ), "ბაფალომ" (8.9 მლნ) და "აილენდერსმა" (8.8 მლნ) ნახეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ანაჰაიმი-დეტროიტი 5:4 (ო)**

1:1, 1:2, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 დაციუკი-2 (მარიან ჰოსა-8, ლიდსტრიომი-6), 1:1 სელიანე-4 (გეტცლაფი-4, პრონგერი-5), 1:2 დაციუკი-3 (მარიან ჰოსა-9, ჰოლმსტრიომი-3), 1:3 ზეტერბერგი-6 (ჰუდლერი-5, კლირი-3), 2:3 სელიანე-5 (გეტცლაფი-5, ს. ნიდერმაიერი-5), 3:3 სელიანე-6 (პრონგერი-6, გეტცლაფი-6), 4:3 სატერბი-3 (პერი-7, გეტცლაფი-7), 4:4 ზეტერბერგი-7 (კლირი-4, კრონვალი-5), 5:4 ბოშემენი-4 (გეტცლაფი-8, ს. ნიდერმაიერი-6).

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 5:6 (ბ)**

2:0, 2:3, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 კლარკსონი-2 (მოტო-2, ე. გრინი-3), 2:0 ზუბრუსი-2 (ჯონტა-5, ე. გრინი-4), 2:1 სტაიანი-2 (შენი-1, პონიკაროვსკი-6), 2:2 სტაიანი-3 (ტ. კაბერლე-2), 2:3 სტინი-1 (მიტჩელი-2, კუბინა-2), 3:3 ლანგენბრუნერი-2 (მოტო-3, ე. გრინი-5), 4:3 ჯ. უაიტი-1 (მადენი-1, ჰალიშჩუკი-1), 4:4 მეიერსი-1 (მური-2, ჰოლვეგი-1), 4:5 პონიკაროვსკი-3 (სტაიანი-3, ტ. კაბერლე-3), 5:5 პარიზე-7 (მარტინი-3, ჯონტა-6).

**ბულიტები გაიტანეს:** ელიაში (ნიუ ჯერსი), ტ. კაბერლე (ტორონტო), ჰაგმანი (ტორონტო).

**დალასი-მინესოტა 4:2**

3:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 მოროუ-4 (რიბეირო-10, ლ. ერიქსონი-3), 1:1 მ-ა. ბერჟერონი-2 (ბელანჟე-2, ჯ. იონსონი-3), 2:1 ოტი-1 (ბ. რიჩარდსი-5, ეივერი-4), 3:1 ბ. რიჩარდსი-3 (ფისტიჩი-1, ბერჩი-1), 4:1 ნისკანენი-1 (ეივერი-5), 4:2 ბრუნეტი-4 (ჯ. იონსონი-4, მიეტინენი-4).

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| სალისბერი-ქროული | 2:0 |
| **ესპანეთის თასი** | |
| რეალ უნიონი-რეალი | 3:2 |
| **ჰოლანდია** | |
| გრააფსხაპი-უტრეხტი | 0:2 |
| **დანიის თასი** | |
| ნაესტველი-კოპენჰაგენი | 0:3 |
| ჰოლსტებრო-ბრონდბიუ | 1:2 |
| **შვეიცარია** | |
| ბაზელი-სიონი | 3:0 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| კალამარია-ასტერასი | 0:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| ბეშიქთაში-ანთალია | 3:0 |
| ანკარა-გალათასარაი | 1:1 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| მუტენიცე-ბანიკი | 0:3 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| **კაცები** | |
| ჟალგირისი-მონტეპასკი | 67:93 |
| ულქერი-ალბა | 82:73 |
| ოლიმპიაკოსი-უნიკახა | 83:72 |
| მაკაბი-აველინო | 90:83 |
| ბარსელონა-პანათინაიკოსი | 90:66 |
| ლე მანი-ციბონა | 54:58 |
| ოლიმპია-ტაუგრესი | 90:91 |
| რომა-ხუვენტუდი | 85:71 |
| **ქალები** | |
| პეჩი-ვისლა | 65:66 |
| ვალანსი-ლოტოსი | 85:82 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მვდ-სიბირი | 3:0 |
| ატლანტი-მეტალურგი (ნ) | 3:3 |
| ლოკომოტივი-ბარისი | 7:1 |
| სევერსტალი-ხიმიკი | 1:1 |
| ტორპედო-ამური | 4:4 |
| [illegible] | 1:1 |

| | |
|---|---|
| **ავსტრია** | |
| ვილახი-ზალცბურგი | 5:1 |
| ინსბრუკი-ალბა | 3:1 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-მანჰაიმი | 2:2 |
| დიუსელდორფი-აუგსბურგი | 1:1 |
| **დანია** | |
| ფრედრიკშავნი-სიონდერილი | 3:5 |
| **ნორვეგია** | |
| სტიერნენი-სტავანგერი | 7:1 |
| ლორენსკოგი-სპარტა | 2:2 |
| ფრისკ ასკერი-კომეტი | 3:2 |
| ფურუსეტი-ლილეჰამერი | 1:5 |
| ვოლერენგა-სტიერნენი | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-ესეტი | 5:3 |
| კერპეტი-ტპს | 4:1 |
| ლუკო-ტაპარა | 2:3 |
| პელიკანსი-საიპა | 4:2 |
| ჰიფკ-იოკერიტი | 1:3 |
| ჰპკ-იუვიასკიულა | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 3:0 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ჰვ71 | 5:1 |
| ბრინასი-როგლე | 1:2 |
| სიოდერტალე-ლინჩოპინგი | 4:4 |
| ტიმრა-მოდო | 0:4 |
| ფერიესტადი-იურგორდენი | 2:1 |
| ფრიოლუნდა-ლულეა | 3:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. პარიზი** | |
| დელ პოტრო-ნალბანდიანი | 4:6, 0:6 |
| როდიკი-სიმონი | 6:3, 7:5 |
| ჯოკოვიჩი-ცონგა | 4:6, 6:1, 3:6 |
| კოლშრაიბერი-ბლეიკი | 4:6, 4:6 |
| ფედერერი-ჩილიჩი | 6:3, 6:4 |
| მიურეი-ვერდასკო | 6:3, 7:6 |
| ნადალი-მონფილსი | 6:3, 6:2 |
| **WTA. კვებეკი** | |
| ბრემონი-ჰეინესი | 2:6, 4:6 |
| [illegible] | 6:1, 7:5 |

TV სპორტი

**31 ოქტომბერი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

07:45 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
09:20 ზუსტი გათვლა.
09:40 საფეხბურთო კლუბი.
10:10 საფეხბურთო პროგრამა.
11:15 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შტუტგარტი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
13:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ტულუზა.
15:10 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:25 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ნიუელსი.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი (LIVE).
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:40 სასტვენი.
02:10 საფეხბურთო კლუბი.
03:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:00 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი.
05:40 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ვესტ ჰემი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:35 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
09:05 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
09:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ნაპოლი.
13:50 სპორტული ტანვარჯიში. შვეიცარია.
16:20 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
21:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:20 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი (LIVE).
01:25 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
02:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
02:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა.
04:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ალმერია.
06:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შტუტგარტი.

**EUROSPORT**

11:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. კოსტა რიკა-გერმანია. ახალი ზელანდია.
13:15 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
13:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ინგლისი. ახალი ზელანდია.
15:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
15:30 ტრამპლინიდან ხტომა. ოთხი ერის გრანპრი. HS131. ჰაკუბა. იაპონია
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური. კაცები. 1/2 ფინალი. ბაჰრეინი (LIVE).
20:00 ფიგურული სრიალი. კანადის გრანპრი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა (LIVE).
21:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 ფიგურული სრიალი. კანადის გრანპრი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა (LIVE).
00:00 პლანეტის უძლიერესი მამაკაცი. სუპერსერიის გრანპრი. ნიუ იორკი. აშშ.
01:00 პოკერი. საერთაშორისო ტურნირი. საფრანგეთი.
02:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 პოკერი. იტალია.
04:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
12:45 ავსტრალიური ფეხბურთი. საერთაშორისო სერია. ავსტრალია-ირლანდია.
15:15 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ინგლისი. ახალი ზელანდია.
18:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-პარაგვაი. ახალი ზელანდია.
19:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური (LIVE).
19:45 ახალი ამბები.
20:45 ექსტრემალური სპორტი.
21:15 ახალი ამბები.
21:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14 . IX ტური. მონტობანი-ტულონი (LIVE).
23:15 ახალი ამბები.
23:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
00:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
00:30 ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. ვესტერ უაილდქეთსი (ბრიტანეთი)-რედინგი (ბრიტანეთი).
01:30 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 ახალი ამბები.






# ბრუკლინი, პოში და დევიდი




ბოლო დროს, **ბექჰემების** ოჯახის შესახებ ბევრი საინტერესო ამბავი შევიტყვეთ. ყველამ იცის, რომ დევიდი იანვარში "მილანში" სათამაშოდ მიემგზავრება. როგორც ირკვევა, მეუღლე **ვიქტორია** და მისი სამი ვაჟი იტალიაში გადაბარგებას არ აპირებენ. ბიჭები ამერიკაში სკოლაში დადიან, ხოლო "სპაის გერლზის" ყოფილ წევრს ლოს-ანჯელესში უამრავი საქმე აქვს.

ასე რომ, იმ სამი თვის განმავლობაში, როცა ბექჰემი იტალიაში სათამაშოდ იქნება წასული, ოჯახის მთელი ტვირთი ვიქტორიას დააწვება მხრებზე. პოშმა ამ როლის შესრულება უკვე დაიწყო. ის თავისი უფროსი შვილის, 9 წლის **ბრუკლინის** საფეხბურთო მეცადინეობებს ესწრება და რჩევა-დარიგებებსაც აძლევს მას.

სხვათა შორის, თვითმხილველები ამბობენ, რომ ბრუკლინს მამის გენები აქვს. თანატოლებში ის აშკარა ლიდერი ყოფილა.

■ ■ ■

ამასობაში, ვიქტორია ბექჰემი თავის საქმეებსაც არ ივიწყებს. მან მორიგი სამწლიანი სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა - ვიკა 12 მილიონ ფუნტს მიიღებს არმანის თეთრეულის რეკლამირებისთვის.

სანამ პოში საკუთარ ვაჟს საფეხბურთო დარიგებებს აძლევს და ფოტოგრაფების წინაშე პოზირებს, დევიდ ბექჰემი ძველებურად "ლოს ანჯელესის ლეიკერსის" არც ერთ საშინაო თამაშს არ აცდენს. პაპარაცებმაც კიდევ ერთხელ გამოიჭირეს ინგლისელი ნახევარმცველი.

თუ გახსოვთ, ამა წლის აპრილში შემოგთავაზეთ ბექჰემის ფოტოები, რომელიც ლოს-ანჯელესის "სტეიპლ [illegible] თელი "თვალებით ჭამდა" გოგონებს, რომლებიც საკალათბურთო მატჩის პაუზებისას პუბლიკას ართობენ.

ორი დღის წინ, NBA-ში მორიგი სეზონი გაიხსნა. "ლეიკერსმა" პირველ ტურში "პორტლენდი" დაამარცხა. ბექჰემი საპატიო ადგილას, პირველ რიგში იჯდა და კვლავ თვალს არ აცილებდა მოცეკვავე გოგონებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა





# ლემპარდი ფერარის ყიდულობს

გაზეთი "დეილი მეილი" წერს, რომ იმ დროს, როცა მსოფლიოს ფინანსური კრიზისის გამო ინგლისის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თითოეული ფუნტის ეკონომიას ეწევა, "ჩელსის" ნახევარმცველი **ფრენკ ლემპარდი** 3.6 მილიონ ფუნტად შეფასებული ძველი "ფერარის" შესაძენად ემზადება.

რამდენიმე დღეში ლონდონში ძველებური მანქანების აუქციონი გაიმართება და ფოტოგრაფებმა ლემპარდი იმ დროს დააფიქსირეს, როცა ის მომავალი შენაძენის დასათვალიერებლად იყო მისული.



# იშვიათი ფოტოები



დიეგო მარადონა ფიდელ კასტროსა და უგო ჩავესთან

